ცისკარი

1883

№ I, იანვარი.

თბილისი.
ექვთიმე ხელოვნის სტამბა.
1883

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

963

წელიწადი მეშვიდე

№ I

ბ. ბოტკინის სახ. საჯ. ბიბლიოთეკა
ბიბ. № ...
ბიბლიოთეკა

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1883

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 января 1883 г.

შინაარსი:

I «ივერიის» განცხადება 3

II Ცოკო, მოთხრობა ს. მოჩხუბარიძისა. . . . 7

III წერილები ლორენცო ბუნტანისა (რუფინისა) (თარგ. ალ. მამულაშვილისა) 72

IV თ. ა. ჭაიჭავაძის ლექსები 100

V ლეონ გამბეტა 103

VI ამაო სურვილი (ლექსი) ი. ბაქრაძისა . . . 130

VII შინაური მიმოხილვა. ქუთაისის ბანკი—«შრომის» წინა-სიტყვაობა—ტყუილი ჯვარცმა «შრომის» მშრომელისა—საწყალნი მსმენელნი—ბანკების აპეკა—რა შუაშია—ბავშვები თუ გაბრიყვებულნი?—რა არის კრედიტი საერთოდ და საადგილ-მამულო ცალკე—მიწა და მიწათ-მოქმედება—რა მოეთხოვება კრედიტს საადგილ-მამულოს—რის გარედ არ არის კრედიტი—მუხას ვაშლი რად არ ასხია—ბანკია მიზეზი თუ სხვა რამ—მაგალითი—«შრომის» ჯვარცმულს მშრომელს. 131

VIII ბილად (ახალ-წლის გამო) სტ. ჭრელაშვილისა. . 144

IX მეოცე საუკუნის აზრი ჩვენს ლიტერატურაზედ. . 155

X განცხადებანი. 163

განცხადება

ჟურნალის

«ი ვ ე რ ი ს»

გამოსაცემად 1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

1883 წელ. სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი «ივერია» გამ. ვ. ... ... იმავე სიგრცით და პროგრამით, რომელიც აქამომდე გაძღვანდა. მხოლოდ რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოვლენა, რომელიც ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაში, ან უცხო ქვეყნებისაში, ჟურნალმა უყურადღებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთქვეს თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდამ უფრო მეტი ადგილი ეჭირათ ჟურნალში, ვიდრე აქამომდე ეჭირათ. ეხლა რედაქციის ხელშია რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდამ, რომელნიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი ყურადღება ჟურნალში მიქცეული იქნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე თვისა-და-თვის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო

ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეცნიერო წერილები, თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათა-განი ვრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ყურნალს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თვალ-ყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა აღგვითქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

რედაქცია ბოდიშს იხდის თავის მკითხველებთან, რომ წარსულში ყურნალი ხშირად თავ-თავის დროზედ ვერ გამოდიოდა და შემდეგში ეცდება იგი, რომ ამ დაგვიანების მიზეზები მოსპოს, რამოდენადაც კი რედაქციაზედ არის დამოკიდებული, და ყოველი წიგნი თვისა-და-თვის თავს გამოსცეს.

«ივერიაში» მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირნი: დ. ზ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, ე. ბაბაშვილისა, ბ. ბაბაშვილი, ი. ბოგებაშვილი, თ. რაფ. ერისთავი, ბ. თუმანიშვილი, ე. იოსელიანი, ნ. ლომაური, ი. მეუნარგია, ა. მოჩხუბარიძე (აბზეგი), ა. ნანეიშვილი, თ. ჟორდანია. ნ. ჭანანოვი, მ. ციფიანი, ბ. ციფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მღ. ჯანაშვილი და სხვ.

ხელის-მოწერა ყურნალს «ივერიაზედ» მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

გისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ჯერ ოთხი მანათი შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე 1883 წლისა.

სოფლის მასწავლებელთ „ივერიას“ დაეთმობათ წელიწადში ხუთ მანათად, ან ბირველში სამი მანათი და ორი მანათი ბირველს მაისამდე 1883 წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქუთაისში, ჭილაძის მაღმზიაში.

თბილისში: შავერდოვის სააგენტოში, ბულვარზე, ალექსანდროვის ბაღთან და ნანუკოვის და ჯაბადრის საგენტოში, ბულვარზედვე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქციაში, ყოველ-დღე დილის რვა საათიდამ ათ საათამდე. რედაქცია იმყოფება, გოლოვინის პროსპექტზედ (ბულვარზედ), ოხანოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თვული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ.»

რედაქტორები ILIA ჭავჭავაძე და
ი. მაჩაბელი.

ციკო*)

(მოთხრობა)

სოფელს ფხელეშეში, რომელიც თითქოს არეულა უსწორ-მასწოროდ ლ ოღრო-ჩოღროდ ამართულს მთებში, გაცალკევებით, ერთს გორაკზედ, სდგას პატარა, ორ-სართულიანი სახლი, თავისიგე პატარა ეზოთი და უკან დიდის, მაგრამ დანგრეულის შენობით; ეს შენობა თავდება ოთხ-კუთხად აუუდებულის კოშკით, რომლის სათავიდგანაც სათოფურებს მკაცრის მუქარით პირი დაუღრენიათ. როგორც ეტყობა, როდეს-ღაც ეს ყოფილა სადგური რომელიმე გამძლავრებულის და მაშასადამე კარგის შენების მქონე კაცისა, მაგრამ ახლა კი ყამთა ვითარებას და ხანს იმისთვის თავის შეუბრალებელი დაღი დაუსვამს. დიდი სახლი ჩანგრეულა და კოშკიც, რამდენსამე ადგილას გაბზარული, ერთს მხარეს გადმოზნექილა.

იმ დროს, რომელსაც შეეხება ჩვენი მოთხრობა, ამ პატარა სახლში იჯდა სამი დედა-კაცი და ვახშამსა სჭამდა.

ყველაზედ უფროსი იმათში, «შაგ-თვალა», ოთხმოცს წელს გადაცილებული იქნებოდა. ის იყო მოხუცებული, ცოტათი წელში მოხრილი და შეყრილობა უმტკიცებდა, რომ ოდესმე ასოვანის და წერწეტის ტანის მქონე უნდა ყოფილიყო. «შაგთვალა»

---

*) ციკო—ქალის სახელია მოხევეებში.

ოთხმოც წელს გადაცილებული იქნებოდა. იმისი ჩაცვივნული ლ. ამღვრეული თვალები, გამხდარი, დაღრეჯილი და მოგძელო პირისახე, თხელი ტუჩები ამტკიცებდენ, რომ არა ერთხელ ენახა გაჭირვება და მწუხარება, რომელთან ბრძოლასაც თავის ნიშნებით დაეხაზა, დაესერა ამ ადამიანის გული და სახე.

ეს გახლდათ ბებია ლამაზის, ცქრიალა ციგოსი, იმ ციგოსი, რომელზედაც დღე-გამოუშვებლივ მოხვედ მწყემსებისგან ახალ-ახალი ლექსი გამოითქმოდა, რომელსაც ახალ-ახალი ქება შესხმოდა. ციგო იყო შუა-ტანისა, მაგრამ განსაცვიფრებელის სისწორით შეყრილი და ისე წვრილი, რომ კაცი იტყოდა «ბეჭედში ამოძვრებაო.» მშვენიერს თეთრს სახეზედ, ვარდისავით უღვიოდა ლოყები და პატარა ტუჩებს იქიდგან მოჩანდა ბროლის მზგავსი თეთრი ბრწყინვალე და სწორე კბილები. ლურჯი ყუყუნა თვალები, რომელთაც გარს მცველებად შავი გრძელი წამწამები შემორტყმოდა, ყველას იზიდამდა და ანატრებდა, გამძლარიყო იმათის ცქერით. ქერა, მაგრამ ბრწყინავი და რბილი თმები, რომელიც ხშირს ნაწნავებად ეყარა მხრებზედ, ბევრს მოხვეის ქალს შურს ალუძრავდა. ამას დაუმატეთ იმის მხიარული ხასიათი, სიმღერისა და თამაშობის ცოდნა, განთქმული ხელ-საქმე და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბევრს მოხვეს დაუფთხობდა ძილს იმაზედ თვიქრი.

მესამე დედა-კაციც იყო შუა-ხნისა, გამხდარი და მალალის ტანისა. იმის გაცრეცილი პირისახე და სიცოცხლეს მოგლებული თვალები, ამტკიცებდენ, რომ დიდი ხანია ავად-მყოფობას «დაუგდია» და შეუბრალებელს სენს შეუპყრია მთელი იმისი აგებულება. ეს გახლდათ ციგოს დედა «ხაზუა.»

როდეს-ღაც ამ ოჯახობას წამოსადეგი სიცოცხლით საკუსე კაკ-კაცები აღვიძებდენ მუდმივის ლხინით და არ აკლებ-

დენ სტუმარს და მოგეთეს, მაგრამ «შავ-თვალას» ქმარი გაიტაცა თავისუფლების სურვილმა და აბრაგად (ყაჩაღად) გავარდნილმა ჩიმის ციხესთან დალია სული ყაზახებთან ბრძოლაში.

იმისი ორი შვილი შეიქნა მსხვერპლი ოსმალებთან ბრძოლისა; მესამეც ბეგარაზედ გაგდებული, რუსის ჯარებისთვის გზების საგეთებლად, თოვლმა დამარხა.

ამის შემდეგ ამ სახლობას შაადგენდენ მარტო ეს სამი დედაკაცი, რომელთაგანაც უფროსს ახსოვდა ის დრო, როდესაც ჯერ საქართველო რუსეთს არ შეერთებოდა, შუათანას რადენიმე სიახრული ქმარ-მაზლებთან და უმცროსს კი მარტო გაჭირვება, ბეგარა, უსამართლობა და, რაც ყველაზედ საზიზღარი იყო იმისთვის, რუსების სახლში ჩაყენება, რომელთ ჩვეულებრივი დაურიდებლობა, გარეყვნილი ოხუჯობა ლ ლაყლანდარობა ამღელვარებდა, აშფოთებდა იმის თავ-მოყვარეობას.

«შავ-თვალა» და ხაზუა გერის ბირას ისხდენ, გაეშალათ ხოხჩა, რომელზედაც ეწყო ნაცარში გამოცხვარი ხმელი ქერის ბური (გუდუნა), რამდენიმე თავი ხახვი და წყალში გახსნილი მარილი. იქვე გვერდით ედგათ ბატარა გოგა «კაბრით» *).

ციკოს გრძელის ახალუხის კალთები უკან გადაეგდო, ჩაეგდო განიერს მეშის სარტყელში, სიოვაქიზისთვის ჩამოეთვარა «ყულანა» (თვრთუკი) და ისე მისჯდომოდა გერას. ცეცხლზედ ჩუხჩუხებდა საკიდელზედ ჩამოკიდებული ქვაბი, რომლის ყურისთვისაც ქალს ხელი გაეკვლო და შეუჩერებლივ ანძრევდა.

«შავ-თვალამ» აიღო ბური, გასტეხა, და ღმერთის ხსენების შემდეგ უკმაყოფილოდ წამოიძახა:

---

*) «კაბარი» ქატოსაგან გაკეთებული სასმელია.

— აბა, რაი უნდა უყო ამას?... ქვასავით გამხმარა და ჩემთვის კი ალარც კბილებია, ალარც ლრძილები!

— მარილ-წყალში ჩაწე და დალბების, უპასუხა ხაზუამ.

მოხუცმა დაუწყო მარილიან წყალში ჩაწება პურს, მაგრამ ნაცარში გაქვავებულს რა გაალბობდა ისე ჩქარა? ამისთვის, ამოლების შემდეგ, მოხუცმა გამშრალის ტუჩებით ბავშვსავით წუწნა და წოვა დაუწყო ამ უცნაურს საჭმელს.

— ციკო! მიუბრუნდა «შავთვალა» ყმაწვილ-ქალს.

— რაი გინდა?

— კარტოხას თუ არ ხარშამ? *)

— არა — «ხინკლებია» **). ამ სიტყვაზედ ციკომ ხელი შეაჩერა

— ნუ გაჩერდი, ქალავ, ერთ-ურთს მიეკვრიან, დასძახა დედამ.

— ნიკრის ხინკლები, უკმაყოფილოდ წარმოსთქვა მოხუცმა. —რაი ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება?!... ლთის მადლმა, ცოდობრალის მეტი არც რაია!... ცხოვრება ბარადაა, რომ ყველათვერი იშოვების... აბა იქ რას გაიჯირვებენ მარხოჩი?!... ლებიო, მწვანილი, ნიკოზი, ზეთი, ლთის მოწყალება ყველა იშოვების.

— კარტოხაი მოგიხარშო? ჰკითხა ციკომ. აი აქვე ჩაკეური, უჩვენა ქვაბზედ.

— არა, ქალაისი, ნიკრიანი არ მინდა.

— ცეცხლში ჩაგიფლა?

---

*) კარტოხი—კარტოფილი.

*) ნიკრის ხინკალი — ცომში გამოხვეული დანაყილი ნიორი, წყალში მოხარშული.

— შენ იცი.

ის იყო ციკო წამოდგა «კარტოხის» მოსატანად, რომელსაც კარები ვიღაცა დაარახუნა, ციკო შესდგა და ისე დარჩა რამოდენსამე ხანს.

— ვინ იქნება ამ შუა-ღამისას?

— კაიმე დაღუპულმა! დაიძახა ციკომ.—რუსები თუ მოიყვანეს დასაყენებლად.

— რუსები იქნებიან მაშ ცხო ვინა?

კარებიდამ მოისმა კიდევ ბრახუნი და კაცის ხმა.

— შინ არაკინაა, თუ რაია?

— ვინა ხარ, რაი გინდა? ჰკითხა ხაზუამ და წამოიწია კარისაკენ.

— მე კარ, გაალე.

— პაკლიაი არის, წასჩურჩულა დედას ციკომ,—ყაზახი პაკლიაი.

— პაკლიას რაი უნდა ამ შუაღამისას?

— რუსებს მოიყვანდა დასაყენებლად.

— პაკლიაუ, შენა? გასძახა ხაზუამ.

— ჰო, მე კარ.

— რაი გინდა?

— გაალე კარი.

— თუ საქმე გაქვს, მანდედანაც გვეტყვი, კარს რაისთვის გაკაღებ?

— საქმე მაქვს, მაშა...

— რაი საქმე.

— გაალე და მაშინ გაიგებ.

— დედაისი, ნუ გაუღებ, შეეხვეწა ციკო.

— გაალე, რაიღა! არ ისვენებდა პაკლია.

— რაისთვი გაკვლა?—არ გაკვლებ.

— ხელმწიფის სამსახურის კაცს რაგარ შეგიძლიან კარი არ გაუღა? მოისმა მეორის ხმა.

— რას თავს იგდებთ, ვილაცანი ხართ?! შეუტია მოხუცმა. — ამ შუა-ღამისას რაი კარების გაღებისაა?

ცოტას ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობოდა, რომ გარეთ მყოფნი რჩევაში იყვნენ.

— ხაზუკ! ბოლოს მოისმა ბაკლიას ხმა.

— რაი გინდა?

— დუქანი გატეხეს და მთელი საოფელი ამბობს, რომ ქურდებიც და ნაქურდალიც თქვენს სახლში არის დამალულია... მე ვეუბნები, რომ თქვენ ისეთი ხალხი არა ხართ, მაგრამ არ მიჯერებენ... გაალე, დეე თითონ დარწმუნდენ, რომ თქვენი სახლი ქურდების ბინა არაა.

— ბეჩა! ადრეკე იტყოდი, შე ცოდვიანო! მისცა ხაზუკმ ბასუხი და გაჯავრებულმა ხელი გაავლო კარების ურდულს.

— რაიო? იკითხა მოხუცმა.

— დუქანი გაუტეხიათ და ეჭვი ჩვენზედ მოაქვთ.

— გაუღე, გაუღე!..ნახონ თავიანთ ბედნიერის თვალით, ნახონ.

ხაზუკმ ძლივს მოასწრო კარების გაღება, როდესაც ხუთი შეიარაღებული კაცი შემოვარდა, მივარდა პირდაპირ ციგოს, რომელიც შიშით კედელთან მიკუნჭულიყო. ერთი ამ ხუთთაგანი იყო მთიელი გუგუა, რომელიც ციგოს სიყვარულს შეეჭურა და სხვებთან ერთად იმის მოსატაცად მოსულიყო.

გულ-გახეთქილი მოხუცი და ხაზუა კარებში ჩაუდგნენ.

— ჩვენს ლეჩაქებს ეცით პატივი.

— ქუდები გხურავთ, მანდილები ხომ არა.

— ნამუსი ალარ გაქვსთ, აბუ!

ერთი-ერთმანერთს არ აცლიდენ მოხუცი და იმისი რძალი.

შემოსულებმა პასუხი არ მიუგეს, მისცვივდენ ციკოს და წივილ-კივილით კარებისკენ წაიყვანეს.

ციკოს დედა დაებღაუჯა იმათ, მაგრამ ჩქარა მოიშორეს თავიდგან ლ ხელის კვრით იქვე მდგარს გოდრებზედ «გადარეხვეს.»

მოხუცმა, რა ნახა, რომ ხვეწნა ალარ გადის, მთის ხალხში შემოღებული უკანასკნელი საშუალება იხმარა: მოიხადა თავიდგან მანდილი და წინ თვალებ-ქვეშ გაუშალა.

— ჩემს მანდილს დასდეთ პატივი!

ამ შემთხვევაში, მთიელთ ჩვეულებით, ორი მოსისხლე რომ ერთმანერთზედ იარაღით მისული ყოფილიყო, იმათ მძვინვარების წასაქეზებლად იქვე მოკლული ძმა, ან შვილი ჰგდებოდათ, მებრძოლთ თვალ-ქვეშ მერდინის ჩაგდების შემდეგ, ისინიც კი ხელს აიღებდენ ერთმანერთისაგან, მაგრამ პაკლიას ლ იმის ამხანაგებს კი ეს წმინდა საახალხო ჩვეულება საძასხარად და საასაცილოდ ეჩვენა. თითონ გუგუ კი იქამდის გაეტაცა ციკოსთან შეერთების სურვილს, რომ გონება-დაბნეულს ვერ მოეაზრა, რას სჩადიოდენ იმისი ამხანაგები, რომელნიც გარეულნი მებატონე ღუდუშაურთან და ნაჩალნიკ-დიანბეგებთან გდებით, საჯირიოდ ალარა სთვლიდენ ძველი, წმინდა საახალხო ჩვეულება უმანკოდ და შეურყეველად შეენახათ. იმათ გადალახეს მოხუცის მერდინი და ხარხარით გააქციეს ქალი, რომელსაც ყვირილით და ჩხავილით მოხუცი უკან მისდევდა...

ისინი შესხდენ ცხენებზედ, რომელნიც იქავე ეყენათ და წუთზედ თითქოს ჩაინთქნენ ღამის უფსკრულში; მოხუცს კი თავის ძველი დრო მოაგონდა და გასაგმირავის ხმით დაიძახა:

— სოფელო! მდევარი, მდევარი!... მტერ მოგვდგომია კარს!

ხალხი ისევ ძველებურად, ისევ მარდად, საჩქაროდ და

შეიარაღებული გამოცვივდა სახლებიდგან, მაგრამ რა შავთვალას მიუახლოვდენ და გაიგეს მიზეზი იმის მწუხარებისა, ყველანი უცებ გაჩუმდენ.

— კაცები ვერ იცან, ვინ იყვნენ? ბოლოს ჩვეითხეს იმას.

— ჩვი, ჩვი, რომ ვიცან!... ერთი ბავლია, მეორე მიხეილა ყაზახები, ორნიც ლუდუშაურიანთ ბიჭები და ერთიც ზალიანთ გუგუა... არ იქა, გასწიეთ... აი, ასე წავიდნენ... ეუბნებოდა მოხუცი და გულ-დაწყვეტილი უყურებდა ხალხს, რომელიც იარაღით ხელში იდგა და ვერა მოეხერხებინა-რა.

— თუ დაიცები გახდით?... ჭუდებს რაისთვი-ლა ატარებთ?.. რაისი გეშინიანთ—ისინი სულ ხუთნი არ არიან?... თითოს თითო ტყვიაზედ მეტი რაი შეუძლიან?...

— რაი ვქნათ შავთვალაისი, ძალა აღმართსა ხნავს!... რაი გაგვიკვ ლუდუშაურებთან, ხემწიფის სწორი ხალხი არიან... ბავლიაა და ყაზახია...

— ზოგი ყაზახია, ზოგი ლუდუშაურიანი!... წამოიძახა ერთმა მოწიფულმა ბიჭმა.—ჩვენ კი ალარ გვეცხოვრების მაგათგან-და!... სული მოგვებეჭინა ყელში!...

— მართალს ამბობ, ლთის მადლმა! მოუწოდეს სხვებმა.

— წავიდეთ, გავწყდეთ, ის გვირჩევნია ამ ცხოვრებასს!

— მოიცა-ლა ეეზიაუ! შეაყენა ერთმა.

— მოცდისა ალარაა, ვისაც გული გერჯისთ, მომყეეთ! დაიძახა იმან და გასწია, მაგრამ დანარჩენები ისევ იქ იდგნენ და ვერ გაებედნათ შებმა დიდს ბატონთან და ხემწიფის სამსახურში მყოფ ყაზახებთან.

— მაშ მე მოვიცდით ავრალი! დაიძახა «შავთვალამ» და ერთს გამოსტაცა ხანჯალი.—მოვიცდით თქვენი ჭუდი, თქვენ კი დაიცის მანდილი დაიხურეთ და ისე იარეთ.

— მოიცადე, მოიცა, შავთვალაო!... დროება გამოიცვალა, რაი უყოთ!... უსამართლოება გაძლიერდა, ნამუსი და სირცხვილი ალარაა...

— რაი დროება გამოიცვალა, რას რატრატებ!... ძალიანი და ავი ხალხი უწინაც იყო და ახლაც არის, მხოლოდ უწინ ხალხს პირი ჭქონდა, უსამართლოს და ძალის დამტანს მალე მაგიერს გადუხდიდენ... კაცი ნამუსისთვის სცხოვრებდა და ნამუსისთვის სიკვდილისაც არ ეშინოდა. თორემ დრო რაია! დრო კი არა, თქვენ დაიღუპეთ, თქვენ დიაცებათ გახდით... ფუი, თქვენს ნამუსს! მიათვურთხა მოხუცმა, რომელიც თითქოს გასწორდა წელში და გაჭყვა პირველს მდევარს.

ხალხს შერცხვა, რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი გამოუდგა მოხუცს, იმათ გამოეკიდნენ კიდევ რამდენიმე და ცოტა ჩოჩქოლის შემდეგ, მთელმა სოფელმაც იგრიალა და პირველებს გაჭყვნენ.

II

დიდი ორ-სართულიანი სახლი, უხერხულად და უშნოდ აშენებული, როგორც ყველა ძველი მებატონის სახლები, გაჭიმულიყო ერთის პატარა მინდორზედ, რომელსაც სამ-კუთხიც ტყე ჭქონდა შემორტყმული და იმის იქით კი სოფელი იწყებოდა. გარს შემოვლებული მაგარი გალავანი სათოფურებით ნამდვილად საომრად იყო მოწყობილი და, თუმცა ახლანდელ ზარბაზნის ძალას ვერარ გაუძლებდა, მაგრამ უწინდელ დროში კი სწორედ აუღებელ სიმაგრედ ჩაითვლებოდა.

ეს გახლდათ სახლი თავადის გორჯასპ ღუდუშაურისა,

რომელიც ხემწიფის წყალობას და თავის ქცევას ისე დაემსხვილებინა, ისეთი ქონები მიეკრა იმის შეძლებისა და აგებულებისთვის, რომ კისერს ძლივს-ღა იბრუნებდა.

რასაკვირველია, გორჯასპის, გვამის გასიების გვარად, ძალაც წესიერად ემატებოდა; ამ მიზეზით თითქმის მთელი მთის ხალხი ხელთ ჩაეგდო და ამათი ბედ-იღბალი იმის გალიმებაზედ, თუ წარბის შეჭმუხვნაზედ იყო დამოკიდებული.

სამსახურში ცხოვრება იმან კერ თოლმაჯობით დაიწყო, მერე დიანბეგობით; და ადგილით თუმცა ამაზედ მაღლა არ წასულა, მაგრამ ჩინები, წყალობა და საჩუქრები კი უწყვეტლივ ემატებოდა. ან რად უნდოდა ადგილის გამოცვლა, როდესაც მთელი მთის ხალხი, უსამართლო ძალ-დატანებით დამშვიდეს, დაამონეს და დღემდის ალსრულებინებენ იმას, რის გაგონებაც კი ყველასთვის შესაძრწუნებელი არის *).

გორჯასპ სცხოვრობდა, ჭყვლეფდა სხვებს და თითონ კი იმოსებოდა; სუქდებოდა და პატივი და ძალა ემატებოდა.

ოთველი ბედნიერი დღე ყანის (ხარჯი) გადასახადად დაიდვა იქაურის ხალხისთვის და ისიც ოთველის უარის უთქმელად უზიდავდა; ცხვარს, ხბორებს, ბატკნებს, ყველს, ერბოს, თუულს, ყველაფერს რაც კი სახლში მოეპოვებოდა და ეს ყველა გორჯასპის სახლში ჩაითქებოდა.

გორჯასპ მემკვიდრეობით მთის კაცი არ იყო; იმან თავისი საქმიანობა ერთს მთის მებატონესთან დაიწყო და, როგორც ზეკითა ვსთქვით, თუმცა თოლმაჯად ირიცხებოდა, მაგრამ საქმით კი დიდის ბატონის ბაზიერობას ალასრულებდა და

---

*) იხილე «დროება» 1880 წლისა «მოხევეები და იმათი ცხოვრება.»

263

რიდესაც ხეკის მებატონე სანადირიდ გაბძანდებიდა თავის ქორ-მეძებრებით, ურიცხვის ცხენოსნებით და ქვეითა ხალხით, ბატონი გორჯასპ შეკიდიდა ბუჩქებში, შეიუკანდა მეძებრებს ლ ხმის ჩახრინწიანებამდის გაჭვიდა: «შავო ძალო, შენ მაცხონე, შავო ძალო, შენ მაცხონე!... მანდ არისა!... მანდ არისა!... გაგეპარა შენ ნუ მიმიკვდე!... ჭა, ჭა, ჭა, ჭა, ჭა, ჭა!..» ხან მიუწკრიალებდა და ხან მიუმსხვილებდა ხმას იმის დაგვარად რა რიგი მეძებარი იდგა იმის წინ და რა გვარად იქნეკდა კუდს.

დრეება გამოიცვალა, გორჯასპ შეიქნა ხეკის ბატონი და თითონ ისიც კი, რომელსაც გორჯასპ მეძალლეთა ჭყავდა, შეიქმნა ამ ბაზიერის ქკეშეკრდომი და სხვებისამებრ დაედო მისი ყალანი.

გორჯასპმა იყიდა, თუ ისე იშოვნა, პატარა მიწა, იმ მიწამ მიიზიდა მეორე, მეორემ მესამე და ამ გვარად კარგად და რგვლად შემოიზღუდა იმის სამფლობელო. მამულს მიემატა ყმები და გახურდა მუშაობა!...

ამ ხალხს კარედ გორჯასპს მიეხვია კიდევ ერთგვარი ხალხი, რომელიც არც მოჯამაგირედ ჩაითვლებოდა, არც ყმებად და არც სხვა მოხელე ხალხად. თუმცა იმათ ღვთისაგან განჩენი არა გაჩნდათ-რა, არც გორჯასპისაგან ეძლეოდათ რამე, მაგრამ ყოველთვის კი გამოპრანჭულნი, ცხენებით და ჯიბეში საკმაო სახარჯოთი დაბძანდებოდენ! საიდან რას შოულობდენ, სად რას პოულობდენ, გადაწყვეტით ვერავინ გიჭასუხებდათ, მაგრამ ავი ენები კი ყურში ერთმანეთს წასჩურჩულებდენ, რომ «ამა და ამ ლამეს გორჯასპის ბიჭებმა ესა და ეს მგზავრი გაცარცვეს, ესა და ეს დუქანი გატეხეს ლ სხვა.» რასაკვირველია, რომ ეს ყველა გორჯასპის უხილვე-

კ. ბარამიძის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ლად ვერ მოხდებოდა, არც წილ-დაუდებელი დარჩებოდა ჩინებული და სახელოვანი მებატონე, რომელსაც საქმე ისეთის ცბიერებით მიჰყვანდა, რომ ყველანი ჰფიქრობდენ: გორგასლის მთიდგან მოშორება და მთის ხალხის არეულება ერთი იქნებაო.

ერთს საღამოს, სწორედ იმ საღამოს, რომელსაც ზემოთაგში აღწერილი შემთხვევა მოხდა, გორგასალ თავის ბალკონზედ ბძანდებოდა და შეეძცეოდა ჩინებულს ჩაის, დანით საჭრელს ნაღებს ან მობრაწულს ნაზუქს, რომლისთვისაც კვერცხსა და კარაქს სიყვითლის ფერი მიეცა.

ეხლა გორგასალს დაენებებინა საამსახურისთვის თავი და სტკბებოდა შინაურს განსვენებაში.

იმისი ცოლი, გატყლარჭული, გასიებული გომბიო, გაწითლებულის და მუდამ ოფლიანის სახით და ხელებით, გატყლარჭულის და ჭყატანას თავსაგრავით შუბლზედ, იქვე «იდო» კრესლაში, რომელშიაც ძლივს ჩატეულიყო ან ყოველ წამოდგომაზედ კრესლო თან უნდა აჰყოლოდა და ბიჭებს უნდა გაენთავისუფლებინათ მძიმე ტვირთისაგან ნაზი ქალ-ბატონი.

ამას დაუმატეთ პატარა ტანი, მოშვებული ხორცი, რომელიც, მთელს ტანზედ, ნაკუთ-ნაკუთად ეკიდა, დიდი და წითელი პირისახე, დიდრონი ჭრილა მუდამ გაჭყეტილი წარბებგაცვივნული თვალები, და თქვენ შეგეძლებათ დაახლოებით წარმოიდგინოთ, საპატიო კნეინა ლუდუშაურის სურათი.

იქვე ბძანდებოდა გამხდარი, გალეული პატარა ტანის კაცი, პატარა ურიულის წვერით და გრძელის თხელის ცხვირით. ეს გაბლდათ ახალი დიახბეგი, რომელიც ხლებოდა გორგასალს. იმისი მიხრა-მოხრა, იმისი პასუხები, მუდამ ცმუკვა და მოკრძალვით ლაპარაკი ამტკიცებდა, რომ განუსაზღვრელს

თაყვანს სცემდა გორჯასპის ღირსებას და აშკარად ეშინოდა რომ სახლის-პატრონს არ მოეწადინა იმის ჭიასავით გასრესა, მიწასთან გასწორება, რომელიც ისე ადვილად შეეძლო იმ დროს, იმ ადგილების ღმერთს.

— საშინელი მხეცი ხალხი გახლავსთ, ეს მთის ხალხი... დაიწყო დიასბეგმა და ჭიაყელას მზგავსი გძელი კისერი გადიგდო გვერდზედ.

— ოო, საშინელი! წამოიძახა ბოხ ხმაზედ სახლის პატრონმა.

— ვერაფერი ჩამიგონებია.

— მაგათ მათრახი, მათრახი და მათრახი... მისცა რჩევა ისევ სახლის უფროსმა.

— მათრახი, მაშა?... მთის ხალხი ბრიყვია, გაუზდელი, თუ ერთხელ ნება მიეცი, თავზედ წამოგვასხდებიან. დაუმატა ქალ-ბატონმა და გადისვა ხელცახოცი შუბლზედ, რომელზედაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— აი, ამასწინად, ბატონო, დაიწყო ისევ დიასბეგმა,—ხომ მოგეხსენებათ ხალხი ბეგრით შეშასა ზიდავს, აძლევენ კვიტანციებს, მერე იმ კვიტანციებს ჩემთან წარმოადგენენ და მე უნდა მივიღო ფული ხალხის დასარიგებლად... მომივიდა კვიტანციები, ალარ მახსოვს რამდენის საყენისა გახლდათ, მივიღე ფული სამას სამოცდა-ხუთი თუმანი და ხალხს დავურიგე...

— სულა? იკითხა გორჯასპიმ.

— დიაღ, შიშით შეხედა დიასბეგმა.—ბოლოს წარმოიდგინეთ, ამიტყდენ: რომ სამას სამოცდა-ხუთი თუმანი კი არა, შვიდას ოცდა-ათი თუმანი გვეგდებოდა!

— ბიჭოს! გაკვირვებით წამოიძახა გორჯასპიმ.

— სწორედ აგრე გახლდათ, თქვენმა სიცოცხლემ.

— საიდგანაო, რა ვიცითო?

— რა მოგახსენოთ!... ერთი მაგოდენა ფული კიდევ გვერგებაო... გადამეკიდნენ და აღარ მომეშვნენ... «ნუ დაგვლუპავთო, რად გინდათ ჩვენი ცოდვაო.»

— ცუდად მოქცეულხართ, გაიწყვეტინა მებატონემ.

— დიანბეგი გაფითრდა და ენა-დაბმულმა ძლივს-ღა ამოიღო ხმა.

— რ-რ-რ-როგორ?

— ისე, რომ ნახევარი მიგიცია!

— უცნაური კაცი ხარ! მაშ სულ ხომ არ მისცემდა? დაუმატა ცოლმა.

— ნახევარი კი არა, სულ მივეც კნეინავ...

— არა მაგას კი რად ანბობ?... მე ხომ ვიცი, რამდენიც გამოდის ფული... ჭეშმარიტად, რომ ცუდად მოქცეულხარ, წარმოსთქვა გორჯასპიმ.

დიანბეგმა ჩაღუნა თავი, ტუჩებმა თრთოლა დაუწყო, მთლად გაიწურა, დარწმუნდა, რომ დამაღვა აღარა ხერხდებოდა.

— მაშ რა უნდა მექნა? წარმოსთქვა იმან.

— რა უნდა გექნა?... სულაც არ უნდა მიგეცა!

დიანბეგი ერთბაშად გაცოცხლდა. ის სრულებით სხვა საუბარს მოელოდა და ერთბაშად—დახე ბედს—რა სიტყვები გაიგონა!

— სულაც არ უნდა მიმეცა? გაკვირვებით და მოცოცხლებით ეკითხა იმან.

— რასაკვირველია...

— ეგ როგორ შეიძლებოდა?! წამოსცდა დიანბეგს, რადგანაც სხვა-და-სხვა მოაზრებამ თავ-დაგიწყებამდის მიიყვანა.

— ალბად შეიძლებოდა, რომ ჩემი ქმარი გეუბნებათ! შებდვირა ცოლმა.

დიანბეგმა იგრძნო, რომ სისულელე წამორომა და ისევ მოიკუნტა.

— აი როგორ... ჯერ არ უნდა გამოგეცხადებინა, რომ თუული მოგვიდა... რამდენიც უნდა ეთხოვათ, შენ უნდა გეპასუხნა: «ჯერ არ მოსულა, მე რა გიყოთ, ხომ იცით რუსები არიან ჯ დღეს-ხვალობა იციან-თქო...» მერე მოსწყინდებოდათ სიარული... მასუკან დაიბარებდი ერთს ათი-ოდე კაცს, ნაცვალს და მიღების ბარათს ჩამოართმევდი... მაგაზედ ადგილი რა არის?

— როდი მომცემდნენ! ცოტა თვალების მაღლა აწევით და ხმის კანკალით გაბედა დიანბეგმა.

— განა იმას ეტყოდი, რომ ეს თუულის მიღების ბარათია?... უნდა გეთქვა: ეს ბრიტოგოლია ამა და ამ საქმეზედ, თუნდა ეტყოდი, რომ სახელწიფოდ მიწა უნდა გამოგიგიდესთ-თქო... იმათ კითხვა არ იციან და რა მიწის სახელს გაიგონებდენ, მთელი სოფელიც კი ხელს მოაწერდა, არამც თუ რამდენიმე კაცი.

— დაიღ, დაიღ...

— ნახეთ, რომ შესაძლებელი ყოფილა. ნიშნის მოგებით დაუმატა ცოლმა.

— აბა კნიაზ გორჯასპისთანა ჯკუა მე ვინ მომცა? დაიმდაბლა თავი დიანბეგმა, რომელსაც ისე შენანდა გლეხებისთვის მიცემული სამას სამოცდა-ხუთი თუმანი და გულმა მწუხარებით დაუწყო ძგერა-

— რა მომიგიდა, რა მომიგიდა! რაზედ დავიღუპე თავი! ჭფიქრობდა ისა ჯ იწყევლიდა თავის უტვინო გოგრას. მთრთოლ-

კარე ხელმა რამდენჯერმე გაიწია თავში შემოსაკრავად, მაგრამ დიანბეგმა შეიკავა, რათა ამ გვარის საქციელით თავადისადმი ლირსეული პატივისცემა და ზრდილობა არ დაერღვია.

— აი ეგრე უნდა, ჩემო კარგო, თორემ ყოველთვის გახრეკილი დარჩები!... ვინც იშოვის რასმე, მალლებშიაც იმასა აქვს პატივი, შემწესა და მშველელსაც ის იშოვის, ვინც შენსავით მოიქცევა, იმას მალე ამოუსმენ პანჩურს. ოო! შეძლება და ფული დიდი რამ არის... ფული საპოხსა ჭგავს... ურემი, რომ ჭრიჭინს დაიწყებს, საპოხს ამოსცხებენ და გაჩუმდება, კი იმას ვისაც ლერძის გასაჩუმებელი საპოხი ვერ უშოვნია.

ამ დროს ბიჭი შემოვიდა, ყურში რაღაც წასჩურჩულა ბატონს, რომელიც წამოდგა და სახლში შევიდა.

— როცა მაგისთანა საქმე გქონდეთ, ჩემს ქმარს უნდა ჭკითხამდეთ, დაიწყო კნეინამ, ცოტა სიჩუმის შემდეგ და მოიწმინდა ჩამოშვებული ტუჩები, რომლის ნაპირებშიაც დორბლი მოსდგომოდა.

— ამის შემდეგ უთქვენოდ საქმეს როგორ-ღა დავიწყებ!

— აბა, რაზედ დაკარგეთ ისე უბრალოდ სამასი თუმანი?

— სამას სამოცდა-ხუთი! ოხვრით გაუსწორა დიანბეგმა.

— წელან კარგად გითხრათ ჩემმა ქმარმა, ფული საპოხსა ჭგავსო...

— სწორედ, სწორედ, თქვენ ნუ მოიგვდებით!

— რა გენაღვლებოდათ სამოცი თუმანი საპნად წასულიყო და სამასი თქვენ დაგრჩენოდათ?

— ასი წასულიყო, ჯანი გაკარდნოდა—ორასი... დანარჩენი ხომ მე დამრჩებოდა!

— რას ბძანებთ? გაგრძელა კნეინამ.—გამოუცდელობა ძნელია.

ისინი ამ ტკბილს საუბარში იყვნენ; ლირსეული კნეინა

არიგებდა დიანბეგს, რჩევას აძლევდა და სიფთხილით არწმუნებდა, რომ იმისი ქმარი ჭრიჭინა ღერძია, რომელსაც საბნის ამოცხება უნდა და ამის შემდეგ თვიქრი ალარ უნდოდა, ყველაფერი რიგზედ წავიდოდა.

სანამ მქადაგებელი მაგალითებით ამტკიცებდა თავის საუბარს, და მოწამე განსაკუთრებულის ყურადღებით მოისმენდა იმის სიტყვებს, გორჯასპთან კაბინეთში შემოვიდა ორი მთლად შეიარაღებული ყმაწვილი კაცი და მდაბლად თავი დაუკრა.

— ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა.

— გაგიმარჯოსთ, გაგიმარჯოსთ! რა გინდათ?

— შენი დღეგრძელობა.

— სხვა?

— აი რა, შენი ჭირიმე... ეს ზალიაშვილი გუგუა გახლავთ.

— ჰო, მერე?

— ამას მეტად მოსწონს ერთი ქალი, იმის გატაცება უნდა შენი ჭირიმე და შენს დაუკითხავად ვერ გაუბედნია.

— კარგი, კარგი, ცოტა თვიქრის შემდეგ წარმოსთქვა გორჯასპმ. მერე ქალი რას ამბობს?

— იმ ქალს სახლში კაცი არავინა ჰყავს. ერთი ბებერი სულაუეფეებული დედა-კაცია, ბებიაია იმ ქალისა და ის არ სჩადის, თორემ, რამდენჯერ ვითხოვეთ—იცრუა უცნობმა.

— თუ შენი წყალობა გვექნა, ჩვენ სხვა არა გვინდა-რა.

— წყალობა წყალობაა, მაგრამ თუ ქალი არ ისურვებს?

— ქალს ვილა ჰკითხავს შენი ჭირიმე, უწინდელი დრო ხომ ალარაა, რომ თემობით გამოგვეკიდნენ?...

— მართალია, მაგრამ თუ ქალს არ უნდა, ძნელია.

— შენ რაი გაგიჭირდება, ხემწიფის სწორი კაცი ხარ! შენს სამსახურსაც არ შეგირჩენთ.

— კაცები გუაგსთ ვინმე? მოლბა მებატონე, რა სამსახურზედ ლაპარაკი ჩამოგვრდა.

— გვუაგს შენი ჭირიმე. უპასუხა უცნობმა და უბისაგენ წაიღო ხელი.

გორჯასპიმ მსუნაგად თვალი გაადევნა და რადგანაც იცოდა ამ მოძრაობის შედეგი რაც იქნებოდა, უთვრო მხიარულად დაუმატა:

— მაშ საქმე გაჩალხული ყოფილა!—წადით და მოიტანეთ, მისცა დასტური მებატონემ.

— მოვიტანებთ, შენი ჭირიმე, მაგრამ შენი წყალობაც გვინდა. ამ სიტყვებთან ერთად უბიდგან ამოიღო ნაკუწი გამოგრული რალაცა, გამოხსნა და მიართვა გორჯასპის.

— ეს რა არის? ლიმილით იკითხა იმან, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რაც იყო.

— შენი სამსახური, შენი ჭირიმე, შენი სამსახური... ცოტასათვის ნუ გაგვიწყრები და კიდევ შენ ხელთ გახლავართ... კიდევ გემსახურებით.

— რადა სწუხდებოდით, რადა? მიცემული საჩქაროდ იჭიბა გორჯასპიმ და დაუმატა:—განა უამისოდ კი არ შეგეწეოდით.

— სულ შემწე ხარ და სულ მწყალობელი, შენი ჭირიმე!... ხეკს შენით უდგია სული, ღვთის მადლმა!... ცოტასათვის ბოდიშს ვიხდით, სულ ცხრა თუმანი გახლავს და კიდევ გაგიწევთ სამსახურს.

— კარგი, კარგი... ჩემს ბიჭებსაც გამოგაყოლებთ, დასაბეგიც აქ არის, იმის ყაზახებიც წაიყვანეთ და მაგას კი მე თითონ მოგელაპარაკები.

— შენი წყალობა მოგვცა ღმერთმა, ჩვენც არ დავკარგავთ სიგეთეს.

ამითი გაათავეს ლაპარაკი და მკითხველმა კი თავიდგანვე შეიტყო, რომ «ციკო» ამ ხალხმა მოიტაცა.

III

გუგუ იყო შეძლებულის კაცის შვილი და მაშასადამე რაოდენადმე სხვებთან შედარებით განებივრებული; ლამაზი, მოხდენილი, გულ-კეთილი გუგუ მთის ხალხის ჩვეულებაზედ იზდებოდა. მთელი საღამოები და უქმი დღეები მამა-ბიძანი უამბობდენ მთის ხალხის წარსულს ცხოვრებას, იმათ ხასიათსა და ჩვეულებაზედ, თემის პირის სიმაგრეზედ და ლაღვტის სისაძაგლეზედ. მაგის გარეშე, იმის აღზრდაზედ დიდი მოქმედება ჰქონდა თემის ყრილობას, იმათს გადაწყვეტილებას ან სხვა გვარს საზარელი ყრილობას, რომელზედაც საოთემოდ ლაპარაკობდენ საერთო საქმეზედ, ხალხის ბედ-იღბალზედ. მართალია, გუგუს დრეს ხალხზედ ზრუნვა გადავიდა თვითეულს პირზედ, რომელიც უმაღლესის მთავრობისგან ინიშნებოდა; მართალია, საზარელი ყრილობა თან-და-თან უფრო იშვიათად ხდებოდა და ჩაკარგავდა თავის ფერს და ხალხზედაც ისეთი მოქმედება ველარ ექნებოდა, როგორც ადრე, მაგრამ გუგუს ხასიათზედ მაინც დიდი შთაბეჭდილება იქონია.

გუგუ ადრე დაობლდა, დარჩა მარტო მოხუცის დედის ხელში და რაგორც უპატრონოს, ნაცვლებმა და იასაულებმა ძალა მიაყარეს. ამ გვარი ცხოვრება კი იმისთვის ახალი სკოლა იყო, რომელმაც თავის ხასიათი დაადო. ის შეეჩვია ხვეწ-

ნას, მიეგერებას, რათა თავიდგან აეცდინა მეტის-მეტად ულმერთო და უსამართლო მუშობა. ცოტა ხანს შემდეგ მოუნდა ცხვრის პატრონობა, რადგანაც იმათ მწყემსს, რომელსაც ცხვარი ჭყავდა დაზიარებული, ვადა გაუვიდა.

მეცხვარობაში შეეჩვია სიეთხილეს, ვაჟ-კაცობას ჯ ამხანაგისთვის თავის გადადებას, რადგანაც უამისოდ მეცხვარის ცხოვრება შეუძლებელია; იმათ საერთო ინტერესი, აუცილებელი ერთმანერთის მიშველება იქამდის აერთებს, რომ ლალატი და ამხანაგებისთვის თავის შენახება შეუძლებელი ხდება, რადგანაც მუდამ სხვის ადგილებში მხეტებელნი მარტო საერთო ძალით ჯ ერთ-პირობით იცვამენ თავს და უამისოდ გაცალკევებულნი შეიქნებოდენ სხვა-და-სხვა გვარის ძალის დამტანის ხალხის მსხვერპლად.

თავის მეცხვარეობაში გუგუს აგონდებოდა ის უსამართლობა და ძალა, რომლითაც თავის სიობლეში ისე აწვალებდა მოხელე ხალხი, აგონდებოდა თავისი დედა, რომელიც არა ერთხელ ატირებულა მდუღარე ცრემლით იმ ხალხის უსამართლობით და გული ემღვრეოდა და ნელ-ნელა ხდებოდა იმათ მტრად. ის გარეკავდა ცხვარს საძოვარზედ, მთელი დღე მარტო დასტრიალებდა თავს და ამ გვარი სიმარტოე კი ყოველთვის ამუშავებს კაცის გონებას. ამ გონების მუშაობაში, თავში იბეჭდება ის გადაწყვეტილება, რომელიც იმისმა ჭკუამ გამოიკვლია, და ამ გვარს გამოკვლევაზედ არა მცირედი მოქმედება ჰქონია წარსულს ცხოვრებას, წარსულს შთაბეჭდილებას. ერთს ზაფხულის დღეს, გუგუ მოვიდა თავის სოფელში, რათა ხატში წაეყვანა «დოლის თავი»*), რომელიც მწყემსებს საზოგადოდ თავის ხატისთვისა ჰყავთ გადადებული.

*) პირველი მამალი ბატკანი.

ის მოირთო, მოიკაზმა, გაურია ბატკანი მწყემსს, რომელსაც ხატში უნდა მიერეკა იმ სოფლის ბატკნები და თითონაც გაუდგა მთას, სადაც ნადირობით აპირობდა სალოცავ ადგილს გასვლას.

გუგუ გაკვიდა ნარიანის ჩოხჩხებში სწორედ იმ დროს, როდესაც ამაყად ამართულს გათეთრებულს ყინვარს მზის უკანასკნელი სხივების გვირგვინი დაედგა ტ თავის სიმაღლიდგან სიამაყით გადმოსცქეროდა გამხეცებულს თერგს. თერგიც ათას ნანჩქარებს ისროდა ქვიდგან ქვაზედ, ქაფდებოდა, იკვრებოდა ბურთსავით, განიბნეოდა წვრილს ნამად და გამაცოცხლებელს ფარდახტად ედებოდა ყნოსიერს ხაკერდის მზგავსს ნაზის ფერადით აჭრელებულს ბალახიანს ველებს,—გაჭქონდა რაღაცა მედიდური, თითქოს ერთ-ხმად გადაქცეული გრიალი; რომელიც ხან ამაღლდებოდა და ემზგავსებოდა გამძვინვარებულის ლომის ხმას, ხან შეუვარებულის ნაზ ჩურჩულად გადაიქცეოდა, იმისდაგვარად თუ ქარი საიდგან და რა ძალით დაჭბერავდა, რა რიგად დატრიალდებოდა ხეულს და უსწორ-მასწორო მთებში. ეს იყო რაღაც ამაყი, მედიდური ხმა, გათამამებული ლრიალი, ლრიალი, რომელშიაც გამოისმოდა ათას-გვარი დამყვავებელი და გულის ალმძრავი ნაზი ხმები.

გუგუ დაყრდობილი თავის თოფზედ, მოხიბლული მშვენიერის სურათებით და ნეტარების ალმძვრელის ხმებით, გაჭყურებდა მთებს, სტკბებოდა და ნაზს, მარტო მთის ხალხისაგან ნაგრძნობს, ნებიერებას ეძლეოდა.

ის ამ გატაცებაში იყო, როდესაც ცის ტატნობაზედ, ერთ თეიწალო კლდის წვერზედ, გამოჩნდა «ხარ-ლალი» *), რომე-

*) ხარლალი—რამდენიმე წლის მამალი ჯიხვი.

ლიც იქამდის გადმოიზნიქა კლდეზედ, რომ კაცი ითვიქრებდა— გადმოკარდნას აპირებსო; მაგრამ პატიოსანი პირუტყვი, თითქოს ერთბაშად გაქვავებული დარჩა და შუბლი მიუშვირა გამაგმაგრილებელს ნიავს. შეუჩვევრ თვალს ის უეჭველია ქვისგან გამოკვეთილი ეგონებოდა, ისე გაუნძრეველად და გადმოხრილი იდგა. ცოტა ხანს შემდეგ წყნარად გაიქნია თავი, გადახტა მეორე კლდის კიბწირობზედ და ხელის-გულის ოდენა ადგილზედ ოთხიკე თვხი ერთად მიტანილი შესდგა. იქიდგან გადმოხტა მესამეზედ, მეოთხეზედ და ამ გვარად დაიწყო კარჯიშობა იმ მარტო შესახედათაც გულის გამხეთქს კლდეებზედ, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა თავის სიმარდე და თვხის ძარღვების სიმაგრე.

გუგუ გასცქეროდა და მოელოდა, რომ სათოფედ მოახლოვდებოდა, მაგრამ ხარ-ლავი იმ ადგილს არა შორდებოდა. მოხვეე წამოდგა, მოეთვარა მთას და მალვით სათაური ისე წამოუარა, რომ ან ჯიხვს არ დაენახა, ან ქარს სული არ მიეყარა იმისგან. მონადირე გადაწვა კლდეზედ და ისევ დაინახა ჯიხვი, რომელსაც კარჯიში მოსწყენოდა, გასულიყო კლდის ნაპირად ამოედო სამი თვხი ქვეშ, მეოთხე კი პირდაპირ გაეშვირა და ისე დაწოლილიყო. ნისლი, რომელიც წყნარად მოცურავდა მთის წვერზედ, მიახლოვდა ჯიხვს და ნახევრად გახვია შიგ. პირუტყვს ეტყობოდა, რომ იმას ასიამოვნებდა გრილი, ნოტიო ნიავი, რომელიც ნისლის აუცილებელი თანამგზავრია და ამის გამო სიამოვნებით იწვდიდა კისერს და აგებებდა თავს მომავალს ნისლს. გუგუამ გადუშვირა თოფი, მაგრამ შენახდა პირუტყვი, რადგანაც არ უნდოდა სიამოვნება მოეკლო იმისთვის. მაგრამ დაჭბერა ქარმა და თეთრის გაპუნტილის ბამბასავით ნისლი სახჭაროდ წამოვიდა. მოხვეეს შეეშინდა, რომ ნის-

ლი ჯიხვს არ გადაჭეარებოდა და იმისთანა ხარ-ლალი ხელიდგან არ გამოეცალა. გაკვრდა თოფი, შეხტა ჯიხვი და რამდენჯერმე გადატრიალდა ჭალრში, გადმოკარდა კლდეზედ და ჩაიჯდა ქვების შუა ხეკში.

— კვლაკ უფრო! შემოესმა გუგუს, რომელმაც მოიხედა ლ შორი-ახლო დაინახა ყაზახი ბაკლია.

— გამარჯვება ბაკლიაკ! მხიარულად დაუძახა გუგუამ, რომელმაც გასროლის შემდეგ თოფს წმენდა დაუწყო.

— ძალუამ ჯიხვი მოჭკალ!... მეც მაგას ვეპარებოდი, მაგრამ ლმერთმა შენ მოგცა. უთხრა ახლად მოსულმა.

— ჩემი თოფი ყირიმია, შვიდ ლარიანი. ამაყად უპასუხა გუგუამ.

— თოფიც კარგი გქონია და თვალიც მარჯვე, ლთის მადლია!...

ბაკლიამ და გუგუამ დაიწყეს თოფები, გაიგეთეს წრიაბები, რადგანაც ჯიხვთან ჩასასვლელი გზა მეტად ძნელი იყო და ზამთრიდგან დარჩენილი ყინულიცა ჭქონდათ გასავლელი. აიღეს ჯოხები და ზედ დაბჯენით, ჩქარის სირბილით ჩაიარეს ისეთი ადგილი, რომელიც ამ ადგილებს შეუჩვევრს კაცს გაუსვლელად ეჩვენებოდა.

ბაკლიამ წამოიკიდა ნადირი და ორნიკ თავის თოფებთან ამოკიდნენ; იქ მოაგრეს გამხმარი ბალახი ლ ცეცხლი მოუკიდეს, რათა იმის შუქზედ ხალხს გაეგოთ, რომ მონადირეებს ხარ-ალალი მოუკლავს და ეს კი სასახელო იყო, რადგანაც ხარ-ალალები ისეთს მთის წვერებში დადიან, სადაც ყველა მთის კაცი ვერ შეეზედავს. მონადირეებმა დაისვენეს რაოდენსამე ხანს, შეჭანჭლეს გულ-ღვიძლის მწვადები და გასწიეს ხატობას. ჯიხვი ისევ ბაკლიას ეკიდა, რადგანაც იქაურ მონადირეთა ჩვეულე-

ბით, იმასაც ნანადირევში წილი უნდა ჭქონოდა, როგორც ნადირობის დროს შეხვედრილს. იმათ გადიარეს რამდენიმე ქედი და გავიდნენ ერთს ვაკე მთაზედ, რომლის ერთს მხარეზედ, ამართულიყო პატარა გორაკი და ამაზედ აეშენებინათ უბრალო ჭაჭების გალავანი და შუაში პატარა ნიში «წვერის სპარსანგელოზის» სახელობაზედ. გალავნის იქიდგან გადმოჩანდა დროშები, რომელთაც მსუბუქი ნიავი ათრიალებდა. ვაკეზედ მოჩანდა მრავალი ხალხი, სხვა-და-სხვა თვერს ტანისამოსში. ერთს ადგილს შეყრილიყო ყმაწვილი ხალხი და გაემართა ტაშ-თანდურა, მეორე ადგილს დაებათ თვერხული და ასე ატარებდენ დროს. ზოგიერთებს მიჭყვანდათ ნიშთან ბატკნები, იქ ჭალამდენ დეკანოზები, დაამწყალობებდენ, ღმერთს შეაგედრებდენ პატრონს და სისხლში ამოგლებულის თითით ჯვარს გაუკეთებდენ შუბლზედ. მერე პატრონები დააგლებდენ საკლავს ხელს და რბოლით ჩაათრევდენ საარაყე ქვაბთან, სადაც მლოცველთათვის საერთოდ სადილი მზადდებოდა.

გუგუას და პაველიას თვალი შეჭკრეს და უთვრო ყმაწვილი ბიჭები იმათკენ ძახილით გაიქცნენ:

— მოანადირენი, მოანადირენი! ხარ-ლალი მოუკლავთ! და რა მიუახლოვდებოდენ, შესძახებდენ: — კვლავ უთვრო! ისინი მივიდენ ერთს ადგილს, მოანახეს თავიანთი ბინა, ჩამოხსნეს პაველიას ჯიხვი, რომელსაც მოსჭრეს რქები და ხატს ხვეწნითა და მუხლის ყრით მიართვეს. მერე გამოვიდენ მოთამაშეები და დაუწყეს ყურება.

— შეხედე-ღა, შეხედე. წაჭკრა მკლავი პაველიამ თავის ამხანაგს.

— რაია? იკითხა გუგუამ.

— თოლები სადა გაქვს? გაიკვირვა პირველმა და დაუმატა: —ციკოს ვერ ჭხედავ?

— აბა სადაა, სადა? იკითხა გუგუამ და გულმა ძალზედ ძგერა დაუწყო.

იმას არ ენახა ციკო, მაგრამ იმდენჯერ გაეგონა იმისი ქება, იმაზედ ლაპარაკი, სიმღერა, რომ როგორც მომეტებულს წილს მოხეკვეთ ყმაწვილ-კაცობას, იმასაც ნეტარებად მიაჩნდა ციკოს დანახვა, იმისი გალიმება და შეხედვა.

— აგერ, გაუშვირა ხელი პაკლიამ.

გუგუამ შეხედა და გაშტერებული დარჩა: იმას თვალ-წინ წარმოუდგა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ქალი, რომელიც თამაშობდა ერთს ყმაწვილ ბიჭთან. ციკო თამაშობდა ბავშურის თავდაგიწყებით და აშკარად ეტყობოდა, რომ მთელი იმის არსება ამ წუთის სიამოვნებას შეეპყრო. ციკო დარბოდა, ეცლებოდა თავისთან მოთამაშეს, შეხედავდა გვერდზედ და გაუძვრებოდა მკლავებ ქვეშ, რათა გაშორებული შემდგარიყო და იქიდგან წყნარის გრაციით საკსე მოძრაობით გაეჯავრებინა, აელელვებინა. ის გარბოდა კაცი მიზდეკდა, გზას უკრავდა, ყოველის ლონისძიებით ცდილობდა თამაში შეეშალა ქალისთვის და მოულოდნელად წინ დახვედრით დაემორჩილებინა ცქვიტი გოგო, მაგრამ ციკო განთქმული მოთამაშე იყო, იმისი ხელში ჩაგდება აგრე ადვილი არ იყო. ორნივ ცდილობდენ მოელალათ ერთმანერთი, მაგრამ თითქოს განგებ გასაჯიბრებლად გამორჩეულნი ვერცერთი ვერა სჯობნიდა; ვინ იცის რამდენს ხანს გაგრძელდებოდა ეს თამაში, თუ ერობაშად ერთის მხრიდგან ყვირილი არ მოსმენოდათ და არ გაეგონათ:

— ქადაგი, ქადაგი აკარდა!

ხალხი გაიქცა იმ ადგილისკენ სადაც ერთი შუა-ხნის კა-

ცი დაჩოქილი ეჭირათ რამდენსამე ქუდ-მოხდილს კაცს, რომელნიც ღმერთს ეხვეწებოდენ, რომ შეიბრალოს ავარდნილი ქალაგი და ათქმევინოს-რა სურდა ამ ხალხისგან დიდებულს «წვერის-სპარს-ანგელოზს.» ამ კაცებს მაგრად ეჭირათ ქალაგი, რადგანაც ის აწუდებოდა აქეთ-იქით, შეუწყვლებლივ სცემდა მუხლის კვერებს დედა-მიწას და შესაძრწუნებელის ხმით გაჭკიოდა: —მე კარ წვერის სპარს-ანგელოზი, მე კარ წვე-ჭვიდარის სპარს-ანგელოზი!... დაჭკარგეთ სარწმუნოება განა?... მინდოდა ცეცხლი გადმოშეგდო, მაგრამ წმინდა «გივარგი» ჩაგვიდგა შუა! წმინდა გივარგი ჩაგვიდგა შუა!..» შეშინებულმა ხალხმა არ იცოდა რაზედა წყრებოდა «სპარს-ანგელოზი» და ამისთვის ყველამ ქუდები მოიხადა, ყველანი დაეცნენ მუხლებზედ და დაჩოქილნი წმინდა «გივარგის» ევედრებოდენ, რომ შეიბრალოს და დაიხსნას სპარს-ანგელოზის რისხვისგან.

ციგოც სხვათა შორის მოსულიყო აქ და დაჩოქილი შეჭყურებდა ქალაგს, როდესაც იგრძნო, რომ ხელი ვილამაც წაჭკრა. იმან მოიხედა უკან და დაინახა გუგუ, რომელსაც იმის უკან დაეჩოქნა.

—ბედ-შავ, ხელს რას იკვრეკვინები? შებღვირა და შებუზღუნა ციგომ.

—აქეთ მოიხედე, ქალაისი? რას უცქერ მაგას! უპასუხა გუგუმ და ჩაუცინა.

—რაი გაღრიჯებს?

—მიხარიან და ისა.

—მიხარიან და ისა! დაღრეჯით გაუკირცხლა ციგომ და დაუმატა:—რაი გახარებს?

—შენი ნახვა, ცხო რაი?

ქალმა კიდევ შებღვირა და ისევ ქადაგს დაუწყო ყურება და გუგუა კი გაშტერებით უყურებდა იმას.

— ქალაუ! კიდევ წაჭერა ხელი გუგუამ.

— დამეხსენ, აგრემც დაგიბრმება თოლია!

— ღთის მადლმა, რომ მე შენ ალარ მოგეშვები!

— სანამც გიკვნესია.

— ჩემი უნდა იქნა.

— მაგას ნახავ, უპასუხა ქალმა, წამოდგა და სხვებს გაერია.

გუგუამ გახედა ქალს და მთლად აყრუოლდა. შეჭერა მიმავალს თვალი და იგრძნო, რომ იმისი მოშორება შეუძლებელი ხდება. გადასწყვიტა, რომ ბედს იმისთვის დაუწერია ეს ქალი და სიკვდილადაც რომ დაუჯდეს, თავს ალარ დაანებებდა. ის ამ ფიქრებში იყო, როდესაც ხელი წაჭერა პავლიამ და ხარხარით უთხრა:

— რაი?.. თუ არ მოგედო?

— მოგედო ღთის მადლმა ჯ ძალზეც მოგედო!

— კარგია განა?

— ოჭ! მეტი ვერარა უპასუხა-რა გუგუამ და ჩაჭიდა თავი.

ამ დღიდან დაიწყო გუგუას მოუსვენებელი მდგომარეობა და პავლია კი ყოველის ღონისძიებით ცდილობდა გაეხუროებინა ალძრული გრძნობა. ერთს დღეს გუგუა დაღონებული და მწარედ შეწუხებული იჯდა დუქნის კარებთან და ელოდა ბიჭს მარილი გამოეტანა, რომელიც საქონლისთვის მთაში უნდა წაელო.

— რას დაღონებულხარ, გონჯო? შეეხუმრა პავლია, რომელიც იქ მივიდა.

— რაი ვქნა, აბა? მხრების აწევით უპასუხა გუგუამ და შეიწვია დუქანში. პავლია როგორც ყაზახი, მუქთად სმასა და ჭამას

დაჩვეული, სიამოვნებით შეჭყვა და დაიწყეს სმა. სტაქანი მოჭყვა სტაქანს, ჩარექა ჩარექას, ორნიგ შეწითლდენ, ორნიგ შეფერხოშდენ. ღვინის ძალამ ორთავეს ენა გაუხსნა, ორთავეს მოაწადინა რაღაცა ვაჟ-კაცობის სახელის გამოჩენა და ამის შემდეგ პირველი აზრი იყო ციკოს მოტაცება. ისინი გამოვიდნენ, იშოვეს ორიოდე ამხანაგი და გასწიეს გუგუას სახლში, სადაც პურის ჭამაზედ და ქეიფში გარდასწყვიტეს ეს განზრახვა ესრულებინათ.

IV

გუგუამ მოტაცებული ქალი აშკარად და დაუმალავად გასტარა მთელი სოფელი, მიიყვანა თავის სახლში და იქ კოშკში შეიყვანა, სადაც ჩაიკეტა კარები.

ციკომ, რომელსაც პირველსავე შემთხვევაზედ გული შემოჭყროდა, როდესაც გონს მოვიდა, სანთლის შუქზედ გაარჩია, რომ ის იწვა ჩალაზედ და გუგუ ეალერსებოდა.

პირველი გრძნობა, რომელმაც გულში გაუბრიწა, იყო წარმოუთქმელი ზიზღი, ამ ძალ-დატანებისგან აღძრული.

ის წამოვარდა ფეხზედ და შეშინებული მიიკუნჭა კედლთან.

გუგუ მხიარულის და მოლიმარის სახით წავიდა იმისკენ.

— არ მოგეკარო! შეჭყვირა ციკომ.

— რაიდა არ მოგეკარო, ჩემი ხარ, ჩემო ყველავ, ჩემი!

— რაისთვი ვიქნები შენი?... მე შენ არ მიყვარხარ.

— რაისთვი, რა დამიშავებია?

— იმისთვი, რომ გონჯი ხარ.

— ქალაუ! ჩემი დღენი შენთვის დამიღუკია, შენთვის ჩამოვ-მდნარვარ და ღთის მადლმა თავსაც ალარ დაგანებებ.

— რაი გინდა ჩემგან, რაი?...

— შენი სიყვარული.

— «დაგიბრმა თოლი!»

— შემიყვარე, ნუ მლეკ.

— «არაუ»!

— ერთი მაინც მაკოცე.

— «არაუ, არაუ!''

— მაშ თუ არა და ძალად გაკოცებ, უთხრაამ გუგუ და მოხვია ხელები.

ციკოს გულმა დაუწყო ცახცახი და თავის თავი დალუ-პულად ჩასთვალა.

— აჭუ! მაგის მეტი კაცობა ალარ გაქვს?.. რაი სახელია ქალის ძალადობა.

გუგუს შერცხვა და ხელები უნებურად ჩამოუცვივდა.

— მაშ შემიყვარებ? ცოტა სიჩუმის შემდეგ ჭკითხა იმან.

ციკოს თავში გაუელვა აზრმა, რომ აქ ეშმაკობის მეტი არა გამოდგებოდა-რა და ამისთვის უპასუხა:

— აბა რაი ვიცი!.. მაწვალებ-და. ამ დროს პირველად შეხედა ქალმა გუგუს თვალებში და გაყრყოლდა.

იმის თვალებიდგან გამოკრთა რაღაცა უხილავი ცეცხლი, რომელმაც ერთბაშად მოხიბლა ციკო, აააყრყოლა, სიტყვა გაუწყვიტა პირში. გუგუამაც იგრძნო, თუმცა გამოურკვევლად, ეს ძალა და აშკარად ამჩნევდა რომ რაღაც ცვლილება ხდებოდა იმის გულში. ციკოს სიტყვებმა თავ-ბრუ დახვიეს გუგუს, თვალთ დაუბნელეს და იმედმა სასიამოვნოდ «ციგლიგი» დაუწყო.

— მაშ რომ არ გაწვალო, შემიყვარებ? წყნარად და გულის ცემით წარმოსთქვა იმან.

— რაი ვიცი, თავდაღუნვით უპასუხა ქალმა.

— ციგო! ყური მომიგდე... მე შენ ეგრე მიყვარხარ, ეგრე, რომ თუ გაჭირდა, შენც მოგკლავ, თავსაც მოვიკლავ და შენ ჯი ადარავის დაგანებებ..... მე შენი ძალდატანება არ მინდა, მიყვარხარ, მეზრალები კიდეც, გამოგიტანე ჯ ეხლა შენმა სიტყვებმა იმედი მომცეს. მე მინდა შენც გიყვარდე და ამად დავიცდი... ეს იცოდე აქედან-ჯი არსად გაგიშვებ.... როცა შეგიყვარდე,მითხრიდე.

— აგრე, ცასცასხით უპასუხა ქალმა.

ამის შემდეგ გამოასასვლელად გამობრუნდა გუგუ და ციგომ თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ კაცმა რა კარს მიალწია, გამობრუნდა ისევ, წარმოდგა რამდენიმე ნაბიჯი და შედგა,

— ქალაუ, ერთი კოცნა რაი გაგიხდა?.-ერთი მაკოცე.

— არა, არა, დღეს არა!

გუგუამ ხელი ჩაიქნია, გამობრუნდა და გამოვიდა გარეთ.

საკვირველი საქმე შეემთხვა ამ დროს ციგოს გულს... როდესაც გუგუ გამოდიოდა, ოთველი იმის ფეხის გადადგმა რალაცა უცნაურის მღელვარებით ასურვებდა იმის დარჩენას, ეს სურვილი თანდათან ემატებოდა და როდესაც კარები გარეთ გადარაზა, ქალი იმ მდგომარეობამდინ მივიდა, რომ კინალამ დაიყვირა:

— დაბრუნდი, მე შენი ვარ!

ციგომ თავი შეიკავა, შესდგა რამოდენიმე ხანი და გაშვერილი ხელები ისე დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ, წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი, წყნარად ჩამოუვარდა ეს ხელი და

წუნარადვე ჩაიკეცა იმავ ადგილას, რომელზედაც იდგა. რაოდენიმე ხანი ისე გაშტერებული იჯდა, მერე მოერია თვალებში ცრემლი, გადმოეკიდა ჭუთუთოზედ, გადმოვარდა მარგალიტსავით ერთი ცრემლი, მეორე, იმას მოჰყვა მესამე, მეოთხე და ქალმა დაიწყო ტირილი.

ისა სტირდა ცხარედ, გადმოსდიოდა მშვენიერ თვალთაგან ნაკადულად ცრემლები, მაგრამ, რომ გეკითხნათ რისთვის სტირდა, აწუხებდა, თუ ამშვიდებდა ეს ცრემლები, თითონაც ვერ გიპასუხებდათ.

ეს იყო ნამი ყმაწვილის ქალის გულში პირველად აღძრულის გრძნობისა, რომელიც ამღელვარებს გულს და კი არ ატყობინებს რა მოსდის, რა ემართება, რისთვის იქცევა ასე და სხვა რიგად არა?

ციკომ ნახა ყმაწვილი კაცი, მშვენიერი, წამოსადეგი, რომელიც აშკარად თავ-განწირულებამდის მისულიყო, რომელიც თავს არ იზოგავდა იმისთვის; ნახა რომ ძალ-დატანებით გაუპატიურება არ ისურვა ღ სიყვარულს-კი იქამდის მიეყვანა რომ კიდეც მოეტაცა. როგორც გინდათ სთქვით, ეს ყველა, მთის ქალის შეხედულებით, ღირსება იყო. მემრე შეხვდა იმის თვალებს და ამ თვალებიდგან რაღაცა უხილავი ძალა გამოჭვრთა, რომელმაც იმისვე უნებლიედ დაიმონავა, დაიმორჩილა და ნეტარების ურიანტელი დაუტარა სხეულში. ამისთვისაც პირველი გრძნობა ისე ჩქარა, ერთბაშად შეიცვალა მეორე სრულებით მოპირდაპირე გრძნობით.

ციკო გაიტაცა გუგუაზედ თვიქრმა და აშკარად წარმოუდგა იმისი სახე თვალ-წინ.

ეხლა ის ციკოსთვის ლამაზიც იყო, მარდიც, მშვენიერიც; იმის თვალების შესადარი თვალები ალარ დაიბადებოდა, იმის

ტუჩებისთანა ტუჩები ალარ გაჩნდებოდა. ერთის სიტყვით ცოგოს გული მოუთმენლად ელოდა იმის მოსვლას.

V

კარგად მოწათდა, როდესაც «შავთვალას» წინამძღოლობით მთელი სოფელი ჩამოვიდა ღუდუშაურის კარებთან და იქ შეგროვდა ერთს პატარა მოედანზედ, სადაც ლაპარაკი და ხმაურობა ასტეხეს.

ყველაზედ მომეტებულად ყვიროდა «შავთვალა», რომელმაც სიმწარით ალარ იცოდა რა ექნა.

ამ სოფლის კაცი, ქალი თუ დედაკაცი, არა ჩვეულებრივის შემთხვევით გაკვირვებულნი, მორბოდენ და გროვდებოდენ ხალხის კარშემო.

— რა ანბავია, რაი მოხდა? ჰკითხამდენ ერთმანეთს.

— რაი-ლა რაი ანბავია, ზალიანთ ქალი მოგვტაცეს! დღეს ან ჩვენ უნდა გავწყდეთ, ან ისინი.

ჩამოვიდა უფროსი ხალხი, გამართეს მოციქულობა, დაუწყეს ხალხს მშვიდება და მოკეთეებმა მიიწვიეს მოკეთეები.

იმათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ თუ ჩხუბი მოხდებოდა, ორი სოფელი ერთმანეთს შეაწყდებოდა და ამის შემდეგ კი არა ერთის დედა ატირდებოდა. ამის გამო ყოველის ღონის-ძიებით ცდილობდენ ალელებულის ხალხის დაშოშმანებას. მაგრამ «შავთვალას» თავ-გადადებული საქციელი ყველას ათოხილებდა და ალაგიდამ თვეს არ აცვლევინებდა.

მოიკრა გულგახეთქილი დიანბეგიც, რომელიც ტკბილის ძილიდგან გამოალვიძეს და შეატყობინეს, რომ მთელი სოფე-

ლი ფეხელშე შეიარაღებული ჩამოსულა და ლუდუშაურიანთ კარებთან შეყრილა.

— რა ხმაა, რა არის? იკითხა იმან მოსვლის უმალ.

— რაიღა რა ხმაა! მიგარდა «შავთვალა».— უსამართლობა, ჭკეუნის დაქცევა, ძალა!.. ცხო რაიღა ხმა უნდა იყოს, აგრემც უკულმართ გაუბრუნდებათ სიცოცხლე!

— გამაგებინე რას ხმობ?

— წუხელის ქალი მომტაცეს!... შემომიცვივდენ ერთ ქვრივოხერს, უპატრონო დედაკაცს და ქალი გამიწბილეს, იმ პირჭუშებმა და სახლ-კარ ამოსაცვივნებმა... ნუ მისცეს კეთილი ზეციერმა მამამ ჩემის ცოდვით!

— ვინ მოგტაცა, რას ხმობ?

— ლუდუშაურიანთ და შენა!.. სხვას ვის შაეძლო, ვინ გაბედავდა?

— როგორ თუ მე?

— შენი პირქვე-დასამხობი ყაზახები და ლუდუშაურიანთ კაცები იყვნენ ჩემი ნამუსის ამხდელნი.

— კარგი, კარგი ნუ იწყევლები!

დიასბეგმა დაუძახა ყაზახებს, იკითხა და გაიგო რომ ზალიანთ ბიჭს გუგუს მოუტაცნია ქალი, ეხლა ციხეშია გამაგრებული და არავისა ნებდება.

— დაიჭირეთ, მოიყვანეთ აქ! უბრძანა დიამბეგმა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ამ ბრძანებას ვერავინ შეასრულებდა.

— როგორ დავიჭიროთ, შენიჭირიმე, რომ კაცს არ იკარებს.

— როგორ თუ არ იკარებს!.. ეხლავ ცოცხალი თუ მკვდარი აქ მოგვიყვანეთ!

— ციხეში არის, შენიჭირიმე და საით მიუდგეთ? თოფი იმას არ მიეკარება და ხმალი.

დიანბეგმა გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა მოხუცს.

— ხომ გაიგონე? შენის ქალისთვის კაცებს ხომ არ შეკვახოც.

— ჭკი, ჭკი, რომ უნდა შეკახოცო!.. მაშ რის მოსამართლე ხარ?

— კარგია, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— თუ უფროსობის თავი არა გაქვს, თავი მაინც დაგვანებე, თუ გეშინიან ჩვენ გვითხარ და ჩვენ თითონ გავუსწორდებით.

— გიბძანებ, რომ ეხლავ გაჩუმდე.

— რაისთვი გავჩუმდე, სამართალს ვითხოვ.

— მომაშორეთ ეს დედა-კაცი, ბძანა დიანბეგმა, მაგრამ ხელი არავინ გასძრა.

— ქრთამი მოგიტანეს, და იმად თუ მითხოვ?.. ეგაა განა თქვენი სამართალი?.. წავიდეთ, ხალხო, გავწყდეთ!

დიანბეგი მზად იყო შუაზედ გაეგლიჯა დედაკაცი, მაგრამ ხალხი შემოესვია ყვირილით:

— გავწყდეთ, გავწყდეთ.

დიანბეგი შეშინდა და გონება დაეკარგა; ალარ იცოდა რა ექნა და რითი დაემშვიდებინა ხალხი, როდესაც ამ გაჭირვებიდგან გამოიყვანა მოულოდნელმა შემთხვევამ.

— ნუ გამიწყრები, შენიჭირიმე, ერთი სიტყვა ჭუნდა მოგახსენო! ქუდის მოხდით და დაბლად თავის დაკვრით უთხრა ერთმა მოხუცმა სოფლელმა.

— სთქვი.

— თუ ქალი თითონ წამოჭყვა, რას ემართლებით? ადათია და წესი... მთის ხალხში თუ ქალი თითონ წაჭყვა, ცხო კაცი ვერ გაერევის მაგ საქმეში... არა, სოფელო? მიუბრუნდა სოფლელებს მოხუცი.

— ჭკი, ჭკი რომ ეგრეა! იყო საერთო პასუხი.

— მაშ მიგვზავნოთ კაცები, შევიტყოთ, თუ ქალი ნებით

გამოჭყოლია, გუგუა ბრალდებული არ არის და თუ არა—მაშინ ცხოა... სანამ არ გავიგებთ, რაისთვი უნდა შეკვეხოცნეთ ერთიერთს?

— ძალიან კარგი! მოიწონა ყველამ.

— გოჩიაუ! მიუბრუნდა «შავთვალა» მოლაპარაკე მოხეკეს.— შენი სიტყვა ღთის სიტყვაა, ღთის მადლმა, მაგრამ ქალი რომ დაიშინონ, რაიც უნდა იმას ითქმეინებენ... მომცენ ჩემი ქალი, წამოვიდეს, დამშვიდებულს ვკითხამ და თუ გუგუა ინდომა, გაძლევ ღმერთის თავდებად, მე იმას არ გამოვსწირო.

— ეგეც მართალია, ეგეც ღთის სიტყვაა, უპასუხა გოჩიამ და დაუმატა:

— «შავთვალავ!» თავად ღმერთი ლაპარაკობს შენის პირით, მაგრამ ღთის მადლსა, მოიგონე რომ ეს სოფლელები სულ შენი მოკეთეები არიან, ნუ მოიწადი ამათ ერთმანეთის შელევა. მშვიდობიანობას არც-რაი არა სჯობს.

— ჭაი, ჭაი რომ არა სჯობს, მაგრამ ვინ გვაყენებს მშვიდობიანად?.. ხალხი, თუ სამართალი?.. ყველა აქ ვინც არის ჩემი სისხლი და ხორცი არის, ყველა ჩემი გულითადი მოკეთეა,—ვინც ეგენი გასწიროს, ღმერთმა ის გასწიროს. მაგათ მოლალატეს — ღმერთმა ულალატოს! მაგრამ ნამუსისთვის-კი უნდა გაწყდენ, თუ დიაცები არ არიან, თუ მანდილი არ ხურავთ.

— ჭაი, ჭაი, რომ გაგწყდებით! კმარა ამდენი მოთმენა.

— გამოარჩიეთ კაცები და გაგზავნეთ, სხვა ლაპარაკი უბრალოდ დროს დაკარგვა იქნება. დაუმატა დიანბეგმა და გაბრუნდა შინისკენ გახარებული, რომ ასე ადვილად მორჩა.

ამის შემდეგ აარჩიეს ორი მოაზრებული ფხელშელი, ორიც იმ სოფლელი, რომელშიაც ეს საქმე მოხდა და გაგზავნეს შუაკაცად გუგუასთან.

— გუგუაუ, ჭა�გუგუაუ!

შორი ახლო რომ მივიდნენ ციხესთან შესძახეს შუა-კაცებმა.

— რაი გინდათ? ციხიდგან გადმოსძახა გუგუამ.

— მშვიდობა! მისცეს პასუხად.—შუა-კაცებად მოვდივართ.

— შუა კაცი ღმერთთანაც მიიგზავნების, რა გინდათ?

— ვაჟკაცი ვაჟკაცს უნდა ჭვანდეს, ქუდოსანს მოთიქრება უნდა ჭქონდეს.

— «ცხო» რაიღა?

— თუ ეგ ქალაი ძალად გუაკს წამოუვანიღი, დაანებე თავი, ნუ დაღვრი უსამართლოდ სისხლს, ნუ წახვალ თემის წინა-ღმდეგ...

— ქალი თავის ნებით არის წამოსული, მე ძალად არ ვიჭერ... ჩამოძეხსენით, რაი გინდათ ჩემგან?

— ეგრე არ იქნების, თუ მართალს ანბობ, ქალი გვაჩვენე.

— ქალს ვერ ნახავთ.

— გუგუაუ, გუგუაუ! მამათ ეგრე უქნიათ და პაპათ; შენც ნუ გასტეხ იმათ წესს...

— მამათ და პაპათ! იმათ ჭაი ჭაი, რომ აგრე უქნიათ, მაგრამ ეხლა რაიღა გვაქვს იმათი? სადღაა ან ნდობა, ან ძმობა, ან მეგობრობა?.. თემის პირი დიდი ხანია გატეხილა და წვერის სპარს-ანგელოზმა მოჭეითხოს იმის გამტეხს. მე ბრალი არა მაქვს.

— აჭუ, მშიშარაი ყოთილხარ. დასძახა მეორე შუა კაცმა და ამ სიტყვებმა ანთეს გუგუა, რომელმაც თოთს გაავლო ხელი, მაგრამ თავი ჩქარა შეიმაგრა.

— ღმერთს მადლობა უთხარით, რომ შუა კაცს ხელი არ ეხლების, თორემ წითლად შეგიღებავდი მაგ ტარავალს (ტანი-სამოსს).

— მაშ რაისთვი არ გვიჩვენებ ქალს?

— იმად რომ შენისთანა კაცებს არ ვენდობი!.. მაგრამ წამოდით, შემოდით ციხეში.

— იარაღი აგიხსნათ, უთხრეს ერთმანერთს შუა-კაცებმა.

გუგუამ ხელი ჩაიქნია.

— გქონდეთ... მე გიჩვენებთ, რომ მშიშარი არა ვარ და თუ თქვენს სიტყვას უღალატეთ, კიდეგ მოვახერხებ პირში სიტყვა გაგიწყვიტოთ:

ამ სიტყვების შემდეგ ის მოეგარა კედელს, ჩქარა ჩაირბინა კიბე და გაალო კოშკის კარები.

შუა კაცებმა მაინც მოიხსნეს იარაღი, დაუწყეს ციხის კართან და ისე შეკიდნენ.

— აქა მშვიდობა! შესვლის უმალ წარმოსთქვეს იმათ.

— რაისთვი არ გვიღებდი კარს, ჩვენ როდის გიღალატებთ?

— რა ვიცი, თქვენი ჭირიმეთ! მტერი მოკეთისგან ველარ გაურჩევია კაცსა, ისეთი დრო შეიქნა, უპასუხა ზრდილობიანად მოხეკემ და შეიწვია შიგნით. ისინი ჩამოსხდენ სკამებზედ და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთვრამამ შუა-კაცმა დაიწყო:

— გუგუა!.. ღმერთს არ მოეტყუების,—ჭკვიანი ბალღი ხარ, გვიჩვენე ქალი.

— რაისთვი გინდათ ქალი? გეუბნებით ნებით წამომყვა, ცხო რაიღა გინდათ?

— თითონ ქალს უნდა ვკითხოთ, შენიჭირიმე! თითონ ქალს თუ არ უნდა შენი თავი, ძალად დაჭერა როდის იქნებისა?

გუგუას ეშინოდა, რომ ციკოს უარი არ ეთქვა იმის ცოლობაზედ და ყველაფერი არ შეეტყობინებინა, ამისთვის არ უნდოდა ქალის ჩვენება, მაგრამ სხვა და სხვა საბუთებზე, მამა-პა-

ბის მაგალითებზე და თემის წესზე უარი ვერარა სთქვა და გულის კანკალით დაყაბულდა ქალის ჩვენებას.

— იარეთ, უპასუხა იმან და გაუძღვა წინ.

იმან შეიყვანა წნელით გაყოფილს ოთახში, სადაც ციგო იყო და იქ დაანება შუა-კაცებს თავი. თითონ კი ზეით სართულში ავიდა, საიდგანაც სხვა ხალხს უთვალთვალებდა.

სტუმრებს ციგო თვეზედ წამოუდგა, იმათაც ზდილობიანად მოიკითხეს და ტახტზედ ჩამოსხდენ.

ბოლოს შეატყობინეს თავიანთის მოსვლის მიზეზი და ჭკითხეს ძალათი იყო მოტაცებული, თუ თავის ნებით წამოჭყვა.

— ნუ გეშინიან, თუ ძალად მოგიტაცეს, ეხლავ გაგიყვანთ აქეთით.

ციგომ, რომელიც აქამდის ჩუმად იდგა მუნჯსავით, ერთბაშად წამოიძახა.

— ძალად არ წამოვყოვნიგარ, ჩემის ნებით გამოვყევ.

— მაშ სახლში დაბრუნება არ გინდა?

— არა. უპასუხა მოკლედ.

— ქალაუ, იქნება გეშინიან და იმად იძახი მაგას.

— რაისი უნდა მეშინოდეს?

— თუ ძალად ხარ წამოყვანილი, მთელი სოფელი აქა გარეთ. ლთის მადლმა, გავწყდეთ ის გვირჩევნიან, სანამ სალექსოდ საქმე გაგვიხდეს.

— არა, ჩემის ნებით გამოვყევ, ჩემის ნებით არ დავბრუნდები, ჩემის ნებით ვრჩები აქ.

შუა-კაცებმა შეხედეს ერთურთს, გადაუგდეს ერთმანერთს თავები.

— ქალაუ, წამოდი შენი მამის სახლში და იქიდგან გამოგათხოვებენ.

— არ წამოვალ. იყო მოკლე პასუხი.

— აბა რაიდან გვეთქმის? წამოსთქვა ერთმა.

— არც-რა, უპასუხეს სხვებმა,

— ამ სიტყვების შემდეგ, ისინი წამოდგნენ, დალოცეს სასძლო, ისურვეს იმათ ბედნიერება და გამოვიდნენ გარეთ, სადაც გუგუ მოეგებნა.

გუგუც გულის კვნესით მოელოდა შუა-კაცების გამოსვლას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ციკო ძალდატანებით იყო წამოყვანილი და ყველაფერს გაუმყლავნებდა ამ კაცებს. იმაზედაც დარწმუნებული იყო, რომ ეს კაცები ამის შემდეგ წაიყვანდენ ქალს და ამითი გათავდებოდა იმის ბედნიერების იმედი.

მართალია, წუხელის თითქმის იმედი მისცა ციკომ, მაგრამ რა არის ამისთანა დროს გამოგლეჯილი სიტყვა, როდესაც შიში და მღელვარება ვინიცის რას არ წარმოათქვინებს კაცს?

რა უნდა ეთქვა, რა უნდა ექნა, რომ ამ მოსულს კაცებს ხელი მოეკიდნათ ამ ქალისთვის და წაყვანა დაეპირებინათ? ნუ თუ დაენებებინა და გულ-ხელ დაკრეფილს ეცქირა, თუ როგორ მოაშორებდენ იმას, ვინც ისე ძნელი დასათმობი იყო?! იმ ქალის წაყვანა, ძალ-დატანებით რომ მოენდომებინა ვისმე, მაშინ გუგუ აჩვენებდა, რომ ის მოხუცე იყო და მოხუცესთან ჯერედ კიდევ ძნელია ძალის ხმარება, მაგრამ აქ შუა-კაცები იყვნენ, ბჭეები, ხალხისგან დანიშნულნი, რომელთაც ხალხისაგან დადებული წესი უნდა აესრულებინათ და ხალხის დებულების წინააღმდეგობა კი შეუძლებელი, წარმოუდგენელი იყო იმისთვის.

მართალია ამ ბოლოს ხანებში ხალხის ჩვეულებანი და დებულებანი შეირყა, გამოიცვალა, მაგრამ თითონ ხალხისაგან

საუკუნეებით შეთვისებული წყობილება ისე მალე ვერ გაანქრობა იმათში და ახალი ნამყნობი, თავს მოხვეული წყობილება ისე საჩქაროდ ვერ აღორძინდება. ეს ყველაზედ აშკარად გუგუაზედ სჩანდა, რომელიც ჯერ ვერ გაერყვნა სხვა გვარტომობის ახალს დებულებას რომელიც უცხო, გაუგებარი და შეუთვისებელი იყო იმისთვის, როგორც სხვა მთის ხალხისთვის. გუგუ აღზდილიყო მამა-პაპის წესზე; შესჩვეოდა იმათ შეხედულობას, მიმართულებას, ჩვეულებას და თითონაც სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი ეს ჩვეულება.

წუხელის, მართალია, მეტის-მეტმა სიყვარულმა თავის დაკიწყებამდის მიიყვანა იგი, დედა-კაცის მერდინი გადაალახვინა, მაგრამ დღეს სანახურად ჰქონდა გამხდარი და ათასჯერ იწყევლიდა თავს და ნანობდა თავის მოქმედებას.

პირველსავე ჩამოსვლაზედ იმან თვალი გადაავლო შუა-კაცებს და გაშტერებული დარჩა, რომ ციგო იმათ შორის არ დაინახა. იქამდის აღელდა ამ ამბით, რომ კითხვაც ველარ გაებედნა, რადგანაც ეშინოდა, რომელიმე პასუხით იმისი ნეტარების იმედი არ დაერღვიათ. მაგრამ კითხვა ალარ მოუნდა, რადგანაც შუა-კაცებმა თითონვე უთხრეს:

— კეთილი იყოს, კეთილი! ყოჩაღ, რომ შენს ტოლ-სწორებში პირნათლად დარჩი!

გუგუ გაწითლდა მეტის სიამოვნებით, თუმცა ძნელადა სჯერდა თავისი ბედნიერება.

დარცხვენილმა და თავ-დაღუნულმა სტუმრები კარებამდის მიაცილა, საჩქაროდ გამობრუნდა და გულის ძგერით შეკვრდა ციგოს ოთახში.

— ციგო! მართლა? შედგა კარებთან გუგუ.

ციგომ წყნარად შემოხედა და ისევ ის ალმაშფოთებელი,

თვალთაგან გამომკრთალი ძალა იგრძნო, გაწითლდა, ვერ გაუძლო ამ ძალას და თავ-დაღუნულმა ცახცახი დაიწყო. ის წარმოუდგენელის წადილით რაღასაც მოელოდა.

გუგუ უსიტყოდ მიხვდა თავის ბედნიერებას, ერთის გადახტომით მიუახლოვდა ქალს და ჩაიკრა გულში.

პირველმაგე ტუჩების მიკარებამ ციკო თავის დაკიწყებამდის მიიყვანა და თითონაც ძალზედ მკერდს მიეკრა...

VI

როდესაც შუა-კაცები ხალხთან მივიდნენ და შეატყობინეს ქალის სურვილი, იმათ წყნარ-წყნარად დაიწყეს დაშლა და თავ-თავიანთ მოკეთეებში წავიდნენ. «შვთვალას» არა სჯერდა, რომ იმისი შთამომავალი, იმისი სისხლი და ხორცი ისე ადვილად აიტანდა თავის სახლის უპატიურობას.

— ხალხო, ხალხო! დაიცადეთ! ეგ ეგრე არ იქნების... ქალი ჩემთან უნდა წამოსულიყო და იქ ეთქვა—უნდა თუ არა. ძალან აგრე გადასწყვიტეთ, აგრე სთქვით. ხალხი ისევ მობრუნდა.

— მართალს ანბობს შვთვალა—აგრე გადავწყვიტეთ... რაი იქნენ შუა-კაცნი?

— მოვიდენ შუა-კაცები და შეატყობინეს, რომ ქალი არ იჯერებს მამის სახლში დაბრუნებას და იმათ ძალის დატანება კი არ შეეძლოთ და არცა ჭქონდათ ნება.

— ბედშავი დაუშიბებიათ! წამოიძახა «შვთვალამ»,— ხალხო! სამართალს ვითხოვ, ქალი უნდა წამოვიდეს ჩემთან.

— შვთვალაუ, ნუ ატეხილხარ, ღთის მადლსა! ქალს თა-

ვად უნდა დარჩენა, თორემ იმის ძალად დამწყრი არვინაა, ღმერთი იყოს შენი თავდები.

— აბა მაშ მე მაჩვენეთ ქალი.

— შავთვალაუ! დაიწყო ერთმა მოხუცმა. — მოიხედე-ლა რაი გითხრა.: სანამ ხალხს ეგონა, რომ ქალი ძალად გაიტაცეს, ძალად ჭყავსთ დამწყვდეული, მთელი სოფელი წამოვიდა მდევრად ლ ღთის მადლმა ვაჟ-კაცობასაც იქმოდა, მაგრამ რაკი გაიგო, რომ ქალი ნებითაა წამოსული, მაგათი საქმე ალარაა... «ეხ-ლანის» თუ კი ქალაის ნახვა გინდა, შედი როგორც მოკეთე-ბისას და ნახე. სოფელს რაღა საქმე აქვს?.. არა სოფელო, ეგრე არაა?

— ეგრეა, ეგრე! ღთის მადლმა!

— მშვიდობიანობა ჩამოვარდა, წმინდა «გივარგის» შეფოთი მოგვაცილა და შენ ისევ ხელ ახლად გინდა აშალო? დავიშალ-ნეთ, წავიდეთ, სოფელო!

— წავიდეთ! დაიძახა ხალხმა და რამდენსამე წუთს შემდეგ ის ადგილი დაცარიელდა. დარჩა მარტო «შავთვალა»; დალონე-ბულს მწარედ დაღმეჭოდა პირი-სახე და აშკარად ეტყობოდა, თუ რა მწუხარებასა ჭგრძნობდა იმისი გული და რა დამცირე-ბულად, დამდაბლებულად ითვლიდა თავსა.

ხალხი, რომელსაც ეს ქვრივ-ოხერი და უპატრონო დე-და-კაცი ძალდატანებული ეგონა, თავის მოვალეობად სთვლიდა გამოსარჩლებოდა, იმისი უპატიურება თავის უპატიურებად მიე-ღო და თავ-შეუწყალებელი, იარაღით ხელში მოსულიყო სა-მაგიეროს მოსათხოვად, მაგრამ რა გაიგეს, რომ აქ ძალ-დატანება არ მოქმედებდა და ქალი ნებით მისდევდა, ნებით რჩე-ბოდა გუგუასთან, სოფელმა თავი დანება, ჩამოცალა.

«შავთვალა» იქამდის ალელვებული იყო ამ შემთხვევით, რომ

თავის მერდინის გადალახვაც კი ვერ შეტეხებინა ხალხს, რომელიც უმეჩვეულია ყურად-ღებას მიაქცევდა ამ შემთხვევას, სათემოდ სასირცხვილო საქმეს და კმაყოფილებას მოსთხოვდა გუგუს; მოხუცმა მიიხედ-მოიხედა, იმას უნდოდა დაეძახნა: «ძაშ ჩემის მერდინის გაწბილებაც არათერია, მაგრამ დაინახა რომ გვიანლა იყო, რადგანაც ხალხი დაიშალა და ხელ ახლად იმათი შეურა, ხელ ახლად საჩივარი იქნება ცილის წამებადაც ჩაეთვალათ.

ის იდგა დალონებული და ჭეიქრობდა რითი გადაეხადა გუგუსთვის ამ გვარი დამცირება, რომელიც ყველაზედ მეტად საწყენია იმ მხარის მთის ქალებისთვის.

— არა, ჩემი ქალი ვერ შეიყვარებს იმას, ვინც ეგრე გაგვუბატიურა... სოფელმა თავი დამანება, მე თავად წავალ მარტოკა... დეე, მოამკლას მაინც!...

ამ სიტყვებით «შავთვალამ» აიღო თავი, მიეიდა პირდა-პირ კოშკთან და კარი დააბრახუნა.

გუგუ ვერ გამძღარიყო თავის ციკოს ალერსით და განუწყვეტლივ გატაცებით ჭკოცნიდა, მაგრამ კარების ბრახუნზედ ერთბაშად წამოვარდა უკმაყოფილოდ, რადგანაც ამ ნეტარების წუთებს უწყვეტდენ და მიეიდა კარებთან,

— ვინა ხარ?

— მე.

— შავთვალავ, შენა? საჩქაროდ წამოიძახა გაკვირვებულმა გუგუამ და კარები გაალო, ის არა გზით არ მოელოდა «შავთვალას ასე ჩქარა ნახვას.

— ჩემი ქალი სადაა? წარბებ-შეჭმუხვნილმა შესვლის უმალ ეკითხა «შავთვალამ».

— საწოლაში. ანიშნა ხელით გუგუამ.

«შავთვალამ» ხმა გაუცემლივ, შეუხედლივ, გასწია ციკოს

ოთახისკენ და გუგუა-კი ისე გაშტერებული დარჩა კარებთან.

იქამდის გარისხებული ეჩვენა მოხუცის სახე, რომ გუგუამ უკან გაყოლაც ველარ გაბედა.

ციგო გამოექანა მოხუცის მოსახვევად, მაგრამ იმან ხელის მიგებებით შეაყენა.

— ქალაუ! ძალად გიჭერენ განა? ჰკითხა მოხუცმა მკაცრად.

ქალი მთლად აცვიცვიხა ბებიის მკაცრმა სიტყვებმა და თავ-ჩაღუნული, ხმა ამოუღებელი დარჩა.

— არ გესმის?

კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— იარე, წამოამყევ და ვინც წინ დაგვიდგება, იმასაც ვნახამთ.

ქალმა შეხედა შეწუხებულის თვალით, მაგრამ მაშინვე დაღუნა თავი.

ციგო წყნარად გაეშვებინა და ნიავსავით წყნარის ხმით წარმოსთქვა:

— ვერ წამოვალ, დედაისი.

მოხუცი შეკრთა, აკანკალდა და დაუწყო ყურება.

— მაშ მართალია? წყნარად და ძლივს სულის მოქცევით იკითხა იმან, მაშ შენის ნებით იყო ეგ ყველა? შენ დაარიგე, რომ მოსულიყვნენ მოსატაცად? შენ უთხარ, რომ სათემოდ პირქვე დაემხოთ ჩვენი სახლი, შენ გინდოდა, რომ სათემოდ ლეჩაქი მოეხადათ ჩემთვის?

მოხუცებულს მღელვარებისაგან ხმა პირში უწყდებოდა და სულს ძლივს იქცევდა,

ციგო ჩუმად იდგა და წყნარად ტიროდა.

— სთქვი, მითხარ!... თქმა უფრო ადვილი არაა მოქმედებაზედ? მითხარი მეთქი, რალას ერიდები?., ვისი გეშინიან?.. მე ერთი მოხუცებული, უპატრონო დედა-კაცი... დედა შენი აკად

მოგზი... მამა-ბიძანი ალარა გყავს და ვისიღა უნდა გეშინოდეს?.. მითხარ,—მისწვდა ხელში მოხუცი და ძალზედ დაუწყო ნძრევა.

— რაი გითხრა, რაი ვქნა! ბოლოს წარმოსთქვა ციკომ.

— მართალი, მართალი—შენა გყვანდა შეპირებული გუგუა?

— დედაკ, დედაისი! დაუპირა მოხვევნა ქალმა, მაგრამ მოხუცმა ხელის მიშველებით შეაყენა.

— შენ ალარა გყავს დედა, შენ ალარა გაქვს მამის სახლი!

— ვაიმე დალუპულს! დაიწყო წყნარად ტირილი ციკომ.

— რაისთვი სტირი, რაი გაწუხებს? მამა-ბიძანი ამოყარე საფლავით და არა სტიროდი, ეხლა რაიღა გატირებს? გუგუა, რომელსაც გულმა ველარ გაუძლო და შემოვიდა იმათ ლაპარაკზედ, წყნარად წამოდგა წინა და უთხრა.

— შვთვალაუ! ზეკით ღმერთი იყოს შენი თავდები და ქვესკნელს დედამიწა, რომ მაგ ქალას არა სცოდნია ჩვენი მოსვლა, არა გვქონია ბირობა შეკრული...

— მაშ შენი ვაჟ-კაცობა იყო?.. მარტო შენი აზრი იყო ამ მოხუცის მანდილის გადალახვა?.. წადი ირე მაგ ნამუსით, სახლად გეყოფა.

— შენს ღმერთს აპატივე, შემინდე! შენის ქალის სიყვარულმა დამაბრმავა.

— კაცს კაცობა ყველგან უნდა ეტყობოდეს. შენ დაიცი ყოფილხარ.

— წმინდის გიორგის თავით გეხვეწები...

— კაცმა განა მარტო თოფის ხლა უნდა იცოდეს? გაწყვეტინა მოხუცებულმა.

— რაი ვქნა, რაი?

— არცა-რაი ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო. ისევ

შავთვალამ. — შენ ხომ ანბობ, რომ ქალამ არ იცოდა და ძალად წამოვიყვანეთო, ახლა აი მე მოგვედ პატრონი, მომეცი ჩემი ქალი... უწინდელი დრო, რომ ყოფილიყო, ან მამა-ბიძანი ცოცხალი ყოლოდა, მწარედ გაგიშავებდენ დღესა, მაგრამ მე ერთი ოხერ-ტიელი, უპატრონო დედა-კაცი ვარ, მე რაი შემიძლიან იმის მეტი, რომ ჩემი ქალი მოვითხოვო.

— რაი ვქნა, რაი გითხრა... საით გაგაგებინო ჩემი გულის ცეცხლი?.. ციგოს არ ვუყვარდი და ის მიგლავდა გულს, იმად მოვიტანე, მაგრამ ეხლა, ეხლა სულ სხვაა... ეხლა ღმერთმა მოწყალის თვალით გადმომხედა, ეხლა ციგოს ვუყვარვარ და რაღად გინდა ორი კაცის ბედნიერება დაშალო?... ვუყვარვარ მეთქი და რად უნდა დაგანებო?... ალბად ღმერთსაც აგრე უნდოდა.

— ღმერთს კი არა, მაცდურს... მოვნე შეგჩენიათ და ისაა!

— მე მიყვარს ეგ ქალი... ღმერთზედ მეტად მიყვარს! უმაგისობა არ შემიძლიან და რაი ვქნა.

მოხუცმა თავი ჩაჭკიდა და რაოდენიმე ხანი ისე დარჩა.

— რასაც არ ეშველების, დათმობა სჯობს... რა ვუყოთ, რაიღა ეშველების? წარმოსთქვა იმან.

— მაშ ალარ სჯავრობ, სიხარულით წამოიძახა გუგუამ?

— მეტი რაღა გამეწყობის! მაგრამ ქალს დღეს წავიყვან. თუ მართლა შერთვა გწადის, ხვალ მოდით, მორეკე შუა-კაცები, ითხოვეთ და ისე მოგცემთ.

პირველში გახარებული გუგუა ამ სიტყვებმა ისევ ჩააფიქრეს. «მერე რომ ალარ დამანებონ, რაიღა მეშველების?» ითიქრა იმან.

— არა, მაგას ვერა ვიქ. წყნარად და ოხვრით წარმოსთქვა გუგუამ.

— რაისთვი ვერა? თუ კი ქალი თავის ნებით წამოვიდა, თუ-კი უფვარსარ, რაისთვი ვერა?

— მე ვერ მოვშორდები მაგას!.. თუ გინდა ჯვარს დღესვე დავიწერ?

— ნუ, გუგუა! ნუ... მაგის მამის სახლის შერცხვენა შენი შერცხვენა იქნების, თუ მართლა მოგეთელობა გინდა, გამიგონე.

— რაისთვი?.. რაც მოხდა, მოხდა. რაღა ეშველების?... რომ არ მომხდარიყო, ჩვი ჩვი რომ კარგი იქნებოდა, მაგრამ რაკი მოხდა ჯვარის-წერის მეტი ალარა გაეწყობის-რა.

— ეგრე არ იქნების.,. შენ სათემოდ გაგვწბილე, თავ-მერდინი გადაგვილახე, სანამ სახეწრად არ ამოხვალ, ქორწილიც არ იქნების.

— სახეწრად—მერეც მოვასწრობთ...

ციკო, რომელიც აქ იდგა და მონაწილეობას არ იღებდა ლაპარაკში, გაოგიქრებინებდათ, რომ იმაზედ არა ვითარი მოქმედება არა ჩქონდა ამათ საუბარს და გადაწყვეტილებას; მარტო ხელები უკანკალებდა, სრესდა შალის ნაბიჯებს და უგრძნობლად სწყვეტდა მის ოცნებს. ამაზედ შეატყობდით რომ ეს თვალთათვის გახუმება და მონაწილეობის მიუღებლობა იმის ყურებს გაგონებას და გულს გრძნობას არ უშლიდა. ბოლოს ციკო წამოდგა და გადაწყვეტით, თუმცა ხმის კანკალით წარმოსთქვა:

— მე არ წამოვალ, დედაისი!.. მე მიყვარს გუგუი, უმაგისოდ ერთი წუთიც ნუ მაძყოფოს უფალმა.

გუგუამ ველარ გასძლო ამისთანა ბედნიერება, თავ-დავიწყებულმა ძლიერი მკლავები მოხვია და დაუწყო კოცნა.

თავ-ზარ-დაცემული« შავთვალა» კი გაშტერებულსავით დარ-

ჩა, რაოდენიმე ხანი. მერე მძიმედ ამოიოხრა და ხმის კანკალით წარმოსთქვა:

— მაშ აგრე ციგო?.. კარგი, კარგი! ამ სიტყვებით გამობრუნდა და წყნარად გაემართა კარისაკენ. ციგო და გუგუ ერთად გამოაქანნენ.

— დედაგ, დედაისი!

მოხუცმა მოიხედა და ხელის შეგებებით გააჩერა ისინი. იმის გამხმარს ლოყებზედ ორ ნაკადულად ცრემლი ჩამოდინა.

— რაისთვი ირჯები?.. მე შენი ალარა ვარ და შენ ჩემი.

ციგო შესდგა, მოხუცმა-კი გაიარა კარი.

ცოტა ხანს შემდეგ, გუგუ წყნარად მივიდა ციგოსთან და ალერსიანად უთხრა.

— ნუ სჯაგრობ, ხვალ-ზეგ ქორწილი გვექნების და ეგენიც შეგვირიგდებიან.

VII.

ამ საღამოს თავადი ღუდუშაური თავის ენეიანით იჯდა ბალკონზედ და გაყურებდა მდინარის გაღმა მინდორს. ეს მინდორი როდესაც სასოფლო საძოვარი იყო და მით უფრო მარჯვე, რომ საძოვრად გაშვებულს საქონელს პატრონი თვალით უყურებდა.

თავადი ღუდუშაურიც სარგებლობდა ამ საძოვრით, რომელიც სოფლის ერთი მეკომურთაგანი და დიდს შელავათს აძლევდა მას ამ საძოვრის სიახლოვე, რადგანაც მრავალის მიმსვლელ მომსვლელ სტუმრების ცხენებზედ ალარა ეხარჯებოდა-რა.

დიდი ხანი იყო რაც ღუდუშაური გბილებს აგრაკუნებდა ამ მიწისთვის და ისე ხელში ჩაგდებას უბირებდა, როგორც სხვა მიწები ჩაეგდო, მაგრამ რამდენჯერმე საჩივარმა უბრალოდ ჩაუარა და რაკი დარწმუნდა, რომ ამ მიწას ველარ დაისაკუთრებდა, იმითაც დაკმაყოფილდა, რომ სხვებთან ერთად სარგებლობა შეეძლო.

მაგრამ აი რაოდენიმე ხანი იყო, რაც ეს ადგილი სოფელმა კომლზედ გაიყო, სათიბლად შემოღება და დაიყორუღა. ამისათვის მებატონე ეხლა ცდილობდა, რომ ისევ საერთო საძოვრად გარდაექცია.

კარგა ცდის შემდეგ, იმან შეაგულიანა დიანბეგი, რომ იმ სოფელში მდგომ ჩათვრებისა და რუსის ყაზახებისათვის ეს ადგილი საძოვრად გამოეთხოვა მართებლობისაგან და შეეტყობინებინა, რომ აქამდის საძოვრად ეს მინდორი იყო, მაგრამ ეხლა სოფელმა რუსის ყაზახების ჯიბრით სათიბებად დაიყო და ამითი მოუსპო ყოველი საშუალება ცხენების შესანახად. ამას დაუმატეს რომ სოფელი მეტად ქურდობს და ამ ყაზახების თავიდგან მოცილება უნდათ, რათა უფრო თავისუფლად ივაზაკონო.

შეადგინეს ეს ქაღალდები, მოაწერინეს ყაზახებს, სოტნიეს, დიანბეგს ხელი და გაუგზავნეს გუბერნატორს, რომელიც დარწმუნდა სიმართლეს და დღე-დღეზედ პასუხს მოელოდენ.

— უუფრე როგორ უვლიან? დაიწყო ენეიანმა, რომელმაც დიანახა რომ სათიბეში ვიღაცა კაცი ქვებს არჩევდა.

— მოუარეთ, მოუარეთ! ეგ უკეთესია—მოგლილი დაგვირჩება, უპასუხა მებატონემ.

ამ დროს დიანბეგი გამოჩნდა გალავანში და ღრეჭითა და თავის-კვრით წამოვიდა მებატონისკენ.

პირველის მისვლების შემდეგ კნეინამ ისურვა შეტყობა, თუმცა გოგოებს დიდი ხანია რაც დაწვრილებით ეამბნათ, რითი გათავდა ზალიაშვილის საქმე.

— უბრალოდ, სრულებით უბრალოდ. მისცა პასუხი დიანბეგმა.—ქალი თავის ნებით წამოჭყოლია ბიჭს და ფხელშელები-კი გაგრეკეს...

— ძალიან კარგად გიქნიათ. თუ კი ქალსა და კაცს უნდათ ერთმანეთი, სოფელი რა შუაშია.

— ბრიყვი ხალხი გახლავთ, კნეინაკ. მაგათთანა ჯიუტი ხალხი ჩემს ყურს არ გაუგონია, თქვენმა მზემ.

— მა რა იქნება გლეხ-კაცობა? გაიტყლარჭა კნეინა.

— სანამ კაი, კაი მათრასები არ ავაყვანე, მანამ არ დაიშალნენ. იცრუა დიანბეგმა.

— აგრე, აგრე თოფრემ გლეხ-კაცობამ თუ ერთხელ ალვირი წამოიყარა, ძნელი-ლაა იმათი დამორჩილება, დაუმატა მებატონემ.

— იქამდის უგუნურები არიან, რომ თქვენს ფანჯრებთან შეერიღიყვნენ და მოჭყოლოდნენ ერთს ყვირილს!

— ისეთი გულ-გასეთქილი წამოვარდი იმათ ხმაურობაზედ, რომ რალა გითხრათ. სულელები!

— აკი მოგასსენებთ. უპასუხა კნეინას დიანბეგმა და მიუბრუნდა ლუდუშაურს.—ბატონო, ქალალდები ხომ მომიგიდა?

— რა ქალალდები?

— სამოგრის თავობაზედ.

— რას ამბობ! სიხარულით წამოიძახა მებატონემ.

— თქვენმა სიცოცხლემ.

— აქამდის როგორ არ მეუბნებოდი?... აბა სად არის? რას იწერებიან?

— აი აქ გახლავთ, უპასუხა დიანბეგმა და გადმოშალა ქაღალდები, რომელიც ხელში ეჭირა.—იწერებიან, რომ სოფელს გამოუცხადე ღობე გადაშალონო და თუ ნებით არა ქნეს, მაშინ ცხენები ძალით გადაიყვანეთო.

— ეგ საუცხოვოა! სიხარულით და ხელების სრესით წარმოსთქვა მებატონემ.

— ახლაც იოვრეთვრონ! დაუმატა ენეინამ.

— განა ეჭვი გქონდათ, რომ ასე არ გათავდებოდა? ჰკითხა დიანბეგმა.

— არა, მაგრამ...

— მოიცა, აბა ერთი წაგვიკითხე.

დიანბეგმა აიღო ქაღალდები, ჩაახველა, ამოიწმინდა ყელი და გაწვრილებულის ხმით წაუკითხა, რითაც კი სიტყვით სიტყვამდე სრულდებოდა მებატონის სურვილი.

— ახლა რას აპირებთ?

— ხვალ უნდა ხალხს გამოვუცხადო.

— რასაჭირია ხვალამდის მოცდა?... დღეს შაბათია, უქმე, მთელი სოფელი ეროობაში იქნება, დაიბარეთ ნაცვალი და გამოუცხადეთ.

— ეგ ძალიან კარგი იქნება.

— მოიცადეთ... ბიჭო, ბიჭო! ბიჭი შემოვიდა.

— ნაცვალს დაუძახე.

— ნაცვალიც და ურიადნიკებიც აქ გახლავან.

— მაშ შემოიყვანე.

ბიჭი გავიდა და მაშინვე შემოიყვანა ნაცვალი და ჩაოგრეგბისა და რუსის ყაზახების ურიადნიკები. დიანბეგმა შეატყობინა ნაცვალს—რა ქაღალდიც მოუვიდა გუბერნატორისგან და გაისტუმრა. ყაზახების ურიადნიკებს კი უბძანა, რომ სახვალიოდ

ირაღი დაემზადებინათ, რადგანაც, თუ სოფელი ნება-ყოფლობით არ დაუყაბულდებოდა, ცხენები ძალით უნდა გადაერეკათ საძოვრზედ. ამას დაუმატა, რომ თუმცა მზად უნდა იყვნენ, მაგრამ ირაღის ხმარებას კი უნდა გაუფთხილდენ. როცა მარტონი დარჩნენ, მებატონემ ბირველმა დაიწყო ლაპარაკი.

— აქ კამანდაცა დგას, იმათი სალდათებიც, რომ მზად იყვნენ, ცუდი არ იქნებოდა... არათერი კი არ იქნება, მაგრამ მეტს სიფთხილეს თავი არა სტკივა.

— დიაღ, მაგრამ კამანდის უფროსმა რომ არ დაგვანებოს ჯარი?

— თქვენ უნდა უთხრათ, რომ თქვენს თავზედ იღებთ პასუხის გებას და დაგყაბულდებათ.

— მერე, რომ მოხდეს რამე? დაფიქრდა დიანბეგი.

— რა უნდა მოხდეს, რას ამბობთ?... მხოლოდ შესაშინებლად კამბობ, თორემ რა უნდა მოხდეს?

— მე ისე მოგახსენეთ, თორემ მართლაც რა უნდა მოხდეს?

— სწორედ რომ არათერი!... ძალა რომ გექნებათ, თქვენც უფრო თავისუფლად იმოქმედებთ. გესმით?

— როგორ არ მესმის.

— მე რომ სადასეთოში ვიყავ ნაჩალნიკად... დაიწყო ლუდუშაურმა და უამბო ისეთი შემთხვევა, რომლისათვისაც დახვრეტა ცოტა იყო იმისთვის, მაგრამ იმის თავ-გადასავალს ცალკე მოთხრობად გიამბობთ როდისმე და ეხლა კი შევხედოთ ერობას, სადაც ხალხს გამოეცხადა ნაცვლისაგან მთავრობის ბძანება.

ავიდა თუ არა ნაცვალი, ხალხი მისცვივდა და დაუწყო კითხვა:

— რაისთვი მოსულა დიანბეგი, რა უნდა, რა გკითხა?

ნაცვალმა შეატყობინა დიანბეგის ბძანება და ეს ხმა ისე შესაწუხებელი და შესაძრწუნებელი იყო იმათთვის, რომ პირველში სიტყვა ველარავინ მოახერხა და რადენიმე ხანი ისე გახევებულებსავით დარჩნენ. მართლადაც, საშინელი იყო იმათი მდგომარეობა. მთის მინდვრის გარჩევა, რომელიც საკესა რიყით, ლორლით და წვრილის ქვით, რომელზედაც ცელები იმსხვრევა, იმისი შემოლობა, წყლის გამოყვანა, მცირედი მუშაობა არ არის და მცირედი ოთლი არ დაელვარათ იმ საცოდავებს, ძლივს მოუპოებანათ თითო ხელის გულის ოდენა ადგილები, რომელსაც ჭირითა და ოთლით თავ-დასარჩენს ლუკმას ჭამლეკდენ და ამდენის გაჭირვების ამტანნი დღეს იმ ცოტა ადგილებსაც და თავის ოთლსაც უნდა გამოსალმებოდენ.

— არ იქნების ეგ! გრგვინვასავით გაირბინა ხალხში ერთხმად.

— გავწყდებით და ეგ არ იქნების!

— დედა შეერთოს ცოლად, ვინც თავი არ დაკვლას ზედ.

— სოფელო! ყველანი წამოდით ხვალ, ყველანი... ან გავწყდეთ და ან ჩვენსას ნუ დავანებებთ.—დარბოდნენ ყმაწვილი ბიჭები.

ბოლოს, როდესაც ცოტა დამშვიდდენ, გადასწყვიტეს, რომ თუ მართლა ეგეთი ძალის დატანება მოინდომეს, უსისხლოდ არ დანებოენ და იმ გადაწყვეტილებით დაიშალა სოფელი, რომ ხვალ ყველანი ერთად შეიყარნენ.

გათენდა დილა. დიანბეგს ისხლა ნაცვალი და ორი მოხუცი კაცი, რომელთაც სოფლის გარდაწყვეტილება შეატყობინეს. ამაზედ მეტად გაჯავრდა დიანბეგი, გალანძღა შუა-კაცები და გარეკა; უბძანა რუსის ყაზახებს და ჩაეთრევინა, რომ შეია-

რადდენ, წაიყვანდენ ცხენები სათიბეში, გადაარღვიდენ ღობე და საძოვრად შეუშვენ.

თითონ დიანბეგმა კი მიიღო სარდლობა ჯარზედ, რომლის უფროსიც დაყენებულა გაჯირეულებაში მიშველებოდა.

ის იყო ყაზახები მიახლოვდენ სათიბს, გადასჭრეს წნელის კარები და შეუშვეს ცხენები, რადესაც სოფელში გაისმა ხმა:

— არიქა, სათიბი გაატიალეს!

ამ სიტყვებზედ გამოცვივდა ხალხი და ლანძღვითა და ყვირილით გაქანდა სათიბისკენ.

რა ყაზახებმა და ჩაფრებმა დაინახეს აღელვებული სოფელი, რომელიც ასე მედგრად მოდიოდა იმათკენ, გამოიქცნენ და ხიდი შეუკრეს, რომელზედაც გამოსვლა ძნელად-ღა შეიძლებოდა. სოფლელები მოვიდნენ მეორე მხარეს და შესდგნენ. მოპირდაპირეებს მარტო ხიდი-ღა აშორებდა.

ისინი ლანძღავდენ ერთმანერთს, ექადოდნენ და თოფებგაშვერილნი ერთმანერთს მოელოდნენ.

ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ: ვერც ერთი მხარე ვერა ჭბედამდა ხიდზედ შედგომას, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ რომ საწადელს მიუღწეველნი, ტყვეით გატიებულნი წყალში გადაცვივდებოდენ.

თუ რომ ვინმე თავზედ ხელ-აღებული და მეტად გაცხარებული გაქანდებოდა, იმას იჭერდა გარეშე ხალხი, რომელიც იმ დროს იქ შეეთხვა.

დედა-კაცები და ბავშვებიც იქ შეეკრიბნენ, ისინიც ილანძღებოდენ უშვერის პირით და კაცებს აქეზებდენ.

ამ დროს გამოჩნდა ბატონი დიანბეგი ჯარით და მივიდა ხალხთან, რომელსაც თოფის გოდახებით ცემა დაუწყეს.

ხალხი ბირკვლში გაიფანტა და არეულად წალმა-უკულმა გარბოდა.

ამ დროს გამოჩნდა გუგუა, რომელსაც ერთ ხელში თოფი ეჭირა და ისე მორბოდა.

— დედა-შეირთოს ცოლად, ვინც მაგათ გაექცეს, დაიძახა ძლიერის ხმით და თითქო ამ ხმამ ძალა მოუმატა ხალხს. ისინი შესდგნენ.

— ჩემთან მოგვდეს, ვინც დიაცი არაა! დასძახა კიდევ გუგუამ და ერთის წუთში რამდენიმე კაცი შეიყარა იმის გვერდით.

გუგუს წინამძღოლობით. ხალხი ასცდა ხიდს, რომლის ზეკით თოფი იყო, აქ გაცვივდა წყალში და ყაზახებს უკანიდგან მოუარა. ამ შემთხვევით გულ-გახეთქილი ყაზახები გამოცვივდენ სალდათების მხარეს.

სამი ყაზახი, რომელთაც ხიდზედ გასვლა ვერ მოასწრეს, იქვე თავ-გაჩეხილები დაეცნენ.

ცხენები გამორეკეს მაშინვე და წყალში გალმა გარეკეს.

დიანბეგმა უბძანა ჯარს იმ თოფზედვე გასვლა, რომელზედაც ხალხი გავიდა. იქიდგან დიანბეგი, სალდათები და ყაზახები, აქედგან ხალხი დაერივნენ ერთმანერთს და დაუწყეს უწყალოდ ცემა. გამანდის უფროსი, რომელიც ამ შემთხვევას არ მოელოდა და ნება მისცა სალდათების წაყვანისა, თავ-შიშველი, გულ-გახეთქილი მორბოდა მოჩხუბრებისკენ, მაგრამ დედა-გაცებმა და ბავშვებმა ჩქარა ქვებით გააქციეს.

ჩქარა ხალხმა დასძალა და წყნარ-წყნარად უკან დაუწყვინა სალდათებს და ყაზახებს, რომელთაც იარაღის ხმარება ალკრძალული ჰქონდათ.

ბოლოს მებრძოლნი ერთბაშად გაიშალნენ და მოვიდა სალდათების წალმა-უკულმა სირბილის დროც.

ამ დროს გუგუ შეხვდა დიანბეგს, რომელიც ბავშვსავით შეიბუტრა, წამოაქცია და დასძახა:

— ძღლო, ძღლო! რაისთვი დღვარე სისხლი? ძღლი ხარ და ძღლურს ნიშანს დაგადებ!

ამ სიტყვებით მოსწია ყურს, რომელიც ხელში შერჩა. დიანბეგმა სიმწარით დაიყვირა და გულს-შემოყრილი იქვე დაეცა. არავინ იცის რითი გათავდებოდა ეს ამბავი, თუ მახლობლად მდგარს სოფლებს არ შეეტყოთ და მაშველებლად არ ჩამოსულიყვნენ. ხალხი კარგა ხანს მღელვარებდა, ვერ ისვენებდა და ბოლოს წყნარ-წყნარად მეზობლებისაგან დამშვიდებული დაიშალა. ამ დღის მსხვერპლნი შეიქნენ სამი მოკლული ყაზახი, ხუთი დაჭრილი ჩათვარი და რვაც ძალზედ გალახული სალდათი; სოფლის მხრიდგან კი შვიდს კაცს ჭქონდა გატეხილი თავი და ერთიც მძიმედ დაჭრილი იყო მხარში და ბარძაყში.

რალა თქმა უნდა, რომ სათიბის კარები ისევ გაამაგრეს და თავიანთი მამული არავის დანებეს.

VIII

ერთს საღამოს, გუგუს სახლებიდგან სანთლის შუქი გამოდიოდა და «ტაშთვანდურის» ხმა მოისმოდა. მრავალი ხალხი შედიოდ-გამოდიოდა იმის სახლში და ეს მოძრაობა ამტკიცებდა, რომ იქ რალაც მხიარულება უნდა ყოფილიყო. ეს გახლდათ ქორწილი,—გუგუ და ციკო ბედნიერდებოდენ.

ისინი ამ მხიარულებაში იყვნენ, როდესაც მოისმა ზარების წკრიალი და პატარა საგზაო ტარანტასი გაჩერდა დუდუშაურის კარებთან.

დათვალეურდენ ყველანი,, თითონ ამაყმა მებატონემაც კი იკადრა კარებთან ჩაბძანება და ტარანტასიდგან გადმოხტა მალალი, უშნოდ აწოწილი და ძალზედ გამხდარი კაცი. იმისი ჭრილა თვალები და გამოქნილი პირისახე, მელური მიხრა-მოხრა აშკარად ამტკიცებდენ იმის ეშმაკურს, გამოქნილს და გამოცდილს ხასიათს. საზოგადოდ პირის-სახის იერი მაშინვე დაგარწმუნებდათ, რომ ის ყოველ-გვარს სიმცირეს იკისრებდა თავის სარგებლობის გულისთვის. ადგილ-ადგილ გამხდარი პირი-სახის შეშუპება ამბობდა, რომ ის საკმაოდ ემონებოდა ბახუსს და არა იშვიათად შედიოდა მასთან მუსაიფში.

ეს გახლდათ გამოძიებლად დანიშნული სოფელ გადალმის «ბუნტის» თავბაზედ.

სახლის პატრონი და სტუმარი მეგობრულად შეიყარნენ და მიესალმნენ ერთმანერთს, როგორც ძველი ნაცნობები.

სახლის პატრონმა შეიწვია შინ და პირველადვე ლაპარაკი სოფლის ბუნტზედ ჩამოვარდა.

— რა დაგემართათ, ივან ივანიჩ! გელით, გელით და ალარ იქნა თქვენი მობძანება.

— საქმეები მქონდა, საქმეები. კნიაზო! რასა იქთ, სამსახურის კაცს ყოველთვის საქმეები აქვს, თორემ მეც მინდოდა ცოტა ოდნად მთის წმინდა ჭაერით მესაიმოვნა,—უპასუხა სტუმარმა და მიგიდა ფანჯარასთან, რომელიც ღია იყო.

— ჭიუჰ; ჭიუჰ! რა ჭაერია და! ნამდვილი სიცოცხლეა.

— სწორედ, რომ კარგი ჭაერია.

— ახლა... რა აზზავია თქვენში? კნეინა ხომ მშვიდობიდა ბძანდება?

— გმადლობთ. სცოცხლებს ღვთის მოწყალებით... ჩვენის ანბისა რალა მოგახსენოთ!... ხალხი გაირეკნა, ალარა ესმით-

რა. ნამეტნავად ამ უკანასკნელის შემთხვევის შემდეგ.

— მოიცადეთ, ჩვენ მოვაგვეცთ ფრთებსა, დაემუქრა გამოძიებელი.

— სიტყვას ალარ გვათქმევინებენ... სწორედ ალარ გვეცხოვრება, ივან ივანიჩ! მთელმა სოფელმა პირობა შეკვრა, რომ ალარც მოჯამაგირედ დაგვიყენოს ვინმე, ალარც იმუშაონ, ალარც გაგვიგეთონ რამე! და... თუ ვინმე სოფლის პირი გასტეხა, მთელის სახლობით იშორებს სოფელი!

— როგორ თუ იშორებს?

— ისე, რომ ალარც ხმასა სცემენ, ალარც ცეცხლს აძლევენ, ალარც წყალს! ერთის სიტყვით სრულებით გაგვალგეებენ.

— ვერ უყურებთ იმათ!

— თუ ეხლა არ გადახდათ, ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ და გადავსახლდეთ აქედან.

— რასა ბძანებთ, ბატონო! ეგ როგორ შეიძლება.

— მა რა ვქნათ? რომ ალარ გვეცხოვრება?... გამოგზავნიან თითო ჩიტი-რეკია დიანბეგს, გამოუცდელს, უსუსურ ბავშვს ! მა რა მოგვივა?

— მოითმინეთ და ნახავთ რასაც ვუზამთ. ერთი უბძანეთ, ნაცვალი დამიბარონ.

სახლის-პატრონი მივიდა კარებთან და ბძანება გასცა.

— დღეს მთელი სოფნა ყაზახები მოვლენ, დაუმატა გამოძიებელმა და ეგზეკუცია უნდა ჩავაყენოთ სოფელში.

— ეგ ჩინებულია! გაეხარდა მებატონეს.

— მოთავეები ვინ არიან? ერთი მიბძანეთ,

მებატონემ დაუსახელა თოთხმეტი კაცი, რომელთ რიცხვში გუგუს სახელიც იყო გარეული.

გამოძიებელმა ჩასწერა.

ამ დროს ბიჭი შემოვიდა და შეატყობინა, რომ ვილაცა ათვიცერი კითხულობს გამოძიებელსაო.

— უთუოდ სოტნის უფროსია.

— სთხოვე, აქ შემოვიდეს,—დაუმატა სახლის პატრონმა.

შემოიყვანეს უფროსი, რომელიც გამოეცხადა გამოძიებელს და შეატყობინა, რომ ის იმის განკარგულების ალსასრულებლად არის დანიშნული და ნაბძანები აქვს ალასრულოს ყოველივე მისი ბძანება. მერე მიესალმა სახლის პატრონს და ბოლოს ჭკითხა,—სად არის დიანბეგი, რომელმაც ყაზახები უნდა დაანბინაოს სოფელში.

ამ სიტყვებზედ შემობძანდა დიანბეგის მოადგილე (ნამდვილი-საავად-მყოფოში იწვა) და ჩათვრების ურიადნიკი ხმლებ-ჩამოკანკურებულები, გამოეცხადნენ გამოძიებელს, რომელმაც მოითხოვა მაშინვე ჩაწერილის პირების დატუსაღება.

ნაცვალი, ურიადნიკი და რამდენიმე ყაზახი აკიდნენ სოფელში, სადაც ხალხი ზალიაშვილის სახლში შეყრილიყო.

— გამოძიებელი მოვიდა და ამა და ამ კაცებს იბარებს,— გამოუცხადა ნაცვალმა.

— გუგუს ქორწილი აქვს, საით წამოვა?

— არა უშავს-რა, დაიწყო გუგუამ.—ხალხმა იმხიარულოს, ჩვენ ჩავალთ, გვკითხენ და ისევ ამოვალთ. ბოლოს თავის ხელით ჩამოიხადა გვირგვინი, გადასცა იქვე მდგომს ბიჭს და პირველი გამოვიდა სახლიდგან.

ისე დარწმუნებული იყო სოფელი თავის სიმართლეში, რომ ეგონა უეჭველად სასტიკად გადაახდევინებდენ, როგორც დიანბეგს ან ჩათვრებს, თითონ ღუდუშაურსაც, რომელსაც უთუოდ ციმბირში გაგზავნიდენ, რადგანაც, იმათის აზრით, ღუდუშაურის ბრალი იყო ყოველისფერი და თითონ უმაღლესის მთავრობის

განკარგულებაც კი ლუდუშაურისა და დიანბეგის მოგონება ეგონათ.

იმათ ვერ წარმოედგინათ, რომ მთავრობას ერთის კაცის გულისთვის მთელის სოფლის ამოღრეკა მოეწადინა ან სოფლის სურვილი, თხოვნა და შეკიწრება უყურადღებოდ დაეგდო.

რა წამს დაბარებულნი ჩამოვიდნენ გამომძიებელთან, იმან მისცა ბძანება იმათის დაჭერისა და ძლიერის ყარაულის დაყენებისა. გამოძიება კი მეორე დღეს უნდა დაწყებულ.

გამოძიების დროს თოთხმეტ კაცს გარედ კიდევ ხუთი კაცი იპოვა მოჯანყეთა მეთაურად და დაიჭირა.

გაება გამოძიება, ჩვეულებისამებრ მოუსვენარი და მოუსვენებელი, რომელიც მთელს ხალხს აცდენდა ამისთანა ყელის-ჭრა მუშაობის დროს.

მთელი სოფლის ხალხი დილიდგან სალამომდე გამოძიებლის კარებთან ეყარა და ხან ერთს იბარებდენ, ხან მეორეს.

გათავდა გამოძიება. სოფლელთა იმედებმა უბრალოდ ჩაიარა, რადგან დაჭერილები ქალაქში გაგზავნეს და რუსის ყაზახები კი ჩაუყენეს სახლში.

ციკო უდრეოდ და ცოცხალის ქმრის ხელში დაქვრიებული, რასაც ჭგრძნობდა მკითხველს თითონ შეუძლიან წარმოიდგინოს...

ციკოსთვის დადგა მოუსვენარი და საძწუხარო დღეები; გულის კანკალით მოელოდა თბილისიდგან ხმას თავის საცოლეს შესახებ.

IX

გაიარა დღემ, კვირამ, თვეებმა, მაგრამ დაჭერილების შესახებ გადაწყვეტილება არა მომხდარა-რა. ისინი ციხეში ისხდენ და ელოდენ ამ დღეს.

სოფლის კაცებს, რომელნიც რამდენჯერმე ჩავიდნენ ქალაქში, ჩაუტანეს ტუსაღებს თვული და ითხოვეს, რომ გადაეწყვიტათ რითიმე იმათი საქმე, შრომამ უბრალოდ ჩაუარა და საქმემ იოტის ოდნადაც არ წაიწია წინა.

ციკოს მდგომარეობა მით უფრო გულ-საკლავი იყო, რომ მამის სახლმა აღარ მიიკარა და მარტოდ, უნუგეშოდ უნდა ყოფილიყო.

ერთს დღეს ციკო წყაროზედ წასულიყო, წყაროსთვის მიედგა ტაგანა (კასრისაგით ჭურჭელი, ზურგზე წამოსაკიდებელი) გასავსებლად და თითონ კი თვიქრს გაეტაცა.

იმას თვალ-წინ წამოუდგა თავისი სიყმაწვილე, მამა—ბიძები, რომელნიც ისე ანებივრებდენ, მოაგონდა დაობლება, მუდამ ტირილი და ვაება თავის დედისა და ბებიისა, მოაგონდა ის სალამო, როდესაც მოიტანეს, მერე რამდენიმე წუთის ბედნიერება მოულოდნელის შემთხვევით დარღვეული. ნუ თუ იმიტომ უარ-ყო დედა, ბებია, მამის სახლი, რომ ეს დღე დასდგომოდა?... ციკომ წყნარად ტირილი დაიწყო.

ხალხი მიდიოდ-მოდიოდა, შესდგებოდა იმის წინ, დაღონებით შეხედამდა, შეიბრალებდა და თავიანთ გზასვე გაუდგებოდა. ციკო ვერა ხედავდა ვერავის, რადგან იქამდის შეეშალა თავის-თავის უბედურებას, რომ ამ ერთის გრძნობის მეტი სხვა ყოველივე დახშოდა და თავის საქმეს ვერარ ასრულებდა.

წყალთან მივიდა რამდენიმე კაცი, ხელ-პირი დაიბანეს და იქვე ქვებზედ ჩამოსხდენ.

— ცხო რაიდა ამბავია ქალაქში? იკითხა ერთმა.

— მთელი ქალაქი იწოდა იმათ ცოდვით. ციკო გამოეცხადა, მოიწმინდა თვალები და მივიდა ტაგანის ასაღებად, მაგრამ რა ქალაქზედ ლაპარაკი შემოესმა, გაჩერდა და ყური დაუგდო.

— ისეთი ცოდო ბრალი იდგა, ღთის მადლმა რომ... რაიდა გუგუი და მახუტი ჩამოალრჩეს, ცხვები კი საციმბიროდ გაამგზავრეს...

— ურჯულოები, ურჯულოები! დაიძახა მეორემ, მაგრამ ციკომ კელარა გაიგო-რა, რადგანაც გუგუს ჩამოლრჩობის ხსენებაზედ გულიდგან თითქოს რაღაც მოსწყდა, წაბარბაცდა, თვალთ დაუბნელდა და უსულოდ იქვე დაეცა,

უცხო-კაცები მისცვივდენ, ბევრი აბრუნეს, მაგრამ გონს კელარ მოიყვანეს.

ციკო ძლივს-ღა ფეთქამდა, თუმცა ხელებს აწყვეტდა აქეთ-იქით და ხან-გამოშვებითი პირისახის დაპრანჭვა აშკარად ამტკიცებდა, რომ ან სატანჯველი სურათები წარმოუდგებოდა თვალწინ, ან არა-და წარმოუთქმელი ტკივილები აწუხებდა.

კაცებმა ასწიეს და ხელ-და-ხელ წაიღეს შინ, საიდგანაც შეატყობინეს იმის დედას და ბებიას, რომელნიც იმ წამსვე ჩამოვიდნენ ქალთან.

იმათმა მზრუნველობამ ქალი არამც თუ წამოაყენა, არამედ დღე და ღამე სულ წყვეტებაში და ბოდვაში აატარებდა. ციკოს ხან საღრჩობელა ელანდებოდა და იმაზედ ლაპარაკობდა; ხან შეიარაღებული კაცები, ხან ვითომ საპყრობილეში აგდებდენ და უზარ-მაზარის გაზებით ხორცსა ჭამდენ... წყვეტებისა და

ტანჯვის შემდეგ მოულოდნელად წამოიკივლებდა და ტკივილის ძალა აშკარად გამოეხატებოდა პირისახეზედ, რომელიც ისე დასწმენდოდა, რომ წმინდა სახთელს დამგზავსებოდა.

იმის გულ-მაგარი ბებია, რომელიც ისე მკაცრად ეჭცეოდა ციკოს კარგად-მყოფობის დროს, ახლა მოხუცებულობის გულის-ტკივილით და გულ-ჩვილობით თავს ეგლებოდა. იმას ალარა შურდა-რა თავის ქალისთვის, რადგანაც უკანასკნელს დღეში ჭხედავდა, მაგრამ რა გაეწყობოდა. ხაზუასაც დააწყებინა ისევ ცხელება და ისიც მეორე ქვეშ-საგებელში ჩაწოლილი გასუწყვეტლივ კვნესაში იყო. მაგრამ ხაზუას თავის სატკივარი ისე არ აწუხებდა, როგორც თავის ნაშობის იმ დღეში ყოფნა: დედა თავის შვილს უკანასკნელს დღეში ჭხედამდა და სასუსტე კი ნებას არ აძლევდა—მოკარა და მშობლიური მზრუნველობა გაეწია. ერთს ლამეს ციკო თითქოს უფრო დამშვიდებული იყო, დაქანცულს მოხუცსაც ძილი მოეპარა და იქვე მიეძინა. შუა-ღამის დროს ციკომ წამოიწია და კარგად-მყოფასავით ფეხზედ წამოდგა. მარტო თვალების ამღვრევაზედ შეამჩნევდით, რომ სრულს გონზედ არ იყო.

ციკომ შეუმჩნევლად გაალო კარები და ბუტბუტით გასწია კარეთ. იმის წამოწარსლებული ლოყები და გამშრალი ტუჩები აშკარად ამტკიცებდენ, რომ საშინელი სიცხე უხარშამდა და უდაგამდა გულ-მუცელს.

ის მიდიოდა წყლისკენ შეუჩერებლივ და მოუზრებლივ. ხანდისხან რალასაც წამოროშავდა ხოლმე უთავ-ბოლოდ გუგუზედ, რომლის სახელიც ამ ტანჯულს არ ავიწყდებოდა.

-ხა მიახლოვდა წყლის ნაპირს; შესდგა, თითქოს იგრძნო, რა საშიშიც იყო კიდევ ერთის ბიჯის გადადგმა. ეშველა!...

ალარ გადავარდება წყალში... ერთბაშად შეკრთა, წადგა წინ ნაბიჯი, ისევ შედგა და დაიწყო ცახცახი:

— მეშინიან, მეშინიან!... მოძდევენ, დაჭერას მიპირებენ... რა უნდათ ჩემგან... ულმერთონო, ურჯულონო! ვერ დამიჭერთ, ვერა!.. ჯ საშინელს კიკილთან ერთად, ერთბაშად გადაეშვა კლდეზედ და პირდაპირ შუა წყალში ჩავარდა...

ამ დროს შემთხვევით იქ ორმა გლეხმა გამოიარა, ეს ამბავი რომ დაინახეს, გაქანნენ მისაშველებლად, მაგრამ გვიან-და იყო.—იმათ მისკენ წყლიდგან ქალმა ამოიყოფუმელავა, მაგრამ ტოტხალი კი ალარ იყო...

დამლრჩვალი გამოიტანეს ნაპირას და იქ დასასვენეს.

ჩქარა ჩამოვიდა მთელი სოფელი, რომელთ შორის მოხუცი «შავთვალაც» გულ-გახეთქილი მოდიოდა.

იმან დაინახა თუ არა ქალი, საშინელის წივილით ზედ დაეცა და მწუხარებამ მსწრაფლად სული ამოართვა.

ასე გათავდა ამ ოჯახობის ცხოვრება, გაქრა იმათ სახლში სანთელი, ალარავინ მოაგონებდა, თუ ოდესმე იმ სახლობაში კერა ნთებულიყო.

დარჩა მარტოკა საბრალო დედა, რომელსაც გამოუდეკელმა მწუხარებამ ჯერ კიდევ სული ამოხადა და მერე ჭკუიდგან შეშალა.

საბრალო ხაზუა დადიოდა ხეში და ხან ვისა ჭკით. ხავდა და ხან ვისა:—ჩემი ქალი ხომ არ გინახავთ? მე ვიცი, რომ ქალი მყავდა... რა იქნა, რა?... ციგო, ციგო! საშინელის და შესაზარის ხმით გაჭვიოდა იგი.—მომტაცეს, მომგლიჯეს, მოჭამეს!... არა, აქ იქნება სადმე... სისხლი! დაიძახებდა ცახცახით და ერთს ადგილს მიაჩერდებოდა.

— სისხლი! შეშინებით გაიმეორებდა და მწუხარება და უბრალოებას სახეს.—მოჭკვლეს, მოჭკვლეს დაიყვირებდა და დაიწყებდა ძროხასავით ღრიალს, ღრიალს ისეთის ხმით, რომელიც ყველა კაცს შეაზარებდა იმის მდგომარეობას.

სიკვდილმა შეინანა ეს საცოდავი, მაგრამ რისთვის?

ა. მოჩხუბარიძე.

წერილები

ლოგინიერ ბენოვნისა.

(რუფინისა)

(თარგმანი ელენე მამულაშვილისა.)

თავი I

ჩემი აღზდა.—საკვირველი ჩვეულება.—ჩემი სხვა-და-სხვა შემთხვევები გზაზედ.

ყოველ დილის თერთმეტს საათზე ბიძა-ჩემი, მლვდელი, სწირავდა საყდარში ლ მეც მუდამ წირვაზე ვემსახურებოდი. ასეთი უფერული ცხოვრება ორის წლის განმავლობაში ძალიან მომბეზრდა და ამისათვისაც ისე ერთგულად ალარ ვემსახურებოდი ბიძა ჩემს, როგორც წინად. წირვის შემდეგ, როდესაც ბიძა-ჩემი შესამოსს იხდიდა, მე ჩუმად გავიპარებოდი ხოლმე ფოსტაში წერილების მოსატანად ლ შინ სწორედ სადილობის დროს ვბრუნდებოდი.

ბიძა-ჩემი, უფროსი ძმა მამი ჩემისა, ცხოვრებდა გენუასა და ნიცცას შუა-გზაზედ მდებარე ქალაქში, სადაც იგი ყურსუგდებდა დედი-ჩემის მამულებს, რომელნიც მომეტებულად ზეთის-ხილის ხეებით იყვნენ გაშენებულნი.

ძაძა ჩემი გენუაში სცხოვრებდა და არ ვიცი თავის უფროსი შვილი, როდესაც იგი შვიდის წლისა შესრულდა, რად მიაბარა სასწავლებლად ხსენებულს მღვდელს. დედა ჩემზედ არავერს ვიტყვი, რადგანაც არავერი ეკითხებოდა სახლში. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემს მეორე ძმას, ცეზარს და მე უნდა გვესწავლა ლათინური ენა, კარგი მიხვრა-მოხვრა დედი-ჩემის ზეთის-ხილის ხეების ჩდილოებში და მერე აქედან გენუაში დავბრუნებულიყავით.

ბიძა-ჩემი სამოცის წლისა იყო და უფრო გულ-კეთილი, ვიდრე ბოროტი: ექვსი თვე სულ მამულების მოსავალს შესცქეროდა და როდესაც არავერი მოუვიდოდა, მაშინ დანარჩენს ექვსს თვეს სულ ტირილითა და წუხილით ატარებდა. იმის სალაპარაკო სავანი ზეთის-ხილი იყო და ყველას ამაზედ ელაპარაკებოდა. იმის სტოლზედ ათას-რიგად მომზადებული ზეთის-ხილი იყო: გამხმარი, დამარილებული, შაქარში მოხარშული. როდესაც კი მე და ბიძა-ჩემს ერთად მოგვიხდებოდა გავლა, სულ ზეთის-ხილის ხეებს შესცქეროდა: ყვავილი გამოაქვთ თუ არა. ერთის სუტყვით გარედ და შინ ჩვენს არე-მარეში სულ ზეთის-ხილის სუნი იდგა.

როდესაც ზეთის-ხილის ხეების დათვალიერებას მორჩებოდა ხოლმე, იწყობდა სათვრანგეთის და ფრანცუზების ლანძღვას. რა დაეშავებინა სათვრანგეთისა და ფრანცუზებს ამისათვის —არ ვიცი; მაგრამ მე კი ამის გამო ერთი ამბავი მაგონდება, რომელსაც იგი სიცილითა და სიამოვნებით უამბობდა ყველას, როდესაც კი შემთხვევა ეძლეოდა. ერთხელ, როდესაც გარას ნაპირებზე ვიყავით, იქ, სადაც ეს მდინარე სარდინიას სათვრანგეთისაგან ყოფს, ის გავიდა ხიდზედ, დადგა სათვრანგეთისკენ მდინარე ნაპირზე, იგბინა ცერზე, დაემუქრა სათვრან-

გეთს და გამარჯვებულივით დაბრუნდა უკან. აბა ახლა გამოიხსნას საფრანგეთმა თავი ამ უბედურებისაგან.

ბიძა-ჩემი, როგორც ვსთქვი, უფრო გულ-კეთილი კაცი იყო, ვიდრე ბოროტი. საუბედურად იმასა ჭყვდა ერთი ხნიერი მეკუჭნავე ქალი, მარგალიტა, რომელიც უფრო ბოროტი იყო, ვიდრე კეთილი. ეს ქალი მე მტრულის თვალით მიყურებდა და საჭმელს თავის დღეში მაძღრისად არ მაჭმევდა. ასე გაშინჯეთ, სადილზედაც კი ვერ ვიძღობდი კუჭსა ამ ბორტის ქალის წყალობით, ბევრჯელ ისე მოამშიოდა ხოლმე, რომ მზად ვიყავი ჩემის წაღების სამოგვეები შემეჭამა.

ერთი მაღალის ტანის, გამხდარ-გამხდარი მღვდელი დადიოდა ჩვენსა და მასწავლიდა ლათინურს საათში ერთ შაურად. საკვირველი მუცლის კაცი იყო ეს მღვდელი: როგორც კი ბიძა-ჩემს გარედ გაიგულებდა, მაშინვე ეძგერებოდა ღვინით სავსე ბოთლებს და კარგად გამოიბრუყებოდა ხოლმე. მხოლოდ ღვინო არა ჭქონდა მარგალიტას დაკეტილში შენახული, რადგანაც კარგად იცოდა, რომ მე ღვინოს არ ვეწყობოდი. როდესაც კი ბიძა-ჩემი გარედ არ გავიდოდა და ჩემი მასწავლებელი ვერ მოასწრებდა ღვინის დალევას, იმ დღეს სულ ღრინავდა და ჩემზედ ერილობდა ჯავრსა.

აი ამისთანა გარემოებაში ვიყავი ორის წლის განმავლობაში და ერთი წელიწადიც კიდევ უნდა დავრჩენილიყავი. მაგრამ ამ დროს ერთმა სამოცის წლის ქვრივმა კაცმა დაიწერა ჯავრი და ამ შემთხვევამ სრულიად შესცვალა ჩემი ცხოვრება.

აქაურს მცხოვრებლებს ჩვეულებად ჭქონიათ და ესლაცა აქვთ: როდესაც ნაქვრივალი კაცი მეორე ცოლს ირთავს, დიმბლიბიტო-ნალარით და სიმღერით მიეგებებიან ხოლმე. ქორწილის დამეს, ის იყო ვახშამზედა ვსხდებოდით, როცა უეცრად

მოგვესმა დიმშლიშვილო-ნალარის და სიმღერის ხმა, ყველანი თვანჯარასთან მივედით. საკვირველი სანახაობა იყო. იმ ქუჩაზედ, რომელზედაც ჩვენა და ახალი ჯვარ-დაწერილები ვიდექით, მოგრეოვილიყვნენ სოფლელები—ქალი, თუ კაცი. ზოგს ანთებული მუგუზლები ეჭირა, ზოგს დაირა, ზოგს კიდევ-ვინ იცისრა. მოგრეოვილის ხალხის შუაში მოჩანდა ტრახტევანი, რომელშიაც ოთხი თხა ება, ტრახტევანში კიდევ ორი დიდი ლორი იჯდა.

ტრახტევანი ახლად ჯვარ-დაწერილების სახლის თვანჯრის წინ იდგა. იქ უფროსის ბძანებით ქალებმა და კაცებმა დაიწყეს სიმღერა, ვირებმა ყვირილი, ლორებმა ჭყვირილი, ერთის სიტყვით ისეთი საშინელი ყრიამული ასტყდა, რომ არამც თუ ცოცხლებს გაუჭედავდა ყურებს, მკვდრებსაც კი გაანძრევებდა.

მე დიდის კმაყოფილებით ვსიამოვნებდი ამ სანახაობით, მხოლოდ იმაზედ ვწუხდი, რომ არ შემეძლო იმ მომღერალს ხალხში გარევა და იმათსავით სიმღერა.

მაგრამ ბიძა-ჩემი კი, ძალიან ახლო შეგობარი იყო იმისი, ვისთვისაც ეს ამბავი გაემართათ და სულ სხვა აზრისა იყო. იმას არა თუ არ მოსწონდა ეს ამბავი, სამარცხვინოდაც სთვლიდა და უბძანა ბიჭებს, ყველა თვანჯრები ჩაეკეტათ, რომ ამით უკმაყოფილება გამოეცხადებინა ხალხისათვის. ეს ამბავი სამს დღეს გაგძელდა, მე ძალიან მინდოდა იმათში გარევა, მაგრამ სახლიდამ ვერა ვბედავდი გამოსვლას. მესამე დღეს კი ველარ მოვითმინე, გავერიე მომღერალს ხალხში და როგორც კი დავიწყე მეც იმათთან სიმღერა, მარგალიტამ უკანიდამ უეცრად კისერში ხელი მტაცა და შინ წამათრია.

ბიძა-ჩემი მედიდურად იჯდა სუფრაზედ. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემზედ ძალიან გაჯავრებული იყო.—ძმი-ჩემის შვილმა,

ბიძი-ჩემის ძმის-წულმა, ისე დაიმდაბლოს თავი, რომ გვერიოს უბრალო ხალხის ხროვაში და მიიღოს მონაწილეობა მათს უგვანს სიმღერაში!... ეს მეტის-მეტია და იმის მომქმედი დიდის სასჯელის ღირსი. ძალიანაც დამსაჯეს: დამამუქდეს იმ სარდაფში, რომელიც პურის-საწმელის ოთახის გვერდით იყო.

ამ სასჯელის ალსრულებამდის მე წავედი ჩემს ოთახში და უკანკალოდ დავიძინე. მეორე დღეს მარგალიტამ გამაღვიძა, წამიყვანა სარდაფში და საღამომდის იქ დამაგდო. საღამოზედ კიდევ მოვიდა და წამიყვანა ოთახში დასაძინებლად. მესამე დღესაც ისევ ის სასჯელი მომცეს; ისე გაგძელდა ერთის კვირაზე მეტი. მე ამისთანა მდგომარეობამ ძალიან შემაწუხა და დამაღონა, უფრო იმისთვის, რომ ამ დროს ერთის მათლაფა სუფის და ერთის ნაჭრის პურის მეტს არავერს მაძლევდენ.

შიმშილს კიდევ ჯანი გავარდნოდა, ამას როგორც იქნებოდა გავუძლებდი; მე ის უფრო მაწუხებდა, რომ სარდაფში მარტოდ-მარტო ვიყავი გამომწყვდეული, არც წიგნები მქონდა, არც მასწავლებელი მყვდელი მოდიოდა და არც არავინ მელაპარაკებოდა. საშინელება იყო ამისთანა მდგომარეობა, საშინელება.

მხოლოდ ერთის სიტყვის თქმა იყო ჩემთვის საკირო, რომ გამოგასულიყავ ამ მდგომარეობიდამ. იმ კედელში, რომელიც სარდაფსა და პურის-საწმელს ოთახსა ჰყოფდა, ერთი პატარა ჯუჯუტანა იყო, რომლიდამაც ყველაფერი მესმოდა, რასაც კი ლაპარაკობდენ. იქიდამ არა ერთხელ გამიგონია ბიძი-ჩემის ხმა, რომელიც იტყოდა ხოლმე პურის ჭამის დროს, რომ მაპატიებს, თუ შენდობას მოვთხოვდი. მაგრამ ისე ვიყავ გაბრაზებული, რომ თავის დღეშიაც არა ვთხოვდი შენდობას არც ბიძა-ჩემს და არც მარგალიტას.—«არა» ვამბობ-

დი მე ჩემს თავად, «თავისდღეშიაც არა!» მე უფრო სხვა ფიქრებით ვიყავ გართული. მე მინდოდა გენუაში გაქცევა. ერთს ღამეს ავდექი ჯ ფეხ-აკრეფით კიბეებზედ ჩამოვიპარე. როგორც დავაპირე კარების გაღება, ძალიან შემეშინდა... ბნელი ღამე იყო!...

ჩემის დატუსაღების მეთერთმეტე დღეს გავიგონე ბასი ბიძი-ჩემისა და მარგალიტას შორის: «რა მშვენიერი თევზია, ამბობდა ბიძა-ჩემი, მე მინდა ეს იმ საწყალს ბავშვს გავუგზავნო; ვიცი რომ ძალიან უყვარს» მე თევზი ისე არ მახარებდა, როგორც ისა, რომ ამის შემდეგ სასჯელი შემიმსუბუქდებოდა. იმავე წამს მარგალიტამ გაალო კარები, შემოვიდა ჩემს სარდაფში და შემოიტანა თევზის ძვლებით სავსე თეფში... ეს მეტის-მეტი სასაცილოდ აგდება იყო. მე არაფერი ვსთქვი, მაგრამ დავიფიცე კი მეორე დღეს გაპარულიყავი... ჩემს თავს მშიშარს უძახდი, თუ რომ ამას არ ავასრულებდი. მართლაც ავასრულე ფიცი, მთელს ღამეს ტანისამოსი არ გამიხდია, ჩუმად გამოვედი სასლიდამ და დავადექ გენუას გზას.

სეკტემბერი იყო და მშვენიერი ტაროსი იდგა... მე მივდიოდი რაც ძალა და ღონე მქონდა, მხოლოდ ხანდისხან შევდგებოდი დასასვენებლად. შუა-დღისას სიცხემ შემაწუხა ჯ გზის სხლოს დავიძინე. გზაზედ ბევრი ნაცნობები შემომეყარნენ, რომელიც მკითხავდენ სით მივდიოდი. ამ კითხვაზედ მე ყოველთვის ერთს პასუხს ვაძლევდი და ისეთს ადგილს ვუსახელებდი, სადაც ბიძა-ჩემიც და მეც ხშირად ვიარებოდით. მე არც საგზალ საგძალი მქონდა ჯ არც ფული მის სასყიდლად; მე ვჭამდი ბევრს ყურძენს, რომელსაც გლესები მთავაზობდენ ვენახებიდამ. საღამო-ყამს მივედი ერთს ქალაქში, სადაც წინადაც ყოფილვარ და სადაც, როგორც მახსოვს, ახალი ეკლესია შენ-

დებოდა... მე პირდაპირ ეკლესიისაკენ წავედი, ორის ქვის შუა წავწექი, ვილოცე და დავიძინე.

მზის ამოსვლისას გამომეღვიძა და კიდევ გავუდექი გზას. ძლიან დავიღალე, თვხები დამისივდა და ის თვიქრი მაწუხებდა-კი თუ ალარ შემძლებოდა სიარული. მაინცა და მაინც რაც შემეძლო მივდიოდი და მალე დავუახლოვდი ერთს თეთრად გალესილს სახლს. მე მინდოდა კიდევ წავსულვიყავ, მაგრამ, დახედე უბედურებას! ამ დროს უეცრად მოამესმა ნაცნობი ხმა, რომელიც მიყვიროდა: «ძლიეს არ დავიჭირეო!» მე გავაჭყიტე თვალები და დავინახე თეთრად გალესილის სახლის თვანჯარაში ბიძა-ჩემი და მარგალიტა, რომელნიც უკან დამდევნებოდენ, რაკი ველარ ვენახეთ. დანარჩენს თქვენ თვითონ გაიგებთ... რამდენიმე საათის შემდეგ ისევ იმ სახლში ვიყავ, რომელიც ჭირზედ უარესად მეჯავრებოდა.

ბიძა-ჩემმა და მარგალიტამ სასაცილოდ ამიგდეს ჩემის განზრახვისათვის; მე გაქცეულს მეძახდენ და სხვებსაც ეუბნებოდენ, ასე დაეძახნათ. ამ ჩემმა ქცევამ სასჯელი ალარ მოამიტა. მაგრამ ბიძა-ჩემმა, რომელსაც წინადაც მიეწერა მამი-ჩემისთვის ჩემს სამარცხვინო გარეკვაზედ მომღერალს გლეხებში, ეხლაც კიდევ მისწერა ჩემს უკანასკნელს საქციელზედ და თანაც დაუმატა, რომ მე თავ-ქეიფა ბავშვი ვარ, რის გამოც მამა-ჩემმა განიზრახა დაეშლეინებინა ჩემთვის ეს ხასიათი და იმავ წამსვე სკოლაში გამგზავნა.

ამ ამბის რამდენიმე დღის შემდეგ მე მოვიტანე ფოსტიდამ წერილი, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბიძა-ჩემზედ. წერილი მამა-ჩემს მოეწერა, ბიძა-ჩემმა მხიარული სახე მიიღო, რამდენჯერმე წარბები მოიჭმუხნა და გაიარ-გამოიარა, მერე შედგა ერთს ალაგს, დამიწყო ცქერა და მითხრა: «ავა-

ზაკო, მამა შენი გენუაში გიხმობს; იქ სკოლაში უნდა მიგცეს.»

სკოლაში ცხოვრება აგრე რიგად არ მიზიდავდა მე; მაგრამ ის ცხოვრება, როგორსაც აქამდის ვატარებდი, ისეთი საძაგელი იყო, რომ ყოველივე ცვლილება გამახარებდა. მე მოვისმინე ბიძი-ჩემის სიტყვები და მივუგე, რომ მზად ვარ ყოველივე მამი-ჩემის ბძანება შევასრულო.

ვინ იცის მომავალში რა ბედი მომელოდა, თუ იმ ქვრივ კაცს მეორედ ცოლის შერთვა არ გაეზრახა?

წასასვლელად მალე მოვემზადე. ყოველი ჩემი ქონება ერთს ბოხჩაში გამოვკარ და მეორე დღეს, საშუაბათს, შვიდს საათზედ, მზად ვიყავ გზას გავდგომოდი.

ბიძა-ჩემმა ერთს თავის მეგობარს ჩამაბარა, რომელიც გენუაში მიდიოდა და ისიც დაჭვირდა, რომ კარგად მიმიყვანდა ჩემს სახლში. გამოთხოვების დროს ბიძა-ჩემმა რამდენიმე აბაზი მახუქა და თანაც მითხრა, რომ გზაზედ არ დამეხარჯა; ამას კარდა, საგზაოდ გამატანა მჟრაბა და პური, მერე დამლოცა და გაუშორდით ერთმანერთს.

პოვოზკამ გზაზედ ძალიან დამანჯღია. ბიძი-ჩემის მეგობარი, რომელიც თან მომდევდა, ჩემს პირდაპირ იჯდა და ძალმალე მკითხავდა—ავად ხომ არა ხარო, მე თუმცა ვუთხარ არა მეთქი, მაგრამ ნამდვილად კი ავად ვიყავი... ბოლოს ჩემი უქმეობა გამოცხადდა, რამაც ძალიან გააჯავრა ჩემი მეგარეული, ბიძი-ჩემის მეგობარი, რადგან ყურის გდება მეტი მიანდებოდა. ორის დღის სიარულის შემდეგ გენუაში მივედი. შიმშილისა და ავად-მყოფობისაგან ისე ვიყავ შეწუხებული, რომ სულ ცრემლები მერეოდა თვალში... მაშინ მე ჯერ ცხრა წლისა არ ვიყავ.

თუმცა ძალიან პატარა ვიყავ, რადესაც გენუა დავტოვე, მაგრამ ჩემის მშობლების სახლს მაინც მალე ვიპოვნიდი, თუ რომ შუა ქალაქში მიგვეყვანეთ; იმ ადგილიდამ კი, სადაც ეხლა გადმამსვეს, გამოუკითხავად ვერ ვიპოვნიდი ჩვენს სახლს. შორიდამ ხალხის გრეგა დავინახე; მაშინვე მივმართე და ვკითხე,—ესწავლებინათ ჩემთვის თუ სად იდგა ბატონი ბენონი (მამა ჩემი.) ერთმა იმათგანმა შავ-ულვაშებიანმა მკითხა: «თეულები გაქვსო?»—დიალ, ერთი აბაზი მაქვს მეთქი»—«მაშ კარგი, შენ ეგ თეული მომეცი და ბენონთან მე წაგიყვანო.» მე ისე სულ-სწრაფად მოველოდი მამი-ჩემის ნახვას, რომ ის ერთი აბაზი იმავ წამსვე ამოვიღე და მივეცი. იმანაც გამომართვა თეული და თავის მეგობრებით სადღაც წავიდა. მე ისე დაღალული ვიყავ, რომ მებულკეს დუქნის წინ სკამზედ ჩამოვჯექი და დავუწეე იმ კაცს ცდა. დიდ ხანს ველოდე, ასე რომ ბოლოს იმედი გადამიწყდა—თეულიცა და ის კაციც დაიკარგნენ და მეც მოვტეუვდი მეთქი.

სქელ-სქელმა დედა-კაცმა, ვგონებ მებულკე იქნებოდა, მკითხა ვის ვუცდიდი იმ სკამზედ. მეც ჩემი თავ-გადასავალი ვუამბე. «ვაი, საწყალო ბავშვო! სთქვა იმან,—მოუტეუებიხართ; ეცადე როგორმე მოიგონო რომელს ქუჩაზეა მამი-შენის სახლი, რომ გასწავლო გზა-» მე დავუსახელე წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც, როგორც მახსოვდა, ჩვენის სახლის სახლო იყო. «ოჰ! ეგ ძალიან შორს არის, მითხრა ქალმა... მაგრამ შეგიძლიან იმ ეკლესიიდამ მიაგნო თქვენს სახლს?» მე მიპუგე, რომ [illegible]ნებ მეთქი. კეთილმა დედა-კაცმა დაუძახა ერთს თავის მოსამსახურეს და უთხრა, რომ მე წმინდა გიორგის ეკლესიამდის მივეყვანე და არ მოშორებოდა იქამდის, ვიდრე მამი-ჩემის სახლთან არ მივიდოდი. მე მადლობა გადავუხადე იმ

ფეთილს დედა-კაცს და გაუფუჭ უკან იმის მოსამსახურეს. ნასეკარ საათში ეკლესიასთან მიგვედით, საიდამაც ადვილად მივაგენი მამი-ჩემის სახლს; მაგრამ ისე დაღალული და დაქანცული ვიყავ, რომ ძლივს გავბედე კარების დარეკვა. მე მეგონა სახლში არ მიმიღებენ მეთქი. ჩემმა ძმობლებმა დიდის ხიხარულით მიმიღეს.

ვერას გზით ვერ შემიძლიან გადმოგცეთ ის სიტკბოება და სიამოვნება, რასაც ვგრძნობდი მაშინ, როდესაც დედა-ჩემს მკერდში ჩავეკარი და ლაპა-ლუპით მდუღარე ცრემლები გადმოვმდიოდა.

დედი-ჩემის ნაზმა ალერსმა და ტკბილმა სიტყვამ ძალე დამავიწყა ძველი დარდები. ორის წლის სხვაგან-მყოფობის შემდეგ, სადაც წვალებისა და შიმშილის მეტი არა მენახა-რა, ეხლა მესმოდა ალერსი და სიყვარულით ლაპარაკი, რომელიც ბავშვისთვის დიდი რამ არის. მაგრამ ეს ბედნიერი დრო დიდ-ხანს არ გაგძელებულა. ხუთმა დღემ რომ გაიარა დაბრუნების შემდეგ, დერეფამ მოიტანა სკოლისთვის ფორმის ტანისამოსი და მამა-ჩემმა, რომელიც გულ-გრილად მექცეოდა, გამოიცხადა, რომ ხვალ სკოლაში უნდა წაგიყვანო და მზად იყავიო. ესრედ, მეორე დღეს დილით ადრე ჩავიცვი ფორმის ტანისამოსი, შემკობილი ყვითლის ღილებით, ერთის ტირიდლითა და ქვითინით გამოვეთხოვე დედას და ძმებს და გავყევი მამა-ჩემს. ერთის საათის უკან მე ვიდექი სკოლის უფროსის წინ, რომელიც სასულიერო წოდების პირი იყო და რომელსაც შესვლის უმალვე ხელზედ ვაკოცე, როგორც მამა-ჩემმა მიბძანა. ამ უფროსმა ალერსიანად გადამისვა თავზედ ხელი და სხვა მღვდელს გადამცა. იმანაც მესამეს გადამცა და ამ უკანასკნელმა წამიყვანა და რამდენიმე დერეფანი გამატარა. ამანვე

მკითხა სახელი და გვარი, ჩასწერა სიაში და მოამცა რვეული ლ კალამი.

შემიყვანეს ერთს ზალაში, სადაც თვრამეტი მოწაფე იჯდა. მეც მიმიყვანეს ერთს ადგილას და დამსვეს. გაკვირვებით ვუყურებდი მოწაფეებს, რომელნიც ამას იქით ჩემი მეგობრები უნდა გამხდარიყვნენ.

ამ სკოლას სახელმწიფო კოლეგია ერქვა. იმაში სწავლობდა ასი ყმაწვილი, რომელნიც შვიდის წლიდამ თხუთმეტს წლამდის იქნებოდენ. წლოვანობისა ლ მეცადინეობის მიხედვით მოწაფეები ხუთად იყვნენ გაყოფილნი, თითო განყოფილებაში ოცამდის ყმაწვილი იჯდა.

სახელმწიფო კოლეგია სასულიერო წოდების პირთა ხელში იყო, რომელნიც სამასკოვის ორდენს ეკუთვნოდენ. ამ ორდენს წეს-დება ყმაწვილების აღზდასა სდებდა კალად.

აი ვინ იყვნენ სკოლის უფროსები: მამა რექტორი—ყმაწვილესი პირი, რომელიც არავის არ ემორჩილებოდა და ერთსდა-იმავე დროს მეფეც იყო და პაპაც.

იმის თანა-შემწე—პირველის მოადგილე, როცა ის ავად გასდებოდა, ან წავიდოდა სადმე.

მამა მინისტრი—გადაწყვეტილების აღსრულებაში მომყვანი.

ბოლოს ყურის-მგდებლები, რომელნიც განუყრელად შეგირდებთან იმყოფებოდენ.

ყურის-მგდებლებს ისე ცოტა ჯამაგირი ჰქონდათ, რომ ამ თანამდებობას მხოლოდ გაუნათლებელი მღვდლები ასრულებდენ.

ამ სასწავლებელში ხუთი წელიწადი დავყავ. ღმერთმა დამიხსნას რომ ყველაფერი გიამბოთ, რაც კი ამ ხუთის წლის განმავლობაში მომხდარა. ტანჯვა-წვალების, სიცივისა და სიმ-

შილის მეტი არა გვინახავს-რა ამ სკოლაში. ყოველ ხუთშაბათობით დედა-ჩემი მოდიოდა სკოლაში ჩემს სანახავად.

მე ამ დროს ერთი გულითადი მეგობარი შევიძინე ჯ ჩვენ ორივეს გაკვლენა გვქონდა დანარჩენ მოწაფეებზედ.

თავი II

სადაც ახალის პირებს შევეცნებით და სადაც მე მათ ვუამბობ ძალად მოკლულის ჩიტის ამბავს.

გავიდა ოთხი წელიწადი და წინა თავში მოხსენებული პატარა ბიჭი ცამეტის წლისა გახდა. იგი იყო ფერ-მკრთალი და მალალის ტანისა წლოვანობის გვალობაზედ. მეორე განყოფილების მოწაფეებში იგი ერთი უკეთესთაგანია.

ეს განყოფილება არ იყო ბედნიერი, იმის მოწაფეები დიდს გაჭირებას ითმენდენ.

როგორ, როდის და რა გზით შემოიღეს ამ გვარად შეგირდების ტანჯვა—არ ვიცი. მე მხოლოდ მახსოვს, რომ ამ გვარადვე აწვალებდენ მოწაფეებს, როდესაც მე მეორე განყოფილებაში მიველ. მე ვეცდები ცოტა-ოდნად მაინც შევატყობინო ამ ოთხის პატარა მტარვალ მოწაფეების ამბები, რომელნიც თავის ამხანაგებს მეტის-მეტად აწვალებდენ.

ანასტაზი—ასე ეძახდენ ჩვენს უფროსს მტარვალს—იყო პატარა, დაგრეხილ-თვალებიანი, დიდ-თავა, შეუსაფერო ტანისა, ცხვირი ჰქონდა გაჭყლეტილი, პირი მოხეული და შესედულობა სწორედ კატისა ჯ ვეფხვისა. მე აქნობამდისაც არ ვიცი, თუ ესეთი უხეირო და უშნო ქმნილება როგორ უფლობდა ყველა-

ზედ. ყველამ იცოდა, რომ ის გაუმაძღარი, ძუნწი და დამცინავი მტარვალი იყო, ყველას ეზიზღებოდა და ეჯავრებოდა; მაგრამ მაინც ყველა ემორჩილებოდა მას, როდესაც იგი გაბრაზებული დაიწყობდა ლაპარაკს. სასტიკი ზედამხედველები და ის ოთხი შეგირდი, რომელნიც ამ განყოფილებაში მეფობდენ, თავიანთ ამხანაგებს ისე ეჭცეოდენ, როგორც ყურ-მოჭრილს ყმებს.

ჯერ ესლაც, ოც-და-ათის წლის შემდეგ, როცა კი მოვიგონებ ჩვენს ტანჯვას, რომლითაც იმ გესლიანმა და ბოროტმა კაცმა ჩაგვაშხამა ჩვენი ახალ-გაზდობა, როცა მოვიგონებ ჩვენს უძიდო დამეებს, ჩვენს მწარე ცრემლებს, გული ბოლმით მევსება და ხელებიც კანკალს მიწყებს. მე გიამბობთ ერთს ამბავს, რომელიც, მგონია, გაგაცნობთ, იმის ხასიათს.

ამ დროს ერთი დიდი ამბავი იჭცეოდა მთლად ევროპის ყურადღებას. ეს ვამბობ ერთი-მეორე გმირ ბერძნებზედ, რომელნიც წინ-ალუდგნენ თათრების მტარვალობას. მათის ბრძოლის ამბები ჩვენს სასწავლებლამდისაც მოდიოდა. ჩვენ, რასაკვირველია, ბერძნებს და საზოგადოდ ქრისტიანებს ყოვრო თანაგუგრძნობდით. ანასტაზი კი ერთად-ერთი კაცი იყო ჩვენი სკოლიდამ, რომელიც თანა-უგრძნობდა ოსმალებს და ბერძნებს ყაჩაღებს ეძახდა.

ჩვენის განყოფილებიდამ ორმა მოწაფემ, რომელნიც ძალიან მალალის ტანისანი, ღონიერები და ტეტუცები იყვნენ ანასტაზის მხარე დაიჭირეს და ისე იჭცეოდენ, როგორც შეუბრალებელი ჯალათები. შეგირდებს იგინი ჯარიმას ართმევდენ და ანასტაზს ამლევდენ, რომელნიც ცოტაოდენს იმათაც უწილადებდა ხოლმე და კაი იმას ვინც მათ წინააღმდეგობას გაუბედავდა,—ცემა-ტეკვით სულს ამოარომევდენ.

თუმცა ძალიან ბეჯითად იცავდა ეს ორი კაცი ანასტაზის

უზდელობას, მაგრამ იგინი მაინც იმის ძალას არ შეაძენდენ!

ურბინო თუ ლამაზი, მდიდარი, ხელ-გაშლილი დიდის ხარისხის ასალ-გაზდა თავადი. ბუნებას ყოველივე კეთილი ნიჭი მიეცა იმისთვის, რომ ხალხის მიმხრობა შესძლებოდა. ძასწავლებლების მსრივ წყალობის თვალით ყურებამ და ზოგიერთების პირში ქებამ გაუფუჭა მას კარგი ხასიათი და დაარწმუნა, რომ ის ხარისხით ძალიან მაღლა სდგას თავის ამხანაგ გლეხებზედ, და ის ხარისხი ნებას აძლევს იუფლოს ძათზედ. მაგრამ უნდა მართალი ვსთქვა,—თავადი ისეთი მტარვალი არ იყო, როგორც ანასტასი. თავადი მიმართავდა ხოლმე ანასტასს მაშინ, როდესაც ვისიმე ჯავრის ამოყრა უნდოდა, მაგრამ მაშინაც კი ისე მოხერხებულად იქცეოდა, რომ დამნაშავედ ისევ ამსანაგი გამოჭყავდა. ამ გვარად იგი თავიდამ იცილებდა ამსანაგებისაგან გაკიცხვას და ხანდისხან კიდეც ჭკიცხავდა ანასტასის ქცევას, ქრთამის აღებას, რაშიაც თავადი არ იღებდა არავითარ მოხსწილებას, იმიტომ რომ თვითონაც მდიდარი იყო და თავ-მოყვარეობაც ნებას არ აძლევდა ამისთანა საქციელის ჩადენას.

ამ ოთხს პირს კრიზაში კუდექით მხოლოდ მე და ჩემი ამხანაგი, დანარჩენები ვერაფერს ვერ ბედავდენ მათ წინააღმდეგ.

მე მოვიხსენიე ქრთამი, რომელსაც ჩვენი მტარვალები იღებდენ, ესლა გიამბობთ იმასაც თუ როგორ იღებდნენ ამ ქრთამს. პირველად ყოველ-დღიურ ქრთამის აღებაზედ მოგახსენებთ.

ჩვენს სკოლაში საუზმის დროს პატარა პურის ნაჭრის მეტს არას გაძლევდენ, მაგრამ ყველას კი ნება ჰქონდა თავის ფულით რაც უნდოდა ის ეყიდნა და ამ ნებით ბევრი სარგებლობდა, ვისაც კი შეძლება ჰქონდა. ყოველ-დღე საუზმის დროს ანასტასი ჩამოგვიგლიდა, როგორც ჯარიმის მკრეფელი და

ყველა საკმელებიდამ იღებდა ნაწილს თავის და თავის მოამხრეების მადის დასაკმაყოფილებლად. ერთის სიტყვით ეს სამი მტარვალი ჩვენის საკმლით იკვებებოდენ.

ეს ჩვეულებად იყო შემოღებული: საზიზღარი მცარცველობა არავის არ აღელვებდა. ასე გაშინჯეთ, ბევრი მოწამეთა-განი თავის-თავადაც სთავაზობდა ანასტასის თავის საკმლის საუკეთესო ნაწილს.

მეორე ქრთამი. სადილზედ და ვახშამზედ, როცა კი მტარვალის საყვარელს საკმელს მოიტანდენ, ჩვენ უნდა ყველას თავ-თავის წილი საკმლიდამ იმისთვის იმდენი გადაგვედო, რომ იმ.საც და იმის ამხანაგებსაც ჭყოფნოდათ. მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ როდესაც ფლავს მოიტანდენ, ყველანი უსადილოდ ვრჩებოდით, რადგანაც ეს საკმელი ანასტასს ძალიან უყვარდა.

ყველა მოწამეებს, რომელთაც ნათესავები სანახავად მოსდიოდენ და მოჰქონდათ ხილი ან სხვა რამ საკმელი, უსათუოდ იმისთვისაც უნდა გვეწილებებინა. როდესაც ჩვენ თვითონ წაგიდოდით ნათესავებთან, მაშინაც უსათუოდ საკმელი რამ უნდა მოგვეტანა იმისთვის. თუ ზოგიერთი დამალვდა მოტანილს საკმელს და ძრე შეუტყობდენ, მაშინვე იმის ბარგ-ბარხანას აურევდენ, უპოვნიდენ და მოტყუებისთვის დასჯიდენ.

ამას გარდა, ყოველთვის, როცა კი არიფასა გაიმართებოდა, ანუ სხვა რამე ლხინი, ანასტაზის და იმის მოამხრეებისთვისაც ჩვენ უნდა გამოგვეღო ფული.

ამასთან ჩვენვე უნდა დაგვეწერა იმათთვის თხზულებანი და გადაგვეთარგმნა გადასათარგმნელი და ეს შრომა მოამეტებულად მე მაწვებოდა კისერზედ.

ესეთი იყო სამუდამო ქრთამი კანონიერად აღიარებული.

რაც შეეხება შემთხვევით ქრთამებს, ამისას ნულარას მეტყვით, ანასტასს არაფერი არ მოეხსენებოდა, როგორც მაგალითად: დანა, ბურთი და სხვ. თუ ვინმე ნებით არ მისცემდა მოწონებულს ნივთს, მაშინ ძალად ართმევდა.

მე წინადვე მოგახსენეთ, რომ ამ ჩვენს პატარა რესპუბლიკაში მოწინააღმდეგე დასს შევადგენდით მე და ჩემი ამხანაგი. ეს ამხანაგი იყო ალფრედ. მაგრამ ეხლა კი დრო გაგვცნო მკითხველო ორი გამოჩენილი პირი ჩემის მოთხრობისა, რომელთაც ჩემს ცხოვრებაში საყურადღებო მნიშვნელობა აქვთ.

თუმცა ცამეტის წლისა ვიყავი, მაგრამ მე უფრო ბევრი მესმოდა, ვიდრე ჩემის ხნის სხვა მოწაფეებს. მე ძალიან გულჩვილი ვიყავ და მტირალი რამ შემითხვევა საშინლად მოქმედებდა ჩემზედ. მასწავლებლის მკვახე სიტყვა, ამხანაგების ჩხუბი გულის-ტკივილს მგვრიდა, ცრემლებით მიგსებდა თვალებს, მადასა და ძილს მიკარგავდა,

ამისთანა ხასიათმა გამხადა მე მშვიდობიანი, თითქმის ზარმაციც. მე მშვიდობიანობა ყველაზედ მეტად მიყვარდა და და ვერიდებოდი ყოველს არეულობასა და შფოთს.

ეს მშვიდობიანობის სიყვარული მაიძულებდა მომეკლა გულში საბრალზე და ბოლმა, რომელიც მალულებდა, როდესაც გხედავდი შეგირდებს შორის უსამართლობას და ძლიერისაგან სუსტის დჩაგვრასა. რაკი ანასტასს და იმის მოამხრეებს შეგებმოდი, საუკუნოდ უნდა გამოგმშვიდობებოდი მუდრო ცხოვრებას. ისა სჯობდა კაცს არათერისთვის ყური არ ეგდო და თავისთვის მშვიდობიანად ყოფილიყო, თუმცა ასე ყოფნა ბევრჯელ განვიზრახე, მაგრამ გულის გრძნობა კი მეუბნებოდა, რომ მტარვალების წინააღმდეგ მემოქმედნა. ეს რაიმდენი გრძნობა განმიცხოველდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მე

წაკითხე რამდენიმე წიგნი გმირების შესახებ, რომელნიც გაგიუბიათ მოძწონდენ; მას აქედ მე გავსდი მოვრეული მთელის კლასისა, განმათავისუფლებელი ტანჯულთა და დამსჯელი მტარვალებისა... რა გულის-მიმზიდველი წიგნებია ის წიგნები, რომლებშიაც მოგზაურ რაინდების ცხოვრებაა აწერილი. «დიალ, მეც იმათ უნდა მიგბაძო, ვაშბობდი ჩემ თავად, ლირსი ვარ მეც იმათთანა ვიყო.»

ამ გვარად ორ წყალ-შუა ვიყავი, როდესაც ერთმა შემთხვევამ გამამხნევა და ბოლო მოუღო ჩემს გაუბედაობას. მე მოგახსენეთ, რომ ალფრედ ჩემი გულითადი მეგობარი იყო მეოქი. ის იმისთანა კეთილის გულისა, მიმზიდველის ხასიათისა და ამასთანავე ისეთი სუსტი იყო, რომ სხვის მოვრეულობას საკვირველებდა,—და ამ მოვრეულადაც მე ამოვუჩნდი. როდესაც იგი, ორის წლის წინად, მოებარა სკოლაში, იმის ამხანაგებმა, მესამე განყოფილების მოწაფეებმა, რომელთ რიცხვში მეც ვიყავი, ძალიან აიბუეს იგი; ხან დასცინოდენ, ხან რას ეუბნებოდენ და ხან რასა. საწყალმა ბავშვმა ძალიან იდარდა და ამ დარდით ავადაც გახდა. ამ პატარა, საწყალის ბავშვის სიმარტოვემ და დაბრიყვებამ ძალიან შეამწუხა და დამალობა; მე მოვრეულად გავუსდი და ჩემის წყალობით იმისი დეკნა და დაცინვა მოისპო. ამის შემდეგ ალფრედმა მეტის-მეტად შეიყვარა და გახდა ჩემი გულითადი მეგობარი.

მართლადაც მე ის ისე მიყვარდა, როგორც კარგი საყვარელი ძმა.

ალფრედსა ჰყავდა ერთი მოხეული ჩიტი, რომელიც ისე უყვარდა, როგორც პატარა ბავშვს უყვარს თავისი ტიკინი. ალფრედმა ასწავლა ამ ჩიტს სხვა-და-სხვა ეშმაკობა. ერთხელ ანასტასიმ მოინდომა იმ ჩიტის ხელში ჩაგდება. ალფრედმა

რომ ეს შეიტყო, ცივი უარი შეუთვალა, ჩიტიც იმავ წამსვე ყუთში ჩასვა და დაჭეტა. მეორე დღეს ყუთი გატეხილი ნახეს და საწყალი ჩიტი, როგორც ეტყობოდა, ძალად მოკლული იყო.

რა საშინლად შეწუხდა ალფრედ. სული უგუბდებოდა ბეკრის ცრემლებისაგან, ყვიროდა რაგორც გაგიჟებული და თმებს იგლეჯდა. მე ანასტაზი გავამტყუნე ამ ჩიტის სიკვდილში. ანასტაზის ამისთანა ქცევამ ისე აგვალელვა ყველანი, რომ არ ვიცოდით რა გვექნა, იმან თავის-მართლება დაიწყო ჩვენს წინაშე, მაგრამ მაინც ვერ გაიმართლა. ამ დღიდგან დავიფიცე, რომ შეებმოდი ანასტაზს და ბოლო მოგელო იმის უსამართლო ქცევისათვის.

მაგრამ ამ განზრახვის შესრულება მალე არ შეიძლებოდა. ჩემს მხარეს ალფრედის მეტი არავინ იყო; და განა შეგიძლებდით ჩვენ ორნი ანასტაზისა და იმის მოამხრეების დამარცხებას? რასაკვირველია ვერა. მართალია, ზოგიერთა პირველის განყოფილების მოწაფეებიც ჩვენსკენ იყვნენ და მთხოვდენ კიდეც ბოლო მოგელო ანასტაზის უფლებისათვის, მაგრამ მათი დახმარება დროებითი იქნებოდა და არა საძუდამო. მე მინდოდა ჩვენსაკე კლასში მეპოვნა რამდენიმე შეგირდი, რომ მათის დახმარებით ძნელი საქმე ადვილად შემესრულებინა.

მე ქებით კი არ ვიტყვი, მაგრამ დიდი სახელი მქონდა მთელს სკოლაში. პირველი რომ ყველა საგნებიდამ პირველი ვიყავი და სამი მედალიც მქონდა მიღებული: მწერ-მეტყველობაში, პოეზიაში და გეომეტრიაში. მასწავლებლისაგან ჩემს ქებას ალარა ჭქონდა დასასრული, განსაკუთრებით პოეზიის მასწავლებელი მაქებდა ხოლმე. იმის აზრით მე მომავალში იტალიის დაცემულ პოეზიის აღმადგინებელი გავხდებოდი.

მე კიდევ იმიტომ ვუყვარდით მოწაფეებს, რომ ყველას გაშველოდი: ზოგი მეუბნებოდა: «ლორენცო, მოდი ეს გაკვეთილი ამიხსენ.—ლორენცო ეს თხზულება გამისწორე,—ლორენცო, მე უშენოდ გეომეტრიის გაკვეთილის დასწავლა არ შემიძლიან.—ლორენცო, რა კეთილის გულისა ხარ!» მე ვშველოდი მათ და ვიხსნიდი არა მარტო დატუქვისა და სასჯელისაგან, არამედ ქებასაც და საჩუქრებსაც იღებდენ ჩემის წყალობით.

მე ვგონებ ჩემის მხრით კვეხნა იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემს ამხანაგებში ყველაზედ უკეთესი მე ვიყავი და ყველასაც ვუყვარდი.

ალფრედ, რასაკვირველია, ჩემი მარჯვენა ხელი იყო ჩემის განზრახვის შესრულების საქმეში. იმის ალტაცება იქამდის მიგიდა, რომ მე უნდა «მამულის დამხსნელად» გამოგვეცხადებინე. მე ალფრედს მივანდე გაეგო აზრი ორის მოწაფეისა, მაგრამ ამის შესახებ ვერაფერი გაერიგებინა. ბიბლიით, იმათ საკანონოდაც აეგდოთ.

«ნუ გეშინიან, ვუთხარი მე იმას, ჩვენ უიმათოდაც ბოლად წავალთ. ტოტადენი მოთმინება იქონიე, ალფრედ, და დარწმუნებული იყავი, რომ მე საშველებას ვიპოვი.» ნამდვილად კი მე თვითონაც არ ვიცოდი, როგორ მოვიპოვებდი ამ საშველებას. მე მხოლოდ ისა მქონდა ფიქრად, რომ ანასტაზს ან თავადს წავჩხუბებოდი და გამომცხადებინა ჩემი თავი მათ წინააღმდეგ. «თუ რომ ჩემი მაგალითი, ვფიქრობდი მე, არავის გაამხნევებს და არ მოემხრობიან... მაშინ ცხადი იქნება, რომ იმათ ლრმა ძილითა სძინავთ და ვერც ერთი საყვირი ვერ გამოაღვიძებს ამ ლრმა ძილისაგან.»

რომ უფრო გულ-მაგრად ვყოფილიყავ, მე წავიკითხე ალ-

ფიერის ზოგიერთა ტრაგედიები და მოუთმენელად ველოდი შემთხვევას ჩემის განზრახვის აღსასრულებლად.

ამ დროს ერთმა შემთხვევამ უეცრად გა ანცხარა და მოახლოებდა ჩემის განზრახვის ასასრულებელი დრო.

თავი III

თავადი იმარჯვებს ჩემზედ, მაგრამ იმის გამარჯვებას ბოლოს ვულებ.

ერთმა შემთხვევამ, რომელიც ამ დროს სკოლაში მოხდა, აგვალლვა როგორც მოწაფეები, ისე მასწავლებლები. ამ შემთხვევამ დაარღვია სკოლის ჩვეულებრივი მშვიდობიანობა.

მისი უდიდებულესობა კორონელი კარლი მობძანდა გენუაში და მოითხოვა გაეგზავნათ იმის წინაშე სკოლის დეპუტაცია. დეპუტაციაში უნდა ყოფილიყვნენ მამა რექტორი, იმის ოთახშემწე და ხუთიც მოწაფე ყველა განყოფილებისა. ვინ იქნებოდენ ის ხუთნი მოწაფენი? მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცოდა მათი სახელები.

«ვის ამოირჩევენ?» ვკითხავდით ალელვებულის ხმით ერთმანერთს ყველა განყოფილების მოწაფეები. ეს ჰქონდათ ყველას ლაპარაკის საგნად.

მეორე განყოფილების მოწაფეები ორად იყოფებოდენ: ერთი მხარე ჩემსკენ იყო, მეორე თავადისკენ. ჩვენ ორნი ვიყვით ერთი-ერთმანერთის მოქიშენი: თავადი თავის სარისხით და მენდლით, რომელიც მიიღო რიტორიკის საგანში და რომელსაც პროფესორებიც და ზედამხედველებიც სწყალობდენ;

ბუ კი ვსჯობდი მას ჩემის ნიჭით და კიდევ იმით, რომ სწავლის გამო ს

ისე არას გავუჯავრებივარ, როგორც ამ შემთხვევას. სწორე უნდა გითხრათ, მე თავის დღეშიაც ვერ ვიფიქრებდი, რომ თავადს მე დამამჯობინებდენ კორილოთან წარდგენის დროს; დარწმუნებული ვიყავი, რომ უსათუოდ მე ამოვირჩევდენ. ძალიან გავბრაზდი თავადის ამორჩევით, რადგანაც იგი ამის ღირსი არ იყო,—გავბრაზდი არა იმისთვის, რომ მე ვითომც ძალიან ვამპარტავნობდი ჩემის ღირსებით, არამედ იმისთვის, რომ თავადს სწავლით ბევრითა ვჯობდი. გვარის-შვილობას შეგირდები ბევრად არ ათვასებდენ, უტკივნო, თუ გინდ თავადად ან გრაფად დაბადებულიყო, ჩვენთვის მაინც უტკივნო იყო.

კორილის წინაშე წარდგენა! ეს აზრი აღელვებდა ჩემს თავმოყვარეობას. მე მზად ვიყავ მიმეცა ჩემი სწავლა, მენდლები, ჩემი სული და გული, ოღონდ კი წარვდგომილიყავ კორილის წინაშე. მთელს თვეს ამაზედ ვფიქრობდი და იმედიცა მქონდა, რომ ეს სურვილი ამისრულდებოდა; ისე ვიყავ აღელვებული, რომ თვალ-წინ მქონდა წარმოდგენილი—თუ რასა მკითხავდა კორილი და მე რას მივუგებდი. რაგორ დავსდგებოდი იმის წინაშე და რაგორ დავუწყობდი თვალში ცქერას. მისი დიდებულებაც უსათუოდ უურადღებას მოიქცევდა, რადგანაც მოწაფეებში მე ყველაზედ უკეთესი ვიყავი... იქნება კორილმა თავის ბაღადაც გამსადოს? მე მაშინ გავლენიანი და დიდი-კაცი გავხდებოდი.

კაი თქვენ მაშინ მტარვალებო! ანასტაზი და იმის ჯალათები ციხეში დალუბოდენ ჩემის წყალობით... მაგრამ არა, დემ ჯანდაბას დაკარგულიყვნენ, რომ ჩემს თვალს ისინი ალარ დაენახა. ალტრედს ჩავბარებდი კავალერიის პოლკს და გუსარისას, რომელთ ლამაზი მორთულობა იმას ძალიან მოსწონდა... მე ასე ვფიქრობდი და ბოლოს კი ბედმა მიმეხთლა. ყველა ჩემი

იმედები ყვავილებივით დაჭკნა, ჩემს მოამავალს შავი ბურუსი გადაეკრა.

დეპუტაციის რიცხვში დანარჩენი მოწაფეები იყვნენ: ორი ესპანიის დიდის-კაცის შვილი, ერთი ლენერლის შვილი, და ერთიც შვილი მდიდარის ვაჭრისა,—ყველა ესენი კარგნი იყვნენ თავიანთის შთამომავლობით და სიმდიდრით, სწავლაში კი სუსტები... არც ერთი მათგანი არ იყო ღირსი თავის დანიშნულებისა.

მკითხველს, რასაკვირველია, ამისთანა უხეირო მოწაფეების არჩევა ისე დიდ დანაშაულად არ მიაჩნია, როგორც მე მაშინ მიამჩნდა. სულიერი მამები, რომელნიც სკოლას განაგებდენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათგან თხოულობდენ არა სწავლულ კაცებს, არამედ ასხელმწიფოს ერთგულთ. თუმცა სულიერი მამები ხანდისხან ამპარტავნობდენ საუკეთესო მოწაფეებით, მაგრამ ბეჯითად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ კორპოლის წინაშე მნიშვნელობა ჰქონდა არა სწავლას, არამედ გვარიშვილობას და სიმდიდრეს. განსაკუთრებით ჩვენს დროში ნათელს აზრს აბრალებენ პიემონტისა ან ნეაპოლის მოძრაობას. დრო იყო,—წესიერება აღეგინათ, რის გამოც დაჭეტეს ტურინის, გენუის უნივერსიტეტები და ბავშვების აღზდის წესი გამოუგზავნა პიემონტს ავსტრიის იმპერატორმა ფრანცისგ პირველმა. პასუხად ამ აღზდის წესისა, რომელიც წარუდგინა მილანში ერთმა პროფესორმა, იმპერატორმა მოგლედ წარმოსთქვა: «მეტის-მეტს თხოულობს. თუ რომ ჩემს ქვეშევრდომებს წერა-კითხვა ეცოდინებათ, სრულიად საგმო იქნება!»

დავუბრუნდეთ ჩვენს მოთხრობას, მე ჩემს სიბრაზეს გულში ვამალავდი გარეგანის სიმხიარულით და თანაც დავცინოდი ბატეპის დეპუტაციას, რომელიც ეძახდი კორპოლის წინაშე

გაგზავნილს მოწაფეებს. ეს დეპუტაცია სალამოზედ დაბრუნდა უკან. თავადმა სიამპარტავნით ალარ იცოდა რა ექნა, მოწაფეები შემოესვივნენ და პირ-გალებულნი უცქერდენ. თავადმა ნამდვილის ზღაპრულის ამბებისა ძბრობა დაიწყო.

ძვირფასის კარეტით მივიდნენ სასახლეში ოთხი მოწაფეები შეიყვანეს იმ ზალაში, სადაც მრავალი ბრწყინვალე გენერალებიც იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ გაიღო კარები და კორონალი... კორონალი მოამლიმარის სახით შემოვიდა. კორონალი წავიდა მოწაფეებისკენ. თავადს მეგობრულად თავზედ დაუკვა ხელი, ჭკვითხა მამისა და დედის ამბავი, გაიგო მისი წლოვანება და ლაპარაკ ყოფილიყო მშვიდი, წყნარი და სხვ..

სახლიდამ რომ გამოვიარენ დეპუტატები, იმავე კარეტით წავიდენ დეპუტაციაში მყოფ ერთის მოწაფის მამასთან, გენერალ სან-მარტინოსთან, სადაც მათ ელოდათ ბალში დიდი სადილი სამხედრო მუზიკით. მისვლის უმალვე დიდის ყოფით მიესალმნენ მათ, ბევრი კარგის კონიაკი მიართვეს, ბოლოს, ყოველ ამის შემდეგ, როდესაც სკოლაში მოდიოდენ—თითქოს ამ ქეიფის დასაგვირგვინებლად—ყველანი კანდიტრის მალზიაში შეიყვანეს... მკითხველო, გესმის თუ არა?—კ ნდიტრის მალაზიაში, სადაც შესვლა შეგირდებს ასტიკად ეკრძალებოდა ეკრძალული!.,. ისინი შევიდნენ იქ და ყოველიფე სიტკბოება იგემეს...

ამ დღემ ჩემთვის გაგძელებულმა და სამწუხარომ, თავადისათვის ერთს წამს გაირბინა. როდესაც მე ვ დილობდი ცრემლები შემეკავებინა, თავ დი მხიარულობდა და სტკბებოდა.

ყოველი სიტყვა ამ ზღვრისა შხამივით ძეწვეოებოდა გულში და თუმცა ძალიან ვცდილობდი თავი შემეკავებინა, მაგრამ სასტკვნად მაინც უკმ ყოფილება მეტყობოდა; ესლაც კი გულ-გრი-

ლად ვერ მოიგონებია ეს ჩემთვის საძწუხარო ამბავი. ღმერთს მე დიპლომატად არ დავებადნე.—«შენ როგორღაც ძეიფზედ ყოფა ხარ, ლოუნტო?» მითხრა თავადმა და დამაშტერდა.

რა კარგი დრო არის, რომ მეც დავუშხამო იმას გული და დავურღვიო ბედნიერება! მე კისრგებლე ამ შემთხვევით და ვუთხარი ტკბილის ხმით: «სრულიადაც არა, ჩემო საყვარელო ამხანაგო; თუ რომ ცოტადენს უსიამოვნებას ვგრძნობდი—ამასაც შენის გულისათვის; შენმა საუბარმა კი ეს უსიამოვნება სრულიად გადმიყარა გულიდამ.»

— რა უსიამოვნებას იგრძნობდი, თუ ღმერთი გწამ—ჩემს გამო? მკითხა თავადმა გაკვირვებით.

— წარმოიდგინე რომ კოროლს შენს დედ-მამაზედ არაფერი ეკითხა, და ეკითხა შენს სწავლაზედ, მაგალითებრ ისტორიიდამ?

— მერე რა? მეც ისე მივუგებდი ჰასუხს, როგორც ხხვა.

— აი სწორედ მაგაზედ შენსავით დაიმედებული არ ვიყავ. წარმოიდგინე, რომ მის უდიდებულესობას კოროლს ეკითხა თუ ვინ მოიგონა იტალიური სონეტი?... მე ვგონებ ჰასუხის მიცემა გაგიძნელდებოდა?

თავადს ეს ძალიან ეწყინა.

— თქვენ ჩემი გამოცდელი არა ბძანდებით, მითხრა იმან და გაჯავრებული სახე მიიღო.—მე თქვენის სიტყვების დარღვევაზედ არ მოვსცდები.

— კარგი! აბა განმიმარტე რა არის ჰოეზია საზოგადოდ, ვუთხარი მე მას; დანარჩენს თუ გინდ თავი დავანებოთ.

— გეფიცებით,—შეჰყვირა თავადმა:—მე არ ვიცი რითი მოგაჭვსთ თავი და ან რითი ხართ უკეთესი, ხომ არ გნებავთ,

რომ დაგვლეთ თქვენს თვერხთა წინაშე და გცეთ პატიები, რა-
გორც დიდის ჯკუის პატრონს.

ამ კითხვა-და დაცინებამ უკვლანი გაცინა.

— თქვენზედ მეტის ცოდნა დიდ ჯკუას არა თხოულობს.

— რაც მაგას შეეხება, საქმითა მტკიცდება, აი ამ მენდლით, რომელიც პოეზიაში მიგიღე.

— რაგორ! შეკუკვირე მე:—ნუ თუ მაგ მენდალმა გაგაამპარტავნათ? რომელი სონეტისთვისაც თქვენ ეგ მიიღეთ, ის ხომ სხვისგან გადმოსწერეთ და ისიც უხეიროდ.

— ეგ ცილის-წამებაა! შეჭკვირა მან და გაწითლდა.

— მე რომ მინდოდეს, ეხლავე ერთს წიგნში გიჩვენებთ იმ სონეტს. შემდეგში მე ცხადად დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ პოეზიისა არაფერი გესმით.

ამ დროს დარეკეს ზარი ვახშმის საჭმელად და ბოლო მოელო ამ გაცხარებულს საუბარს.

ამისთანა გადაკვრით თავადს ძალიან ეწოდა გული და მეც უფრო ისა მქონდა სახეში, რომ მოემეშხამა იმის ბედნიერება, ვიდრე ჩხუბის მიზეზი მეპოვნა. ამ ლაპარაკის დროს ჩვენის სკოლის ერთი ჩვეულება მომაგონდა: აქ იცოდენ, რომ ერთი მოწაფე, პროფესორის წინაშე, გამოიწვევდა მეორე მოწაფეს და გაეკიბრებოდა რომელსამე საგანში. აი ამით არჩევდენ მასწავლებლები კარგსა ს ცუდს მოწაფეებს და ღირსებისა-მებრ ასაჩუქრებდენ უკეთესებს.

ამ რიგად მოწაფეების გაკიბრება მასწავლებლებს ძალიან მოსწონდათ. მე გადავწყვიტე რომ თავადს გავკიბრებოდი პოეზიის საგანში და ისე მოუთმენლად მოველოდი მეორე დღის გაკვეთილს, რომ იმ ღამეს ძლივს დამეძინა ფიქრის გამო.

მეორე დღეს ალფრედ მოვიდა ჩემთან ხელების ფშვნეტით.

— იცი, ლორენცო, გუშინდელმა შენმა სიტყვებმა, რომ თავადს სონეტი ფრუგონის წიგნიდამ გადმოუწერია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს ამხანაგებზედ. იმათ გაშინჯეს ფრუდონის წიგნი და დარწმუნდენ, რომ შენ მართალი გეთქვა. თავადის სონეტი იმ წიგნიდამ ყოფილიყო მოპარული, ⁄ ფრედერიკი, რომელსაც საჩუქარი უნდა მიელო,—ძალიან გაბრაზებულია თავადზედ.

— რასაკვირველია, გაბრაზდებოდა, მიუგე მე.

— ის ახლა ჩვენსკენ გადმოვა, არა, ლორენცო? იმედი მაქვს შენც მოელაპარაკები იმას.

— დიახ, თავის დროზედ, ახლა კი სულ სხვა აზრი მიტრიალებს თავში... შენ ხომ არა გგონია, რომ მე თავადთან საქმე გამეთავებინოს?

— არ ვიცი; მაგრამ გაგიბედავ და გეტყვი, რომ შენს თავში რალაც დიდი აზრი ტრიალებს.

— გამოიცან! მე დღეს იმას გამოვითხოვ და პოეზიის საგანში შევეჯიბრები! მიუგე მე.

— მშვენიერებაა! შეჭყვირა ალფრედმა და სიხარულით რამდენჯერმე შეჭხტა მაღლა. მაგრამ კანიშნე, რომ ჩუმად ყოფილიყო.

მჯავრ-მეტყველობის გაკვეთილი დილით უნდა ყოფილიყო, პოეზიისა შუადღის უკან. როდესაც პირველის გაკვეთილისათვის ზარი დაგვირეკეს, მე ავიღე წიგნები და წავედი და თანაც ვჯავრობდი, რატომ ახლა არ არის პოეზიის გაკვეთილი მეთქი. მაგრამ მეითხველსა ვსთხოვ წამომეყვეს კლასში, სადაც გავაცნობ მას ერთს საკვირველს პროფესორს.

ხამდვილი პროფესორი უქმეიფოდ იყო და ლოგიაში იწ-

ვა, ამისათვის იმის მაგივრად ტუუილი პროტესტი შემოვიდა, რომელიც იყო ერთი ჩამომხმარი მღვდელი ოცდ-ა-ათის წლისა, მალალი და სუსტი. იმის ნამდვილი სახელი კი დამავიწყდა, მაგრამ მეტი სახელი კი მახსოვს, რომელიც ჩვენ დავარქვით: «გძელ-თვალებიანს» ვეძახდით. საწყალი «გძელ-თვალებიანი» ჭკუით დაბალი იყო, მაგრამ ტანით კი მალალი. ქვეყნისათვის დიდი უცნობი მოწამე! მაპატიე ის ლიმილი, რომელიც ეხლაც კი მოსდის სახეზედ, როდესაც შენ გიგონებ; მაპატიე, ამისთვის, რომ ამ ლიმილთან ცრემლებიც მერევა თვალებში...

(შემდეგი იქნება)

თ. ალექსანდრე ჭაჭავაძის ლექსები

ლიმილმან კარი ლალისა
განალო გამკვირვალისა,
დღეს ესე მკმარის სიმდიდრედ,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.
ალვის ნაყოფი მრჩობლედი
შეკამცენ ჩემი დამბნედი,
დღეს ესოდენ გაკბედი,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.
ნიავთ მობერვით შეძრულმან
სული მაყნოსა სუმბულმან,
დღეს ამით განიშვა გულმან,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ეს ლექსები თ. ალ. ჭავჭავაძისა გამოგვიგზავნა ჩვენ ბ. ი. მეუნარგიამ შემდეგის წერილით:

«ბ. რედაქტორო. გიგზავნით ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს. არც ერთი ეს ლექსი არ არის დაბეჭდილი მის ლექსთა-კრებაში. ერთი თუ ორი მათგანი კი, მგონი, იყო დაბეჭდილი პეტერბურგს გამოცემულ ქრისტომატიაში, მაგრამ ამ ქრისტომატიას ეხლა ძნელად-ღა სადმე

ეს ცვლილი რომ მე მეგრძნება,
რად მკითხავ-როდის განქრება.
გული მას სანთლად ვუმსხვერპლე,
მაშინ ჭქრეს, ოდეს მთლად დნება.

სოფლის მიმნდობთა ბოლო აქვთ შესამად,
ლხინი, შექცევა თვალისა წამად.

არა ერთხელ სიწყაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა,
არა ერთხელ ბედის დიდა შეუცვლია შავს ღამესა.

გაფრენილო ვიწამო, სხვამცა რალა ვიწამო,
ესოდენ მრეზომეს, გიგონო და გიწამო.
ამად გემდურ ვინამო, დამფონესო ვინამო
სულსა გიძღვნი სულისთვის, ოღონდ გული ვინ ამო.
მოდით, ძმანო, მო ნახეთ, ქმნილა გამხმრად მონა ხედ
გასწრობია გონება, გიშრის ტეკრში მონახეთ.

ეკვილი მხმარი სულ მიღებული,
წიგნშიგან იდვა დაკიწყებული,

ი შოვნით. ლექსი «მეფე რომ ვიყო ასეთი» ვიკტორ ჰიუგოდამ არის ნათარგმნი. ეს ლექსები ვიპოვე მე—ვინ იფიქრებდა ამას—თავ. დავით ერისთვის წიგნებში... ამას შემდეგ არ გამიკვირდება თქვენს რედაქციის პორტფელშიაც კი გამოვჩხრიკო დაუბეჭდავი ბარათაშვილი, მიკიწყებული ჭაკჭაკაძე.»

მისმა დანახვამ მყისად აღმიგსო
მიმოგონებით გული ვნებული.
ნეტა ეს მდელო სად ყვავებულა,
დიდ ხანამც შლილა როდის მოსთლულა.
უცხოს თუ მცნობის ვისიმე ხელით,
და რას მიზეზით აქ შთადებულა.
საგონად ტკბილის ერთად შეყრისა,
თუ ნიშნად მწარის მოშორებისა.
თუ მუდრობად ველთა გრილთ ტუეთა შინა
სახსოვრად მარტო რონიებისა.
ნეტა არიან სადმე ცოცხალი
ამის მომწყვეტი კაცი და ქალი.
თუ ცოხ ისინიც ეგრეთვე მწყენარან,
როგორც ეს მდელო არის მიმწყენარი.

მეფე რომ ვიყო ასეთი ხელთ მეპყრას მთელი ხმელეთი, ფერხთ-ქვეშ გიფენდი ყოველს ქვეითს, რაც უვის ხემწიფობასა: გვირგვინს, ქვეყანას, საიმპერასა, ბორიფინსა, ტახტსა, და სრასა სრულიად ვანაცვალებდი შენგან ერთს შემოხედვასა.

თუ ვიყო ყოველის შემძლებელ,—სამოთხის ულევს განცხრომასა მთიებთ, ქვეყანათ, სამყაროთ, და ჩვენთ ქვეთილ-განწყობასა, ანგელოსთ ციურ გალობას ჩემს მათზედ შემძლებლობასა **ბეფუცვი** მსხვერპლად ვუძღვნიდი ერთ ოდენ შენსა ფოცნასა.

ლეონ გამბეტა.

როგორც გულ-მოგლეული დედა დასტირის თავის ერთადერთს შვილს, იგონებს მის ამაგს, მის დედისადმი სიყვარულს და ამ მოგონებასთან ტანჯვა უფრო-და-უფრო უცხოვლდება, ისე მრავალ-ტანჯული საფრანგეთი დასტირიდა და დღესაც დასტირის თავის ძვირფასს შვილს—ლეონ გამბეტას. ვინ იყო გამბეტა, რა იყო იგი და ან რა სამსახური მიუძღვის საფრანგეთის წინაშე, რომ მისმა სიკვდილმა ასე ააშფოთა მთელი ქვეყნა, სადაც კი კითხვისა და წერის ნიშანი მოიპოვება?! რა უქმი კითხვებია! ვინც კი ოდნავაც არის ადეკნა თვალი ამ უგანსაკენელს თხუთმეტს წელიწადს ყურნალ-გაზეთობას, არ იქნებოდა ყოველ-დღე ერთხელ მაინც გამბეტას სახელისათვის თვალი არ მოეკრა. ყურნალ-გაზეთებს რომ თავი დავანებოთ, რამდენია იმისთანა, რომელმაც არც წერა იცის, არც კითხვა, მაგრამ გამბეტას სიკვდილის ამბავი რომ დედა-მიწის ზურგზედ მოეფინა, თავის გულში იკითხა: «გამბეტა... გამბეტა... ეს სახელი სადღაც გამიგონია და ხშირადაც გამიგონია... ეტყობა ძალიან დიდი კაცი უნდა ყოფილიყო, რომ ამდენს ლაპარაკობენ.»

დიახ, დიდი კაცი იყო გამბეტა ჯ ეს დიდ-კაცობა მოიპოვა იმან მამულისადმი ერთგულის, თავ-განწირულის სამსახურით. გამბეტას მხრები ჯინჯილებით არ იყო დამშვენებული, გული ორდენებით, ასე გაშინჯეთ, ის ორდენიც კი არა ჰქონდა, რომელ-

საც საფრანგეთში «პატივ-საცემ ლეგიონის» ორდენს ეძახიან, რომელიც ფრანცუზებს ძალიანა სწამთ, მაგრამ რა საჭირო იყო სხვა ლირსება იმ კაცისათვის, რომლის კუბოს წინ აუარებელ ეკალილის გვირგვინებით დატვირთული ეტლები მიუძღოდა, რომელსაც საფრანგეთის სამსრის ქალაქისა და ყოველის კუთხის წარმომადგენელი უკან მისდევდა. გამბეტა სამხედრო კაცი არ იყო, მაგრამ მის გვამის გამოტანის დროს ზარბაზნებმა გრიალი მოიღეს, სამხედრო პატივი მისცეს და პარიაყისა და ვერსალის მთელმა კარმა ცხედარი მოწიწებით უკანასკნელ სადგურამდე მიაცილა. მეტის-მეტს არ ვამბობთ—მილიონამდის ხალხი დაესწრო მის დამარხვაზედ, მთელი პარიაყი გარედ გამოლაგდა და მიაწყდა მხოლოდ იმ ქუჩებს, რომლებზედაც გამბეტას გვამი უნდა გაეტარებინათ. სხვა პარიაყის ქუჩები კი კვლავ გაკოტრებულნი, ესლა უკაცურნი იყვნენ.

«ყოველი ადგილი დაკერილი იყო, ამბობს ერთი პარიაყელი გაზეთი, სადაც კი თვეხი დაიდგმებოდა, ან სელი მოიკიდებოდა; ბანები ხალხით გაშავებული მოჩანდენ. ტიუილერის ტერასებზედ იმოდენა ხალხი იყო, რომ ერთის დიდს ქალაქს მცხოვრებლებად ეყოთოდა. ხალხი ბოძებზედაც ატოტილიყო, მოაჯირებს გადმოჭკიდებოდა; გაზის მილებზედ შემსდარიყო და ხეებსაც თითქო ადამიანები მოესხათ. ძვირთვას ძეგლებზედაც კი შეებედნათ ასვლა და პატარა პარიაყელი ბიჭები უმართებულოდ თავებზედ დასხდომოდენ. მხოლოდ ერთს ძეგლსა სტეს პატიკი და არ ასლეს ხელი. ეს იყო ძეგლი ალზას-ლორენისა, რომელიც წინადლეს ალზას-ლორანელებმა სრულიად თავლხით შემოსეს.»

ვიტყვით განმეორებით—რა საჭირო იყო სხვა ლირსება იმ კაცისათვის, რომლის გვამსაც თითქმის მთელმა სათურან-

გეთმა ცრემლი დაეყარა და სუდარის მაგივრად თავის სამ-ფერეულს დროშაში გაეხვია!

ლეონ გამბეტა დაიბადა 3 აპრილს 1838 წელს სამხრეთ-საფრანგეთის პატარა ქალაქს კაჭორში. ის იყო ჩამომავლობით იტალიელი და იმის მამას, რომელიც დღესაც კიდევ ცოცხალია, მეწვრილმანეს დუქანი ჰქონდა და იმითი იარჩენდა თავსა. პატარა გამბეტამ სწავლა მიიღო თავის სამშობლო ქალაქის სემინარიაში, რომელშიაც მოწაფეები სამღვდელოებისათვის ემზადებოდენ. ამ სემინარიაში სწავლის თანბამზედ შესდგა ერთი ლეგენდა, რომელიც დღესაც ბევრსა სჯერა. ლეონ გამბეტას ეძაწვილობიდამვე ისე ეზიზღებოდა სამღვდელოება, რომ თავის მამას უთხრა, თუ ამ სემინარიიდამ არ გამიყვან, თვალს გამოვითხრიო. მამამ ეს მუქარა არათერად მიიჩნია და ლეონ ისეთის მტკიცე ხასიათისა იყო, რომ გულ-მოსულმა ჩაიგრა ჩანგალი და თვალი ამოითხარა. ჩვენ გვგონია, რომ ეს ამბავი გამბეტას მტკიცე ხასიათის გი არა, უფრო ამ ლეგენდის შემთხზველთ ცრუ-მორწმუნეობას ამტკიცებს. ცრუ-მორწმუნე ხალხიც ასე შეადგენს ხოლმე სხვა-და-სხვა დაუჯერებელ ლეგენდებს იმ პირებზედ, რომელთაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ მათს გონებაზედ. გამბეტას თვალის ამბავშიაც ასლეგენდო მასალა არის და რა დაუშლიდა ლეგენდის შეთხზვას. ყველამ იცის რომ გამბეტას ცალი თვალი ჩასმული ჰქონდა, ყველამ იცის აგრეთვე, რომ გამბეტა დაუძინებელი მტერი იყო კათოლიკე სამღვდელოებისა და მის ქვეშ-ქვეშა მოქმედებისა; ისიც ვიცით, რომ გამბეტამ პატარობისას სემინარიაში სწავლობდა, საიდამაც სამღვდელო პირი გამოდიოდენ. რაღა გასაკვირველია, რომ უცნაურ ამბების მოყვარეულთ ზემო-ხსენებული უცნაური ამბავი შეთხზეთ გამბეტაზედ.

სემინარიიდამ გამოსვლის შემდეგ გამბეტა სწავლობდა პარიჟში კანონებს იურიდიულ სკოლაში და იქიდამ რომ გამოვიდა 1859 წ. ადვოკატებში ჩაეწერა. მის სტუდენტობის დროს ეხლაც სიამოვნებით იგონებენ იმისი ამხანაგები. გამოჩენილი საფრანგეთის რომანისტი ალფონს დოდე თავის დღიურში გვიამბობს ზოგიერთს მაშინდელს ამბებს: გამბეტა და დოდე იდგნენ ერთს სახლში, «სტუდენტების უბანში.» ახალ-გაზდობა ხშირად იყრიდა თავსა ხ ყოველ-დღე სადილს ერთად სჭამდენ. სადილზედ მუდამ გაცხარებული ლაპარაკი იყო. ფრანცუზებმა იციან ორი კაცი რომ ლაპარაკს დაიწყებს, ერთი მათგანი თავ-მჯდომარედ უნდა დაჯდეს. სტუდენტესის ბაასის დროსაც ყოველთვის თავ-მჯდომარედ გამბეტას ირჩევდენ. გამბეტა ლაპარაკობდა ბევრსა და კარგადაც ლაპარაკობდა. პარიჟში ეხლაც ამბობენ, რომ ხშირად გამბეტა დაენაძლევებოდა ხოლმე თავის ამხანაგებს, რომ ორი საათი გაუწყვეტლივ ვილაპარაკებ, რა საგანზედაც გინდათ და ამ ხერხით ბევრი სადილი მოუგია.

ამხანაგები საღამოობით თავს იყრიდენ ერთს ყავახანაში, რომელსაც, «პროკოპის ყავახანა» ჰქვიან. დღესაც არის ეს ყავახანა, მაგრამ მხოლოდ წარსულის დიდების მოგონებითა ცოცხლობს. საკვეხურად დარჩენილი აქვს ამ ყავახანის პატრონს, რომ აქ ლეონ გამბეტა ყოველ-დღე მოდიოდა თავის ამხანაგებითა, მაგრამ ეხლა ეს ყავახანა უბრალო პურის-საჭმელ სასტუმრად გადაქცეულა და მოჰკლებია უწინდელი ცხარე და მობაასე ახალ-გაზდობა.

როდესაც გამბეტა თავის ამხანაგებით ლაპარაკის ყინს ყავახანებში იკლავდა, საფრანგეთში მეფობდა ნაპოლეონ მესამე, რომელმაც 1852 წელს საფრანგეთი ძალით მოიგდო ხელში ჯ

ერთვალი ლირსეულმა მამულის-შვილი თავის მამულს გამოასალმა, ზოგი სიკვდილით, ზოგი ციხეში ჩასმით, ზოგი საფრანგეთიდან განდევნით. ნაპოლეონ მესამემ თითქო აღადგინა გარეგანი დიდება საფრანგეთისა; მისი სასახლე განთქმული იყო მთელს ევროპაში თავის ბრწყინვალებით და უცხო-ქვეყნის იმპერატორები არა ზარობდენ მისულიყვნენ პარიყში და პატივი ეცათ იმ კაცისათვის, რომელმაც საფრანგეთის ნიადაგი საუკეთესო მამულის-შვილების სისხლით მორწყო.

გარეგნის დიდებით ნაპოლეონ მესამემ ისე აუხვია თვალები საფრანგეთის ხალხს, რომ შვიდმა მილიონმა სულმა ხმა მისცა, ჩვენა გასურს ნაპოლეონ მესამე იმპერატორად ვიყოლიოთო. ამ იმპერატორმა თავის ულირს თანამსახლებლების შემწეობით მორეკა მთელი საფრანგეთი; ჯარი მამულის ორგულ გენერლებს ჩაბარა, სამართალი—მოქრთამე მოსამართლეებს, ეკლესია—იეზუიტებს. მთელს საფრანგეთს ჭაობიანი ჭალრი მოედო და ნაპოლეონ მესამის სასახლის ბრწყინვალება ჭაობიდგანვე შობილ ცეცხლის ბრწყინვალებას მიაგავდა.

ი ამ დროს, როდესაც მთელი საფრანგეთი ნაპოლეონს დამონავებული ჭყვდა და განონ-მდებელი კრება თითქმის მხოლოდ ნაპოლეონის მორჩილ დეპუტატებით იყო სავსე, გამბეტა და იმის ამხანაგები ყავახანებში ბაასობდენ, იწვრთნებოდენ მჭევრ-მეტყველებაში და ემზადებოდენ საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსასვლელად.

დიდ ხანს არ მოუნდა გამბეტას ცდა.

ვიდრე ნაპოლეონ მესამე ფრანცუზების ყურადღებას გარეშე ომებზედ აქცევდა, ვერავინ ბედავდა მის მოპირდაპირედ გამოსვლას, მაგრამ, რაკი გამარჯვების გვირგვინები შეაკნენ, ზოგიერთნი დაუკვირდენ თავიანთ მდგომარეობას და იგრძნეს,

რომ ნაპოლეონის «ბრწყინვალე» მეფობას უფრო მეტი ვნება მოაქვს საფრანგეთისათვის, ვიდრე სარგებლობა. ამ დროს ზოგიერთ გაზეთებმაც გაჭიედეს მის წინააღმდეგ ძალად ხმის ამოღება. სხვათა შორის რამდენმაც გაზეთმა გამართა ხელის-მოწერა ერთის დეპუტატის, ბოდენის, ძეგლის ასაგებად, ეს დეპუტატი მოკვდა ბარიკადზედ ნაპოლეონის საღდაოების ტყვიით იმ დღეს, როდესაც ნაპოლეონმა უკანონოდ იმპერატორად გახდომა მოიწადინა და რესპუბლიკა დაამხო. ბოდენი იწვევდა ხალხს წინ-ალსდგომოდა ნაპოლეონის ჯარს, მაგრამ ხალხმა დაცინვით მიუგო: «რისთვის დაგიხოცოთ თავი! ნუ თუ იმიტომ რომ თქვენ თქვენი ლიბერი ოცი-ოცი-და-ხუთი ფრანკი არ მოგაკლდეთო?!» დეპუტატებს მაშინ დღეში ოცი-და-ხუთი ფრანკი ჰქონდათ ჯამაგირად და ბოდენსაც ეს წაუკვეერეს. «მაშ გვიყურეთ, საკვლილიც ვიცით თუ არა მაგ ოცი-და-ხუთის ფრანკის გულისათვისაო!» შეჰყვირა ბოდენმა, აკარდა ბარიკადზედ და იქვე უულოდ დაეცა საღდათების ტყვიით დახვრეტილი.

ამ ბოდენს უპირებდენ ძეგლის დადგმას და ნაპოლეონის მთავრობამ მის დასადგმელად გამართული ხელის-მოწერა თავისადმი შეურაცხებად მიიჩნია. ერთი რედაქტორთაგანი სამართალშიაც მისცეს, იმის დამტკიცებლად გამჩეტა იყო დანიშნული. სასამართლოში ეს საქმე გაირჩა 17 ნოემერს 1868 წელს ჯ ამ დღიდამ გამჩეტა გამოვიდა ისტორიულს ასპარეზზე. წინა დღეს უბრალო ადვოკატი მეორე დღეს გ მოჩენილ კაცად შეიქმნა. მთელი ევროპა ჭკვირობდა გამჩეტას ორატორულს ნიჭს, მის სიტყვის ძლიერებას, მის გამჩედობას. რადგან ეს დღე და ეს საქმე შესანიშნავად უნდა ჩაითვალოს გამჩეტას პოლიტიკურ

მოქმედებისათვის, მოვიყვანთ აქ ორს ადგილს გამბეტას სიტყვისას.

პროკურორმა წარმოსთქვა პირველად თავის გამამტყუნებელი სიტყვა და ამტკიცებდა, რომ ვინც ორის დეკემბრის ამბავსა ჭკიცხავს, ჭკიცხავს იმპერიასაცა. გამბეტასაც ეს უნდოდა. ორი დეკემბერი ის დღე იყო, როდესაც ნაპოლეონი პრეზიდენტის კრესლოდან იმპერატორის ტახტზედ შესკუპდა.

«მე მგონია, წარმოსთქვა გამბეტამ, სასამართლო შესაფერი ადგილი არ არის ამ საქმის გასარჩევადა. ყველამ იცისო, როგორ შეარყია საზოგადოების სინდისი ორის დეკემბრის არეულობამ. ამ დროს, ტახტის მსურველის გარშემო შეიკრიბნენ უნიჭონი, უსინდისონი, ვალებში ჩ ავ-კაცობაში ჩაფლულნი, მუდმივნი მოსარჩლენი ძალ-დატანებისა, ნაღლეკნი განთლებულის საზოგადოებისა. ამ გვარ პირთა შემწეობით რამდენი საუკუნეა, რაც კანონებს და სამოქალაქო დაწესებულებათ ძირს უთხრიან და სამართლეს სალდათების თვეხიოა სთელენ...»

ეს სიტყვები წარმოსთქვა გამბეტამ პარიეში, ნაპოლეონის სატახტო ქალაქში და, რალა თქმა უნდა, პროკურორი უნდა წამომდგარიყო და ეთხოვნა,—გამბეტასათვის სიტყვა ჩამოერთმიათ, მაგრამ გამბეტამ არ უგდო ყური პროკურორის ლაპარაკს და მალალის ხმით განაგრძო:

«სასამართლოსა და მოსამართლეთა წინაშე კი ასე არ უნდა იყოს... სასამართლომ არ უნდა დაიჯეროს, რომ სათურანგეთი ორის დეკემბრის არეულობამ დაიხსნა. განა ჩვენ მოწმები არა გვყავს, რომელნიც ჭეშმარიტებას აღგვიდგენენ. მიშელი, შარასი და კიდევ მრავალნი, რომელთაც უცხო-ქვეყანაში დალიეს სული... სად იყვნენ ორს დეკემბერს ტიერი, რე-

მიუზა, დიუპონ-დე-ლერი და სხვანი? მაზასიასა და კენსენის ცი-ხეებში, ან კაიენას გზაზედ! იქ იუვნენ ეს პატიოსანნი პირნი, გაცარცვულნი მსხვერპლნი გაცოფებულის პატივის-მოყვარეობი-სა.»

აქ კიდევ სცადა სასამართლომ გამბეტას შეჩერება, მაგ-რამ მისმა მქუხარე ხმამ ჩაჩუმა პროკურორის პროტესტი და გამბეტამ დასრულა თავისი სიტყვა აღტაცებულის საზოგა-დოების წინაშე. მოისმა საშინელი ტაშის ცემა სასამართლოს ზალაში, გალერეებში, ეზოში, ქუჩაში მოგრგვილ აუარებელ ხალხში. ამ დღიდამ გადაწყდა იმპერიის ბედი და ამ დღიდამვე ჩაიწერა გამბეტას სახელი ისტორიაში.

ვინა ჭბედავდა იმპერიის წინააღმდეგ ასეთს თამამს ლაპა-რაკს? ეს იყო უბრალო მეწვრიმალეს შვილი, უჩინარი ადვოკა-ტი, რომელმაც თითქმის მთელი თავისი უმაწვილ-კაცობა ყაგა-ხანებში გაატარა. ეტყობოდა, რომ იმპერიას ძირი კარგა გა-მოთხრილი ჭქონდა, რომ ამისთანა ჯერედ თითქმის უცნობი პირი გამოდიოდა საადვოკატო ასპარეზზედ და საპოლიტიკო ასპარეზად ჭსდიდა, ძლიერს ნაპოლეონს არად აგდებდა დ იმის მოძმრეთ მიწასთან ასწორებდა. რა თქმა უნდა რომ გამბეტას გაბედულობა მაშინდელ საფრანგეთის მდგომარეობას უნდა მი-ეწერა, მაგრამ ესეც უნდა მიეწეროს გამბეტას განსაცვიფრე-ბელს ორატორულს ნიჭს. გამბეტას იმედი ჭქონდა თავის-თა-ვისაც, თავის სიტყვისაც და იცოდა მისი სიტყვა ისეთს შთა-ბეჭდილებას მოახდენდა მთელს საფრანგეთზედ, რომ ვერავინ გაუბედავდა დასჯას, ხელის შეხებას.

აქ უნდა ცოტა შეკჩერდეთ და გავიცნოთ ეს განსაკვირვე-ლი ნიჭი, რომელზედაც დამყარებული იყო თითქმის მთელი მისი პოლიტიკური მოქმედება.

ეი რასა სწერდა ამაზედ 1870 წ. ერთი შესანიშნავი მწერალი:

«გამბეტას დიდებული შეხედულობა აქვს. ტანად მალალია, სრული, განიერ-გულ-მკერდ და მხარ-ბეჭიანი. ცოტა მოდიდო თავზედ უკან გრძელი შავი თმა აქვს გადაყრილი. გამბეტას სახისთანა გამომეტყველებას ძვირად სადმე შეხვდებით. ის არის შავგვრემანი, შავის ბრწყინვალე თვალებით (უფრო სწორე იქნება ვსთქვათ თვალით), შავის წვერით; წარბები ერთად შეჭკვრია და ეს მის სახეს თითქო სიმკაცრესა და გაბედულობას უმატებს. მის გარეგნობის აღწერა ისე ძნელი არ არის, მაგრამ შეუძლებელია აიწეროს, ან გამოითქვას იმის სიტყვის შთაბეჭდილება. ეს შთაბეჭდილება ძლიერია, შემაზარზენებელი. მე არამც თუ არასად ამისთანა არა გამიგონია-რა, წარმოდგენითაც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ სიტყვას ამისთანა ძალა ჰქონოდა. შედარებაც კი შეუძლებელია. მე ეური მიგდია გლადსტონისთვის, ყიულ ფავრისთვის, დიზრაელისთვის, ბრაიტისთვის, სათვრანგეთის, იტალიის, ინგლისის ორატორებისთვის, მაგრამ გამბეტას სიტყვა სულ სხვაა...

«ხმა აქვს ძლიერი, საამო სასმენი. ლაპარაკობს მარჯვედ, ეშხით, ენებათ-ღელვით და ამასთანავე ისე უბრალოდ, ადვილგასაგებად, რომ მოქმედობას ყველაზედ, რაც უნდა განსხვავება იყოს მის მსმენელებში ხნიერებითა თუ განათლებით. გამბეტა სწორედ რომ ხალხის ტრიბუნია: თითქო გულში გიძვრებათ, მთელს თქვენს ყურადღებას თავისკენ იპყრობს და სულს ალარ გაბრუნებინებთ. მისს ძლიერს სიტყვას შვლის გამომხატველი მიხვრა-მოხვრაც, რომელიც მის აზრს განამარტებს. როცა ის ლაპარაკობს, ისე გეგონება მთელ მისს სხეულს ენა ამოუდგამს და ისიც ლაპარაკობსო. ეურს რომ უგდებ, თანა თრთი, თან

ტანში ურუსტელი გივლის. ძნელია კაცმა სხსნას, რა მოქმედებს ამ დროს: მისგან გამოთქმული აზრი, თუ ბრწყინვალედ გამოთქმა, მისი გატაცება, მისი ალღვება. უთუოდ ყოველივე ეს ერთად უნდა მოქმედებდეს.»

ი ამისთანა ირიალით შეწყურვილი გამოვიდა გამბეტა პოლიტიკურს ასპარეზზედ და შემდეგ იმ სიტყვისა, რომელიც მან ბოდენის ძეგლის აგების თაობაზედ წარმოსთქვა, მეორე წელიწადსვე კანონ-მდებელ კრებაში დეპუტატად იყო ამორჩეული. ის რასაკვირველია მოწინააღმდეგეთა დასში ჩაირიცხვოდა თავსა და მისი მოქმედება პრუსიასთან ომის გამოცხადებამდე ნაპოლეონის დიდების დასათრგუნად იყო მომართული.

გამბეტა ძლიერი იყო როგორც მოწინააღმდეგე და არა რაგორც მმართველი. ამ აზრის დამტკიცებას შემდეგშიაც შევხვდებით, ეხლა ვიტყვით მხოლოდ, რომ ძლიერს ორატორულს ნიჭთან გამბეტას შორს-მხედველობაც არ აკლდა. როდესაც კანონ-მდებელ კრებაში ცხარე ბასი ასტყდა იმის თაობაზედ— გამოეცხადოთ პრუსიას ომი, თუ არა, მთელმა კრებამ იგრიალა და თითქო. მამულის-სიყვარულით აღტაცებულმა, მაგრამ უფრო კი გაყოყოჩებულმა, ერთ-ხმად განცხადა ომის სურვილი, მხოლოდ ერთი ხმა იყო ამ აზრის წინააღმდეგი —ეს ხმა იყო გამბეტასი. გამბეტა ჭკვიანად, რომ ნაპოლეონმა ისე მოიყვანა მთელი საფრანგეთი, ისეთი მოქრთამე და მამულის-ორგული მოხელენი მოახვია თავსა, რომ ეხლა ომის გამოცხადება ძლიერს და თავით-თვეხამდე შეიარაღებულ, გაწვრთნილ პრუსიასთან საფრანგეთის მიწასთან გასწორება იქნებოდა, მაგრამ გამბეტამ ისიც იცოდა, რომ რაკი მისი ერთი ხმა კვამლისავით დაიკარგა მთელის კრების სურვილში და ომი გამოცხადდა, უკან დახევა აღარ-იქნებოდა, გამბეტა თავ-მოყვარე

იყო, თავის-თავი უყვარდა, მაგრამ თავის-თავზედ მეტად უყვარდ საფრანგეთი და ამიტომ არ მიანება თავი ყოველისფერს, არ ჩასდგა ჯიბრში, რომ შემდეგში ნიშნი მოეგო მთელის გრებისათვის და თითონაც ჩაერია ამ საზარელ ომში, როგორც უპირველესი მებრძოლი, როგორც მოთავე. გამბეტა თითქმის შველიდა კიდეც ნაპოლეონს, რჩევას-რჩევაზედ აძლევდა სამხედრო მინისტრი. რამდენიმე თვით დაივიწყა თვისი სიძულვილი ნაპოლეონის აკ-კაცურ მოქმედებისადმი, თვალ-წინ ეხლა მხოლოდ საფრანგეთის გამარჯვება ჰქონდა და რადგან გამარჯვება შეუძლებელი იყო, ცდილობდა მის დახსნას მაინც პრუსიელების უწყალო კლანჭებიდამ.

როგორც იგრძნო გამბეტას შორს-მხედველობამ, ისეც მოხდა: იძლივნენ ფრანცუზები და ნაპოლეონ მესამეც ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელებს. მაშინ კანონ-მდებელმა კრებამ გამბეტას წინადადებით გამოაცხადა ნაპოლეონის ჩამოშვლობის სამეფო ტახტიდამ გადაყენება და რესპუბლიკის დაარსება.

ეხლა შეეძლო გამბეტას გამოეჩინა მთელი თავისი ძალა და მამულისადმი ერთგულება. თუ პირველში ფრანცუზების გამარჯვება ეწადა მას, როგორც ფრანცუზს, ეხლა ერთი-ორად უფრო მონდომილი იყო, როგორც ფრანცუზი და როგორც რესპუბლიკის თავ-გამოდებული მომხრე. უწინ ფრანცუზების გამარჯვება უეჭველია ნაპოლეონის ჩამოშვლობას გაძლიერებდა და იქნება დიდ-ხანს ველარ ეხსნა საფრანგეთს თავი ნაპოლეონების ხელთაგან, ეხლა კი ფრანცუზების გამარჯვება რესპუბლიკის გამარჯვებაც იქნებოდა. მეორე დღეს შემდეგ ნაპოლეონის გადაყენებისა შესდგა ახალი მმართველობა, რომელშიაც ოტ-და-თორმეტის წლის გამბეტამ შინაგან საქმეების მინისტრის ადგილი დაიჭირა. ამ დროს პრუსიის ჯარი,

რომელსაც საფრანგეთის ჯარი წინ ველარ აღუდგა, მოუახლოვდა პარიჟს, შემოერტყა და გზები შეკვრა. გამბეტა პარიჟში მოემწყვდა, მაგრამ რას გაარიგებდა პარიჟში, როდესაც მთელი საფრანგეთი შურის-ძიებისათვის დრტვინავდა და საჭირო იყო ძლიერი მკლავი და ძლიერი გონება, რომ ეს დრტვინვა მოქმედებად გადაექცია. პრუსიელებისაგან გზის შეკვრამ ვერ დააბრკოლა გამბეტა. იგი ჩაჯდა ჭაერის ბურთის ნავში, გადათრინდა ზედ პრუსიის ზარბაზნებს და ჩამოხდა ტუერში.

უბრალო ხალხი ცრუ-მორწმუნეა და მეტადრე უფრო ომის დროს არის ცრუ-მორწმუნე. ზეციდამ ჩამოფრენილი გამბეტა მართლა განგებისაგან მოგზავნილი კაცი ეგონათ. ეხლა დაიწყო გამბეტას მოქმედება—დაუღალავი, მოუსვენარი, ხალხისადმი გამბედაობისა და მხნეობის მიმცემი.

მთელი საფრანგეთი, რომელიც კი მტრისაგან არ იყო დაჭერილი, მოსთელა გამბეტამ. ყველგან ხალხს გულს უმაგრებდა და პრუსიელებთან საომრად აქეზებდა. გამბეტამ სამი სამინისტრო ერთად დაიჭირა ხელში და ერთსა-და-იმავე დროს სამხედრო მინისტრიც იყო, შინაგანის საქმეებისაც და ფინანსებისაც. მაშინ იმას საფრანგეთის დიქტატორს ეძახდენ და მართლა რომ დიქტატორის უფლებაც ჰქონდა ხელში. მთელი საფრანგეთი იმის გამგებლობის ქვეშ იყო. თვით მისი მტრეზიც კი აბრუებს,—გამბეტა რომ არ ყოფილიყო, იქნება საფრანგეთი ოთხის თვით ადრე დაემორჩილებინა პრუსიასა. თითქმის არარაისაგან შექმნა გამბეტამ რამდენიმე ათი-ათასი ჯარი ლ პრუსიელებს წინ გადუღობა. სადაც კი მიგიდოდა, რაც უნდა სულით დაცემული ერი დახვედროდა, მაინც თავის ცხოველის სიტყვით გულში ცეცხლს უღვივებდა და იმისთანებსაც კი საომრად აქეზებდა, რომელთაც თავის დღეში თოფი ხელში არ აეღოთ.

გენერალმა შანზიმ, რომელიც მოგვდა ხუთის დღის შემდეგ გამბეტას სიკვდილისა და რომელიც საუკეთესო გენერალი იყო რესპუბლიკისა, რამდენჯერმე მიიწვია ჯარში გამბეტა, რომ თავის სიტყვით სალდათები გაემხნევებინა. ერთხელ როდესაც ის მიდიოდა შანზის ჯარში, გზაზედ რამდენიმე ათასი გამოქცეული სალდათი დახვდა. «რას ჩადიხართ, მამულის-შვილნო, სად მიხვალთ!» შეჰყვირა გამბეტამ და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც უხსნიდა მათ მამულისადმი მოვალეობას, ბრძოლის ველიდამ გამოქცევის სირცხვილს და ამ სიტყვამ გამოქცეულნი უკანვე ჯარში დააბრუნა.

ოთხი თვე შეარჩინა პრუსიის მოზღვავებული ჯარი გამბეტამ, და იქნება ორი ისე გათავებულიყო, რომ საფრანგეთისათვის არც ერთი კუთხე არ წაერთმიათ, მაგრამ ღალატს ალარა გაეწყო-რა. ნაპოლეონის გენერალმა ბაზენმა გაჭყიდა საფრანგეთი და საუკეთესო ჯარი საუკეთესო ციხესთან ერთად მტერს ხელში ჩაუგდო. ამან მოუღო ბოლო გამბეტას მხნე ჯ თავ-გამოდებულ მოქმედებას, მაგრამ მაინც მშვიდობის ჩამოგდება მას თვიქრშიაც არ მოსვლია, რადგან პრუსიელები იხოულობდენ ხუთის მილიარდს (ხუთი ათას მილიონ) ფრანკს და ორს საუკეთესო პროვინციას საფრანგეთისას ალზასსა და ლოლენს. გამბეტას ხუთის მილიარდისა ისე არ ეშინოდა, იმას ესმოდა რომ საფრანგეთი შეუძლებს ამოდენა გადასახადს, მაგრამ ორის პროვინციის მოწყვეტა კი გულს უკლავდა მას, მით უფრო მეტად, რომ ალზას-ლოტარინელები ერთგულნი შვილნი იყვნენ საფრანგეთისა და თავის დასადებად გამზადებულნი, ოღონდ კი ისევ საფრანგეთს შერჩენოდენ.

ამ დროს საფრანგეთის საქმეებს განაგებდა ნაციონალური კრება ორის დროს ამოარჩეული და თავ-მოყრილი ქალაქს ბორ-

დროში, რადგან ბარიეს გარს მტერი ჭყავდა შემოხვეული. ეს ნაციონალური კრება მთელის საფრანგეთის ხალხისაგან იყო ამორჩეული და, რასაკვირველია, მომეტებული ნაწილი სოფლის ხალხის წარმომადგენელი იქნებოდა. სოფლის ხალხს უფრო უნდოდა მალე ომის გათავება, ვიდრე ქალაქელებს, რადგან მასში საერთო მამულის გრძნობას არა ჰქონდა ფესვები გადგმული და ომის შორეულ პროგიანციის მოწყვეტა ბევრად არაფრად მიაჩნდა. მაგრამ საუკეთესო ნაწილი საფრანგეთის ხალხისა გრძნობდა, რა მწვავია იმ შეიღების დაკარგვა, რომელთაც სულითა და გულით თავიანთ მშობლებთან დარჩენა სწყურიანთ და არ უნდათ რომ დედა დედი-ნაცვალზედ გასცვალონ.

ბორდოს ნაციონალურს კრებაში ამ ორს მიმართულებას შორის ძლიერი ბრძოლა ასტყდა: მომეტებულს ნაწილს, რომელიც უფრო სოფლის ხალხის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა, პრუსიელებთან მორიგება უნდოდა და უფრო ხუთის მილიარდის დაკარგვა ეძიებოდა, ვიდრე ალზასს-ლორენისა. გამბეტა და ნამდვილი რესპუბლიკელები კი არას გზით არა სთანხმდებოდენ და თუმცა ომის გაგრძელებას შეიძლებოდა საფრანგეთი უფრო საშიშარ მდგომარეობაში ჩაეგდო, მაინც ამასა რჩებოდენ საფრანგეთის ასე უწყალოდ დაწიოკებას და მის პროვინციების უკრუხო წიწილებსავით დაბნევას.

ომის გაგრძელების მომხრე უმცირესობა იყო, მაგრამ «რას დაგდეგო მე უმცირესობას,—ამბობდა გამბეტა—უმრავლესობას, თუნდა ერთ-ხმიანობას! საფრანგეთთან ვის რა ხელი აქვს! ვისაც კი ჩვენის ქვეყნის ერთის კუთხისაც არის გაწირვა განუზრახავს, ის არღვევს რაგორც ყველას უფლებას, ისე თვითეულისას. ხალხი ცხვრის თვარა რადია, რომ ცხვარისავით გაიცემოდეს. საფრანგეთი ყველა ტრანცუზების საკუთრებაა და

ყოველივე ნაწერი იმის მიწისა, რომელსაც საფრანგეთის დრო-შა ათვარია, მეც ისე მეკუთვნის, როგორც გეკუთვნით თქვენ, როგორც ეკუთვნის ყველას.»

ამ გვარმა მამულის მსურვალე სიყვარულით ჩაგონებულ-მა სიტყვებმაც ვერ ჭქნეს-რა და ტიერმა, რომელიც მაშინ საფ-რანგეთის მოთავედ იყო ამოარჩეული, გამოუცხადა ბორდოს კრებას, რომ მმართველობა ითხმდება პრუსიელების პირობა-ზედ ან თქვენს ითხმობასა თხოულობსო. პრუსიელები გვთხოვენ ხუთის მილიარდს ფრანგს და ალზას-ლოთარინგიასაო.

— მაგ პირობების შესრულება შეუძლებელია! ამოიგვნესა გამ-ბეტამ და ჯილდოდ ტიერისაგან «გამხეცებულის გიეის» სა-ხელი მიიღო.

ბორდოს კრება დასთანხმდა პრუსიელების პირობაზედ, ალზას-ლოთარინი საფრანგეთს ჩამოერთვა ან პრუსიას შეუერთდა.

აი რამდენიმე მაგალითი იმისი, როგორ იმოქმედა ამ ამ-ბავმა, როგორც ალზას-ლოთარინელებზედ, ისე ფრანცუზებზედ.

«ჩვენ დაბეგრილნი ვისხედით რესპუბლიკელების კლუბში იმ საღამოს, როდესაც კრებამ პრუსიელების პირობები მიიღო,— ამბობს ერთი მწერალი. ყველას საშინელი მწუხარება ეტყობო-და სახეზედ. ბევრს გაზეთი აღო ხელში, მაგრამ ერთსა და იმავე ადგილს მისჩერებოდა. ამ დროს შემოვიდა ერთი ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცი და თითქო მხიარულად, ღიმილით წარ-მოსთქვა:

— ეხლა მე პრუსიელი ვარ! და გადიხარხარა. ის იყო ქა-ლაქს მეცილამ, რომელიც პრუსიელებს უნდა მისცემოდათ.

იქ მოთვთ როგორღაც გვერდზედ შეხედეს და არ იცო-დენ რას ნიშნავდა ეს სიცილი. ის მივიდა ერთს მეგობართან და ღიმილითვე უთხრა:

— შშვიდობით, მეგობარო, შენ ისევ ფრანცუზად რჩები და მე კი ახლა ჩრუსიელი შევიქენ.

კრითმა მათგანმა, რომელიც ეტყობოდა შორეს-მხედველობას ვერ დაიგვეხებდა, ჰკითხა იმ ყმაწვილს:

— განა გისარგებლია, რომ ეგრე იცინით?

— მაშ არ უნდა მიხარიოდეს? სწორედ რომ მიხარია. მე ბედნიერი ვარ, რომ ფრანცუზი ვდარ ვარ. მე არ მინდა ვეკუთვნოდე იმ სალსს, რომელიც ისე უსირცხვილოა, ისე სულმდაბალია, რომ სხვას მისცა ნება ჩვენის წართმევისა. ჩვენ კი მზა ვიყავით თავი გაგვწირა, ოღონდ ფრანცუზებად დავრჩენილვიყავით. მაშ უნდა ვიწუხო—განაგრძო მან ჩვეულებრივის ხმით და ღიმილიც შეაშრა პირზედ—ეჰ, საფრანგეთი გახრწნილა და გრძნობის აღგილი ფულებს დაუჭერია! წარმოსთქვა მან ცხარედ და ქვითქვითით გავარდა ოთახიდამ.

ბევრმა ძლივს შეიმაგრა ცრემლი. კრითმა წარმოსთქვა: საწყალი ყმაწვილი კაცი! მართალს ამბობს, ახლა საფრანგეთში გრძნობაც ფულია, მამულის სიყვარულიც ფულია და თავისუფლების სიყვარულიც!

ამ დროსვე ბორდოში მოვიდა კრითი დეპუტატი, რომელიც ალზასის წარმომადგენელი იყო. მიცვალებული გოგზალში წაიღეს, რომ თავის ქვეყანაში გაეგზავნათ. მრავალი ხალხი მისდევდა ცხედრს. როდესაც გოგზალზე მაასვენეს და კიბესთან შეჩერდენ, კიბის თავში გამოჩნდა გამბეტა და მიეიდა კუბოს წინ. ხალხში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ გულის რაგრაგსაც კი გაიგონებდით. გამბეტამ წარმოსთქვა სიტყვა ამ ცხედრის წინ, რომელმაც ანტირა მოხუცებულნიცა და ახალგაზდანიც, ქალნიცა და კაცნიც. გამბეტა ჩჩიცხავდა, ემუქრებოდა, სწყევლიდა იმათ ვინც საფრანგეთის დანაგუწებს დასთან-

ხმდა, სწყევლიდა იმათ, რომელნიც რესპუბლიკასა ლანძღავდენ ან მოსარჩლეის აღდგენასა სცდილობდენ. «ნეტავი ამ მკვდარსაო, ამბობდა გამბეტა, რომ ველარ ნახავს თავის დედა-ძეძუნის სირცხვილს, საფრანგეთისაგან აღიარებულს. იგი შეკვ მკვდარი თავის მოძაგედავს სამშობლოშიო!»

მშვიდობა ჩამოვარდა, ბრუსიამ შეიძინა ხუთი მილიარდი და ალზას-ლოტარენი. გამბეტას საფრანგეთში გუნდმა ველარ გაუძლო და რამდენისამე თვით ესპანიაში წავიდა. ამდენის ხნის დაუღალავ მშრომელისათვის შესვენება იყო საჭირო. მოსარხიელებს გაეხარდათ, ეგონათ ეს-ეს-არის გამბეტა ბოლიტიკას გამოეთხოვა და ბუერთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩა. ყველაზედ საშიშარი მტერი ეგ არის ჩვენთვის, ეგ რომ არ იყოს, აქამდის იქნება ჩვენი წადილი შესრულებულიყო. მაგრამ დიდხანს სამშობლოს გარედ ყოფნა გამბეტას არ შეეძლო. თუმცა გულის-წადილი არ შეუსრულდა და ალზას-ლოტარენი საფრანგეთის ჩამოერთვა, მაგრამ სამუდამოდ ეს ორი ბრალვინცია გამბეტას გულიდამ არ ამოუღია. ამას იქით იმის უმთავრესი სურვილი იყო, საფრანგეთში რესპუბლიკა მკვიდრად დაეფყარებინა, საფრანგეთი ისევ ძველებურად გაეძლიერებინა, მიენიჭებინა ძველი დიდება, ძველი სახელი და მასუგან ან მარტო, ან რომელსამე სახელმწიფოსთან შეერთებულს, შური ეგო ბრუსიისთვის და ალზას-ლოტარენი ისევ ისე დაებრუნებინა. ამ დიდებულს აზრს ემსახურებოდა გამბეტა და ამიტომაც ეძახდენ მას დიდებულს მამულის-შვილს, ამიტომაც გამოგზავნა მის დამარხვაზედ ალზას-ლოტარენმა ოთხი ათასი გაცი თავის წარმომადგენელად, ამიტომაც თალხით შემოსეს ამ ორის ბრალვინციის ძეგლი, ამიტომაც ეწერა რამდენსამე გვირგვინზედ, რომელიც გამბეტას ცხედრთან ერთად მიჰქონდათ,—,,შურის-მეძიებელსაო.''

ერთი ფრანცუზული ჟურნალი, რომელიც ამ ბოლოს დროს გამბეჭდას მოამხრედ არ ჩაითვლებოდა, იმის სიკეთილის თავზედ ამბობს: ,,გამბეჭდა და შანზი თვალ-წინ წარმოგვიდგენდენ, როგორც საძწუხარო წარსულს, რომელშიაც ისინი მაძულისთვის იბრძოდენ, ისე იმედს მოამაგლისას, რომელსაც თან, დღეს იქნება თუ ხვალ, შურისძიება უნდა მოჰყვეს. მათი ერთად სიკეთილი მოულოდნელია და თავ-ზარ დამცემი ჩვენის ქვეყნისთვის... თუ ჩვენ ნელ-ნელა ჩვენსავე ადგილს ვიპყრობთ ქვეყნიერობაში; თუ ჩვენ რადმე გვაგდებენ თვით ბერლინშიაც კი, საიდან თავ-წასულობა ძალიან დაეტყობა; თუ იმედი შურისძიებისა და ჩვენის ოჯის ბრალვის დაბრუნებისა ოცნება არ არის; თუ ალბას-ლოცულს თვალი კიდევ ჩვენსკენ აქვს მოპყრობილი,—ამას გამბეჭებსა და შანზებს უნდა ვუმადლიდეთ.''

თორმეტი წელიწადი გავიდა საფრანგეთისა და პრუსიის ომის აქეთ ამ თორმეტის წლის განმავლობაში გამბეტას დეპუტატის საქმისათვის თავი არ დაუნებებია. არა თუ ერთგან და ორგან, ხშირად რამდენსამე პროვინციაში ერთად ირჩევდენ მას დეპუტატად. ძელი ამბავი მოგვიკვლია რომ გამბეტას მოქმედების გაშინჯვას ვრცლად შეეუდგეთ. არც ერთის სანას საფრანგეთის ისტორიისას ამ თორმეტ წელიწადში უგამბეტოდ არ გაუვლია. უმთავრესი მისი ყურადღება იმაზედ იყო მიქცეული, როგორც გასთქვით, რომ რესპუბლიკა მტკიცედ დამყარებულიყო, მაგრამ ამ საქმის შესრულებას კარგი ცდა და მოსერხება ეწერებოდა. როდესაც ბორდოს ხალიასლეური კრება დაიშალა და ხელ-მეორედ არჩევანი დაინიშნა,—გამბეტას საქმე იყო, რომ თან-და-თან რესპუბლიკელების რიცხვმა ახალს პალატაში იმატა. გამბეტას საქმე იყო აგრეთვე რომ შემდეგ ორის პალატის დაარსებისა საფრანგეთში—წარმოამადგენელთა

ბალკანეთისა და სენატისა — რესპუბლიკელებმა კვერ წარმოადგენელთა ბალკანში გაიმარჯვეს და შემდეგ ბევრის წვალებისა და ცდისა სენატის უმრავლესობასაც რესპუბლიკელები შეადგენდენ.

ადრეცა ვსთქვით, რომ გამბეტა იყო კაცი ოპოზიციისა, წინააღმდეგობისა და არა მმართველობისა. მან ისახელა თავი პირველად მაშინ, როდესაც ნაპოლეონის წეს-წყობილებას ანდერძი აუგო, მეორედ, როდესაც ბოუსიის წინააღმდეგ მთელი ოთხი თვე საფრანგეთი შეიმაგრა და მესამედ მაშინ, როდესაც მონარქიელებს კრიზისში უდგა და ყოველს მათ ნაბიჯს რესპუბლიკის წინააღმდეგ უთვალთვალებდა. ეს უკანასკნელი ბრძოლა დიდ-ანს გაგძელდა: რაკი მონარქიელებმა ნახეს, რომ რესპუბლიკა თან-და-თან მოძმრეებს მატულობდა და თუ კიდევ ანი დაეცლიათ, მათი საწადელი — მონარქიის აღდგენა — უეცრად და უეცრად გაძნელდებოდა, — ამიდენჯერმე სცადეს რესპუბლიკის ძირის გამოთხრა და მონარქიის დამყარება, მაგრამ რესპუბლიკას ისეთი თეთრი დარაჯი ჰყავდა, რომ ქვეშ-ქვეშა მონარქიელები ვერას უზამდენ. გამბეტამ რამდენჯერმე ჩაუშალა მათ მათი დაწყობილობა, მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ბრძოლა მონარქიელებთან მოუხდა მას 1877 წელს, როდესაც უეცრად საფრანგეთის ბრეზიდენტად არჩეულმა მაგ-მაჰონმა, ნაპოლეონ მესამის უწინდელმა გენერალმა. რესპუბლიკელ ყოფილ სიმონის სამინისტრო უმიზეზოდ დაითხოვა, შეადგინა ახალი სამინისტრო და მოთავეებად დაუნიშნა გერცოგი ბროლი და ფუტუ, ერთგულნი მონარქნი დაცემულის იმპერიისა.

მაშინ გამბეტა რესპუბლიკელების მოთავედ ითვლებოდა და გაწვრთნილ ჯარად სამას სამოცდ-და-სამი დეპუტატი ჰყავდა. ესენი შეადგენდენ უმრავლესობას პალატაში, რომლის წინაშე უნდა წარმოდგენილიყო დაუპატიჟებელი სტუმარი — ახალი მო-

ნარხიული სამინისტრო. რესპუბლიკელებს არათერად ამათ მისი დანახვა და მაშინვე უნდობლობა გამოუცხადეს მაკ-მაჰონისაგან არჩეულ ბროლი-ფურტუს სამინისტროს. პარლამენტის წესით სამინისტრო ან უნდა სამსახურიდამ გამოსულიყო, ან სენატისაგან ნება გამოეთხოვა პალატის დათხოვნისა და ახალის დეპუტატების ამორჩევისა. სენატში მაშინ ჯერ კიდევ მონარხიელები მრავლობდენ და დასთანხმდენ ამ თხოვნაზედ. პალატა დაიშალა და ახალი არჩევანი თოთხმეტს ოკტომბრისათვის დანიშნა, მაშინ წარმოსთქვა გამბეტამ ამაყი მუქარა „ჩვენ ეხლა სამას სამოცდ-და-სამნი ვართ, მაგრამ ახალს პალატაში ათასნი დავბრუნდებითო.“

რესპუბლიკის ბედი ძაფზედ კიდია. სენატი მონარხიელების ხელში იყო, მინისტრებად მონარხიელები იყვნენ, პრეზიდენტად ნაპოლეონის მიჩნეული გენერალი იჯდა,—თუ წარმომადგენელთა პალატაშიაც მონარხიელები გაიმარჯვებდენ, მაშინ რესპუბლიკას ანდერძი აეგებოდა. მაგრამ რესპუბლიკას პრეზიდენტის, მინისტრების, სენატის საბადლოდ გამბეტა ჰყავდა ⁄ და ამის იმედზედ იყო დამყარებული.

მთელი ხუთი თვე პალატის დათხოვნისა და ამორჩევის დღეს შუა გამბეტამ მოგზაურობაში გასტარა. თითქმის ქალაქი არ დარჩა რომ მას არჩევანის კომიტეტი არ დაესრულებინოს, კანდიდატები არ დაენიშნოს და ცხარე სიტყვა არ წარმოთქვას მონარხიელების წინააღმდეგ. ლილში წარმოსთქვა მან სხვათა შორის ეს შესანიშნავი სიტყვები, რომელნიც ისტორიაშიაც ჩაწერებიან:

«როდესაც საფრანგეთი თავის მბძანებელს სიტყვას იტყვის, მაშინ, ბატონებო, (ეს სიტყვები მონარხიულ მთავრობისკენ იყო მიმართული) ან უნდა დამორჩილდეთ, ან გადასდგეთ!»

დადგა ოკტომბერი. ორი კვირა-და რჩებოდა არჩევანამდე. პარიყის კედლები კანდიდატების განცხადებით აკრულდა. ყოველი კანდიდატი თავის პროგრამას აცნობებდა ხალხსა, მაგრამ ხალხი მხოლოდ იმას ჭყურობდა—ძახარხიელი იყო იგი, თუ რესპუბლიკელი, ანუ სამას სამოცდა-სამთავანი. პარიყი ოცნანწილად იყო ძაძინ დაყოფილი და ყოველს ნაწილს თავისი დეპუტატი უნდა ამოერჩია. შეიქნა გაცხარებული ბრძოლა. ყოველ-დღე რამდენიმე კრება იმართებოდა, სადაც, კანდიდატების დიდებასა და ნაკლულევანებას არჩევდენ.

გათენდა არჩევანის დღეც—თოთხმეტი დეკემბერი. დღე იყო შემოდგომისა, თბილი, უწვიმარი. მთელი პარიყი გარედ გამოლაგდა. ყველა ეჩქარებოდა თავისი ხმა მიეცა არჩევანში, მაგრამ პარიყზედ არავინ ჭიქრობდა, ყველამ იცოდა რომ პარიყი თითქმის ყველა ოცს დეპუტატს რესპუბლიკელს ამოიჩევს. საეჭვო პროგნიზიები იყვნენ. იქიდამ მხოლოდ სალამოთი მოვიდოდა ამბავი და ეი სალამოც დადგა. დიდი ბულვარები, რომელთაც სიგძე რვა ვერსამდისა აქვთ და პარიყს თითქმის შუა ჭყოფენ, ხალხით გაიტენა. გაზეთის გამყიდველებს აუარებელი ხალხი ეხვია. ეი მოიტანეს ახალ-ახალი გაზეთი, ეს-ეს-არის სტამბიდამ ამოღებული, დამშეული ხალხი ზედ მიაწყდა ჯერ კიდევ სველ ფურცლებს, რამდენიმე შეხდენ საკამზედ და იქიდამ დაიწყეს კითხვა: „რიბერაკში ფურტუ გაუმარჯვებია“ ფურტუ... მინისტრი... «გაუმარჯოს რესპუბლიკას!» იგრიალა ხალხმა და დაიძრა ამ სასიამოვნო ამბის მოსაგებად. სტამბიდამ სველ-სველი ნოტრები მოდიოდენ მეგაზეთებთან, მაგრამ ხალხს გულმა ვერარ გაუძლო და პირ-და-პირ რედაქციებს მიაწყდა. ერთის გაზეთის რედაქტორებს თავიანთი რედაქცია ჩინებულად გაეჩალებინათ, ტელეგრაფის მაკითული პირ-და-პირ რე-

დაქცევაში გაეყვანათ და ყოველს ამორჩევას დიდის ასოებით აცხადებდენ. რესპუბლიკელ დეპუტატებს გვერდით 363-ს უსვამდენ და ყოველ ამ ციფრს ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ბულგარიზედ ტევა აღარ იყო. ზოგნი მაყურებელნი თვეზე კი აღარ იდგნენ, ხალხს დედა-მიწიდამ აეტაცნა და სადაც ეს ხალხის ზვირთი მიაწყდებოდა, ისინიც უნებურად თან უნდა მიჰყოლოდენ. მოაწია შუადამემ, მაგრამ ხალხმა უთვრო და უთვრო იმატა. ციფერი 363 ხმირ-ხმირად ისმოდა ხალხში და ამ ციფრთან ერთად «გაუმარჯოს რესპუბლიკას!» ყვირილს ბოლო აღარა ჰქონდა. ამ ხმას ბანს ამღერებენ ბულგარიზედ ამართულ ხახლების წვნეფრები, ბალკონები, რომლებზედაც აურიცხელი ხალხი იყო გადმოგიდებული და ტაშის-კვრით აცხადებდა თავის თანაგრძნობას რესპუბლიკისადმი.

ამ ლამეს ზოგიერთა გაზეთები ოთხკერ-სუთკერ დაიბეჭდენ, გათავდა ანბავი. გამბეტას წინასწარ-მეტყველება შესრულდა. ოთხასამდე რესპუბლიკელ დეპუტატმა მოიყარა ბალატაში თავი და მაგ-მაჯობი „კერ დამორჩილდა“ მასუკან „გადადგა“ და პრეზიდენტობა დაუთმო სულითა და გულით რესპუბლიკელს ყოველ გრეკვის.

საფრანგეთმა თავისუფლად ამოისუნთქა; მონარქიელებს გბილი მოკრილი ჰქონდა ⁊ რესპუბლიკას ძლიერი მტერი აღარ-სად ეგულებოდა. რაკი პოლიტიკური წყობილება დამყარდა ეხლა რესპუბლიკელებს უმთავრესი ყურადღება შინაურ საქმეებისათვის უნდა მიექცათ. რადგან საფრანგეთში სწავლა მეტად სუსტად იყო ხალხში გავრცელებული, პირველად ამ ნაკლულოვანების გასწორებას შეუდგნენ.—რაღა საჭიროა განმეორება, რომ ყოველ ამ საქმეში გამბეტა წინ მიუძღოდა რესპუბლიკელებს და თუმცა უბრალო დეპუტატი იყო, მაგრამ ანც ერთს

მძიმე საქმეს მინისტრები იმის დაუკითხავად ხელს არა ჭკიდებდენ. რესპუბლიკელებმა გამოუცხადეს ომი იეზუიტებს და სხვა სამღვდელო ორდენებს, რომელთაც სწავლა-განათლება ხელში მოგდებული ჭქონდათ და ახალ თაობას თავიანთ აზრებს აგონებდენ, თავიანთებურად ზრდიდენ. მათი სკოლები და მონასტრები დაიკეტა რესპუბლიკელების თანასწორობით და თითონ საეკლესიოებმა იკისრა სწავლა-განათლების გავრცელება. დაწესდა საეროანგეთში ვალდებულებითი საერო ან მასთანავე უფასო სწავლა. ეს იყო უმთავრესი საქმე რესპუბლიკელებისგან საეროანგეთში შემოღებული. ამას გარდა რესპუბლიკამ საეროანგეთი ისეთს კეთილ-დღეობაში ჩააგდო, რომ ხუთის მილიარდის გადახდა ალარც კი ამჩნევია მას. ბირიჭით ეხლა საეროანგეთის შემოსავალ-გასავალი კარგს დონეზედ არის დაყენებული და ყოველ-წლიურ მთავრობას საშუალება ეძლევა საეკლესიოსთვის მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთოს: რკინის გზები, არხები გაიყვანოს, მდინარეები შეამაგროს თავიანთ კალაპოტში და სხვ. მართალია, გამბეტასა და რესპუბლიკელებს მუშა-ხალხის სასარგებლოდ ჯერ ბევრი არა გაუკეთებია-რა და ამის გამო გამბეტამ ცოტა არ იყოს დაჭკარგა ამ ბოლოს დროს გავლენა მუშა-ხალხში, მაგრამ მათი გამტყუნებაც ძნელია. მონარხიელებთან ბრძოლამ და რესპუბლიკის დამყარებამ იმდენი დრო წაართვა მათ, რომ ჯერ სხვა საქმისათვის ვერ მოეცალათ. თუ აქამდის მუშა-ხალხს მელავათი არ მისცემია, ეს უნდა დაბრალდეს მოუსვენარ მონარხიელებს, რომელნიც თავიანთ ჭკუ-ჭკუაზ მოქმედებით ცდილობენ რესპუბლიკას ძირი გამოუთხარონ და მის ნანგრევებზედ მონარხია დაუფუძნონ.

გამბეტა ყოველად ძლიერი გახდა, მაგრამ გარეგანი უფლება კი არა ჭქონდა-რა. ეს მეტის მეტად ეუცხოებოდა ხალხს

და გამბეტას მოსვენებას არ აძლევდენ, ეუბნებოდენ, უფლება გი შენა გაქვს და პასუხის-გებაში სხვაა. უფლებასთან ერთად პასუხის-გებაც შენი უნდა იყოსო. ამ საყვედურების ასაცილებლად გამბეტამ ჯერ პალატის თავ-მჯდომარეობა იკისრა და შემდეგ სამინისტროც შეადგინა, რომლის უფროსად თითონვე გახდა, მაგრამ ამ „დიდმა სამინისტრომ", რომელიც ფრანცუზები უძახდენ, მხოლოდ ორს თვეს გასძლო და რესპუბლიკურმა პარტიამ თავი თვისი თვითვე მოიგვეთა. გამბეტას სამინისტრო დაეცა შარშან ივნვარში. რადგან მისგან მოხდომილ კონსტიტუციის შეცვლას არ დაეთანხმა რესპუბლიკური პარტია და მას შემდეგ გამბეტა ისევ უბრალო დეპუტატი შეიქნა.

როგორ მოხდა ეს რომ ოპოზიციაში საგანგებო და გაწკრთნილი პირი მმართველად არ გამოდგა? ამის პასუხის მიცემას ჩვენ ვერ გავბედავთ. ზოგნი ამბობენ: გამბეტა ისე შეეჩვია გამარჯვებას, რომ წინააღმდეგობას ვერარ იტანდა და ამიტომ გარს სულ თავის მეგობრები დაისხა მინისტრებად, რომელნიც მას ყურ-მოჭრილ მოსობას უწევდენო. პალატას მოებეზრდა ეს თავ-წასულობა, შეეშინდა გამბეტამ დიქტატორობა არ მოინდომოს და იმიტომ გაბედა წინააღმდეგობა. იქნება მიზეზი ზოგი ეს იყოს, მაგრამ არის სხვა მიზეზიც: გამბეტამ მუშა-ხალხს დაუგვიანა ის შემამსუბუქებელი რეფორმები, რომელთაც პირველში პირდებოდა და დაჭვარგა ძალი მოერის გაგლენა. ამის გამო პალატის უკიდურესი მარცხენა მხარე, რომელსაც უბრალო ხალხის მხარე უჭირავს, გამბეტას მტრად გაუხდა და ხშირად მონარხიელებთან ერთად მის წინააღმდეგ მოქმედებდა. ამასვე ამბობენ ზოგიერთნი იმას, რომ გამბეტას დამარხვის დროს არც ერთი მუშა-ხალხის დეპუტატი არ იყო გამოგზავნილიო, თუმცა მისგან დაარსებული გაზეთი „სათურნ-

გეთის რესპუბლიკა'' მოგვითხრობს: სადაც კი გამბეტას გვამი გაატარეს, ყველგან ქარხანები დაკეტილი იყო და მუშები ცხარის ცრემლითა სტირიდნო.

ასეთი იყო გამბეტა, როგორც შინაგანი პოლიტიკოსი. გარეშე საქმეში ის მხოლოდ ერთს აზრს მისდევდა და თუ ეს აზრი განხორციელდებოდა, მისთვის სულ ერთი იყო რომელ ბარბაროსულ სახელმწიფოსთანაც დაიწერდა კავშირს, თუ კი ამ კავშირით თავის წადილს მიაღწევდა. ეს წადილი იყო გერმანიის შურის-გება, ალზას-ლოტარინის დაბრუნება. ოღონდ რომელისაძე სახელმწიფოს შემწეობით გერმანია დაემარცხებინა და თუნდაც ამ სახელმწიფოში მასუკან გამარჯვებულ მთავრობას ყოველივე თავისუფლება მოესპო, მაინც ეს გამბეტას ისე არ შეაწუხებდა, როგორც ასიამოვნებდა ალზას-ლოტარინის დაბრუნება და საფრანგეთის მკერდზედ მიკრობა. გამბეტა ვერა ჭბედავდა მარტო ომის გამოცხადებას და მოკავშირე სახელმწიფოს ჯერ-ჯერობით ვერსად ჭხედავდა. ინგლისი სხვა-და-სხვა ეგვიპტისა და ზულუსების საქმეში იყო გაბმული, იტალია საფრანგეთს ებუტებოდა, ავსტრიაც გერმანიას თვალს უშვებოდა, დარჩა მარტო რუსეთი, რომლისაც გამბეტას დიდი იმედი ჭქონდა. მართლაც გეოგრაფიული მდგომარეობა საფრანგეთისა და რუსეთისა ისეთია, რომ გერმანია შუაში ჭყავთ მომწყვდეული და თუ ორივემ აქეთ-იქიდამ შეუტიეს, კარგა ბლომა ჯარი დასჭირდება გერმანიას, რომ ორს ამისთანა ძლიერს მტერს გაუძლოს. ამიტომაც გამბეტას ძალიან სწყინდა რომ რუსეთისა და ოსმალოს ომის დროს რუსეთს გაუჭირდა ოსმალოს დამარცხება. გამბეტას ეშინოდა—გაჭირვებულმა რუსეთმა გერმანიას არ მიმართოს და შველა არა სთხოვოს. ამ ბოლოს დროს გაზეთები ამბობენ, რომ შარშან პარიაში ნათქვამ სიტ-

ეკეკლესიათვის ნემეცების წინააღმდეგ სკობელევს დიდი ძალღონა გადაუხადა გამბეტამ და ამისათვისვე ნემეცები სიასარეულით ეეხ-ზედ ალარა დგანან და ლოცვენ შარშანდელ წელიწადს, რომელ-მაც ორი ძლიერი მტერი მოაშორა მათ—სკობელევი და გამ-ბეტა.

ნემეცები კი ლოცვენ, მაგრამ საოგრანგეთი სწყევლის შარ-შანდელ წელიწადს, რომელმაც გამოასალმების დრონ ისეთი შვი-ლი გამოსტაცა მას და თავისთან ერთად საწყეთრონ გამოა-სალმა.

,,საოგრანგეთი სტირისო თავის შვილს, მის სადიდებ-ლად შექმნილს,—ამბობდა მის საოგლაგზედ გამბეტასთან თანა-შეზდილი ბრისონი, წარმომ დგენელთა პალატის აწინდელი თავ-მჯდომარე. გამბეტამ დაგვიტოვა ჩვენ ჩვენი მოგვლეობა და ვეცდებით კიდეც რომ შეკასრულოთ, მაგრამ ჩვენ ველარ გავიგონებთ იმ გმირულს ხმას, რომელიც თხუთმეტის წლის ბრძოლაში ჩვენი სულთა-მდგმელი იყო, რომელიც გამარჯვებას გვიტკბობდა და დამარცხებას გმირულად გვაძლებინებდა... ეს განიერი მკერდი, რომლის ქვეშაც ყოველი კეთილშობილური გრძნობანი ერთად ლელავდენ, შექმნილი იყო დიდთა ვნებათა-თვის. ეს გული წინდაწინვე ხალხისა და სამშობლოსათვის იყო შეწირული... პრუსიელებთან ომში გამბეტა ჩაერია სრულის ენერგიით, სრულის ნდობით, სრულის მოხდობილობით. დი-დება მის სახელს და კვალად დიდება! ტყუილს ამბობს, ვინც საოგრანგეთსა სწამებს, რომ იგი ქედს იდრეკდა, კიდრე ყოველ-ი თვისი ძალა ბრძოლაში არ გამოსცადა. არა, საოგრან-გეთს ბრძოლა სწყურდა და აი ამ გრძნობათ ერთობამ საოგ-რანგეთსა და გამბეტას შორის გაძლიერა ხალხის სიყვარული გამბეტასადმი. ის სიყვარული, რომელიც ვერ გაანელა დამარ-

ცხებამ, რომელსაც დღესა სტირის გულ-მოკლული ერი, და ხვალ სადიდებელ სახელად გადაიქცევა. სწორედ რომ ეგრეც ოთოვილიყო, სწორედ საფრანგეთი ერთს წუთსაც არის შემდრკალიყო და გამბეტას გამოეფხიზლებინა იგი, ამისათვის უფრო დიადი დიდება ეკუთვნოდა გამბეტას. მაგრამ არა, საფრანგეთმა და გამბეტამ შეჭეს ერთად პირი, შეგვინახეს სახელი და ეხლა გულ-მაგრად შეეცქერით ამ სამ-ფერეკანს დროშას, რომელშიაც ეს დიდებული ცხედარია გახვეული!''

ათი სიტყვა წარმოითქვა გამბეტას სათლავზედ, ათიე ორატორი ხალხს გულს უმაგრებდენ, ერთმანერთის მხნეობას აძლევდენ: ,,გამბეტა მოკვდა, რესპუბლიკას საუკეთესო შვილი მოაკლდა, მაგრამ თვით რესპუბლიკას არა ეკნება-რა. გამბეტა მოკვდა, რესპუბლიკას გაუმარჯვოსო!'' მაგრამ ესეც ცხადია, რომ გამბეტას სიკვდილმა რესპუბლიკა დიდს შიშში ჩაგდო. ორი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, და საფრანგეთის ტახტის-მსურველები გამბეტას ჯერ კიდევ თბილს გვამზედ ეორნებსავით ჩხავილს მოჭყვნენ და რესპუბლიკას ომი გამოუცხადეს.

მზის ჩასვლის შემდეგ—ჭიალუები ათუთუთდენ.

ამაოდ სურვილი.

მინდა რომ ვიყო მდინარედ,
შენს ახლოს მოვჩქრიალებდე
და შენს საყნოსველს ჭაერსა
გრილის ნიავით ვავსებდე.
მინდა რომ ვიქცე სარკეთა
და შენთან ვიმყოფებოდე,
რომ ყოველს საათს და დღესა,
სატრფოვო, ჩამომცქეროდე.
მინდა რომ ვიყო თვრვანა,
თავს გეკვლებოდე, დაგტრფოდე
და შენის ტრფობის ალითა
ვიწოდე, ვიდაგებოდე.
მინდა რომ ვიყო... მაგრამ ეჭ!
ვინ შემისრულებს სურვილსა,
შენ ბედი ლიმილს გიმზადებს
და მე კი ოხვრა-ტირილსა.

ი. ბაქრაძე.

შინაური მიმოხილვა

ქუთაისის ბანკი—«შრომის» წინა-სიტყვაობა—ტყუილი ჯვარცმა «შრომის» მშრომელისა—საწყალნი მსმენელნი—ბანკების აპეკა—რა შუაშია—ბავშვები თუ გაბრიყვებულნი?—რა არის კრედიტი საერთოდ და საადგილ-მამულო ცალკე—მიწა და მიწათ-მოქმედება—რა მოეთხოვება კრედიტს საადგილ-მამულოს—რის გარედ არ არის კრედიტი—მუხას ვაშლი რად არ ასხიათ—ბანკია მიზეზი თუ სხვა რამ—მაგალითი—«შრომის» ჯვარცმულს მშრომელს.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა დროებით უნდა დაიყენოს სესხის გაცემა. ტყუილ-უბრალოდ მეკვირვლნი საერთოდ საადგილ-მამულო ბანკების წინააღმდეგ, ვგონებ, სიხარულით ხელებს იფშვნეტენ, მაგრამ კი ჩვენ უფალსა ვწყალობთ მიუტეოს მათ, რამეთუ არ იციან რას იქმან. ჩვენ ეს განკარგულება დიდ უბედურებად მიგვაჩნია და ამიტომაც განსაკუთრებით ჩვენს ყურადღებას დღეს ამ საგანს მივაქცევთ და არც წერილის სიდიდეს მოკვრიდებით, არც გძლად ლაპარაკსა, ოღონდ ჩვენს საზოგადოებაში მოკეთენოთ ის ჭეშმარიტებანი, რომლის ძალითაც ბანკების თანაბაზედ საზოგადოდ და საადგილ-მამულო ბანკებისაზედ ცალკედ, გაცემა თავისი პირუთვნელი, პირ-მიუხედავი აზრი უნდა წარმოსთქვას.

რომ ამ საგანზედ სრული უმეცრება ტრიალებს არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, არამედ იმათ შორისაც, ვისაც თვითონ

საზოგადოების ხელ-მძღვანელობა უკისრია, ამის მაგალითად მოგიყვანთ «შრომის» № 3-ს.

ამ № 3 დაბეჭდილია წერილი ბანკების შესახებ და ამ წერილის თავში მოქცეულია წინასიტყვაობა «შრომის» რედაქციისა, რომელიც გვაცებს ხოლმე თავისის უსუსურობით ყოველთვის, რაცა კი საადგილ-მამულო ბანკებს ეეხება.

«ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების დაბეუმნებიდგანვე, ამბობს რედაქცია თავ-მოჩოხებით: თითქმის იქიდგან, რაცა ჯერ ამ ბანკების წესდებაზედ იყო ლაპარაკი, ჩვენ ყოველთვის გამოგვითქვამს, როგორც საზოგადოების კრებაზედ, ისე ლიტერატურაშიაც ის აზრი, რომ ამ გვარი ბანკები მხოლოდ მაშინ იქნებოდა საჭიროებლო, რაცა იქიდგან გამოტანილს თეულს მამულის შესამუშავებლად მოიხმარებდნენ და რაცა კვლის გადაუხდელობისათვის გასაყიდი მამული გარეშე კაცს არ ჩაუვარდებოდა ხელში. ამ აზრისათვის ჩვენ და ჩვენი თანა-მოაზრენი თითქმის ჯვარცმულსავით ვიდგენ ოდით.»

გაგონილა რომ დამჯდარმა კაცმა ეს ამისთანა აზრი საქმეუნოდ წარმოსთქვას. «ჯვარცმულებსავით ვიდგებოდითო.» მაშ რა მოგიგიდოდათ, თუ მართლა რაცა ბანკების წესდებაზედ იყო ლაპარაკი, თქვენ იმაზედ გაბით გაუთავებელი ლაპარაკი, რომ კვლის ამლებმა თეული როგორ უნდა მოიხმაროს, ან კვლის გადაუხდელობისათვის გასაყიდი მამული გარეშე კაცს რა გზით არ ჩაუვარდეს ხელშიო, და თუ ამაზედ გალაპარაკეს, საბოლოოდ ეიდება მსმენელთა მოთმინებასა. ისინი ცმუნან ჯვარს, რომ მაგდენი გალაპარაკნიათ იმაზედ, თუ მუხას კაშლი რატომ არ ასხიაო. საწყალი მსმენელები!...

ერთი იმას ვკითხავთ ამ წინა-სიტყვაობის დამწერს—სად ბანკების წესდება და სად ეგ ამბები? რომელ ბანკის წესდე-

ბას შეუძლიან კაცს ხელ-ფეხი ისე შეუკრას, რომ აღებული კალი ცუდ-უბრალოზედ არ გაუფუჭოს და მხოლოდ მამულის განკარგებას მოახმარონ? რომელს ბანკის წესდებას შეუძლიან კალის გადაუხდელობისათვის გასასყიდი მამული გარეშე კაცს არ ჩაუგდონ ხელში? აქ ბანკის წესდება რა შუაშია, რომ აგიღიათ თავი და სულ სხვა საგნებზედ დაგიწყვიათ ლაპარაკი. ბატონებო, დონკიხოტსავით ქარის წისქვილებს მისდგომიხართ და ჩიკით რატომ არ აგვუკვითო. ისინი თურმე იმ მთაზედ ლაპარაკობენ, თქვენ კი მისდგომიხართ და აქ მთის ამბით სული ამოგირთმევიათ. ჯკარს უნდა ცმუდ იყავით მაშ რა მოგივიდოდათ, წყალის ნაყვა რა კი ეგრე გულით მოგიწადინებიათ-

ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა ის კი არ არის, რომ კისაც ფულს ასესხებს, უკანვე გაედევნოს, აპეკუნად გაუხდეს და ტყეილ-უბრალოზედ ფული არ დაასარჯვინოს და თუ კალის ამღებმა სესხი არ მოიშორა, ბანკმა არა დაკლოს რა. ბანკს ამისთანა საქმეს ან ბავშვები მოსთხოვენ, ან იმისთანანი, რომელნიც საზოგადოების გაბრიყვებას კადრულობენ, როგორც გონება-გაუხსნელის ბავშვისას.

რა კი ამისთანა საძდურავი ბანკის თაობაზედ, ჩვენდა საძწუხაროდ, ჩვენის ლიტერატორებისაგან გვესმის, ჩვენში ძალიან ცოტას ჩაცოდნია: რა არის კრედიტი საზოგადოდ და საადგილ-მამულო ცალკედ. ამის გამოკვლევას შეკუდგებით ჩვენ ჩვენის შეძლებისამებრ და იქნება იმოდენა შეგძლოთ, რომ ეს აგასრულოთ.

რომ შეკუდგეთ რომელიმე საზოგადოების, თუ ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას და დაკვაკვირდეთ იმის კითარებას, შეკნიშნაკთ აი რას: ერთს ადგილას, თქვენ დაინახავთ,

მაგალითებრ, მწედელსა, რომელსაც თავის საგუთარს სამწედლოში უწყვია მზად გაკეთებული ბარი, თოხი, ნაჯახი, ცული, სახნის-საკვეთი და ელის მსყიდველსა რომელიც არსაითა სჩანს. იქაც გვერდით უდგას მიწის-მომქმედი, რომელსაც უჭირს ყოველივე ეგ საამაოდ ოარადი, მაგრამ ლოხისძიება არა აქვს შეიძინოს უფულობით, თუმცა ბელელი საკსე აქვს ყოველ-გვარის მიწიხ ნაწარმოებითა, რომელიც ბევრს სხვას ეჭირება. მესამე ადგილას ხედავთ აგურის მკეთებელსა, რომელსაც უჭირს მიწის მომქმედის ნაწარმოები, და არა აქვს ლოხისძიება შეიძინოს, თუმცა მრავალი აგური უწვია ქარხანაში ჯ მუშტარს ელოდება. მეოთხე ადგილას ხედავთ ღვინის მომყვანსა, რომელსაც, უნდა ერთი კაი მარანი დადგას და აგური არა აქვს, თუმცა ღვინით საკსე ქვევრები უდგას და სხვანი და სხვანი.

ამ სახით ვხედავთ, რომ ერთის მხრით საჭიროებაა, მეორეს მხრით საჭიროების დასაკმაყოფილებლად საგნებია, მაგრამ ცალ-ცალკედ კი.

ამ განცალკევების და იმ მიზეზისგამო, რომ ხელად იმისთანა სასყიდელი ლოხე არ არის, რომელსაც შეუძლიან საკმაყოფილო საგნები საჭიროებას მიუზიდოს, მწედელი, მიწის-მომქმედი, ღვინის მომყვანი და მაგალითად იძულებულ არიან უქმად იყვნენ, იმიტომ რომ თვითეულს მათგანს რაც თანსა ჭირია თავის ნაწარმოებში ვაუბამს და სხვა ალარა აქვს განაგრძოს თავისი წარმოება.

ამ სახით ვიმეორებთ, თქვენ ხედავთ, რომ შრომის თვითეულის მათგანის შეყენებულია და თანსა, რომელსაც ეხლა წარმოადგენს მათი ნაწარმოები, უქმად დარჩომილია, იმიტომ რომ ნაწარმოები, ვსთქვათ, მწედლის მიწის ხელობისათვის გამოუსადეგია და ის წარმოება კი, რომლისთვისაც მისგან

მომზადებული იარაღი გამოსადეგია, იმისი საქმე არ არის. ამ ადვილად შესაძლებელ ყოფაში წარმოებას ხელ-ფეხი შეკრული აქვს, საზოგადოება ეკონომიურის მხრით ძლივ-ძლივ სულს იბრუნებს, თუნდაც ელემენტები წარმოებისა და კეთილ-დღეობისა უხვად იყოს.

როგორ უნდა ეშველოს? იტყვიან, იმ დაღლილებმა ალბან თავიანთი საწარმოები და ერთმანეთს გაუცვალონ. მაგრამ აგეთი პირდაპირ გაცვლა-გამოცვლა შეუძლებელია, იმიტომ რომ რაც მე მიჭირს, ის იმისთანა კაცსა აქვს, რომელსაც ჩემი საწარმოები არ უჭირს. ამისგამო რომ ეგ გაცვლა-გამოცვლა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეგ ალებ-მიცემობა მოხდეს, ყოველმა მწარმოებელმა თავისი საწარმოები იმისთანა საგანურად უნდა აქციოს, რომელსაც საყოველთაო და უცილობელი ძალი აქვს ალებ-მიცემობის მოსასდენად. ესე იგი, უნდა აქციოს ფულად. კარგი, მაგრამ რომ ფული იც არ იყოს?

ფულის გარდა არის სხვა ღონისძიება, რომელსაც ძალუძს ერთის კაბიტალი შეახვედროს მეორის ბრიგადას და ამით ბოლო მოუღოს მრეწველ-წარმოების უქმად გაფლანგვასა, ხელოვნად სული ჩაუდგეს მოძველებულ მწყობლისა, მიწათ-მოქმედისა და სხვათა. ეგ ღონისძიება ერთგვარი მოლაპარაკებაა, რომლის ძალითაც, მწყობელი ესაუბრა-ს მიწათ-მოქმედს, მიწის-მოქმედი მეაგურეს, მეაგურე დეინის მოქმეკნს, ერთმანეთის ხელს უმართავენ თავიანთის საწარმოებითა, ანუ უკეთ ვსთქვათ, კაბიტალებითა იმ პირობით, რომ დაუბრუნონ ეს კაბიტალი კალაზედ თავის საფასებლით დაცვლებისათვის.

ხოლო მწყობელმა თუ სხვამ, თუმცა გასაღა ეს საზით თავისი საქონელი და ხელი გაუმართავს მიწად-მოქმედსა, მაგრამ მაინც ხომ უკაბიტალოდ რჩება კალამდე და მაშასადამე მი-

სი წარმოება ვადის მოსვლამდე ისევ ისე უქმად უნდა იყოს. რომ ეს ასე არ მოუხდეს, მეწედელმა საბუთი რამ უნდა იქონიოს, ანუ თამასუქი, როგორც ჩვენ ვიტყვით ხოლმე, უნდა ჩამოართოს მიწათ-მომქმედსა, მერე ასეთი, რომელსაც იმისთანაკე ძალა ჰქონდეს სყიდვისა, როგორც ფულის ნიშანსა აქვს. რომ თამასუქს ესეთი ძალა მიენიჭოს, თამასუქთან ერთად უცილო რწმუნებაც უნდა იყოს მასზედ, რომ თამასუქი გავა, თუ ყველგან, არა იმ ადებ-მიცემობის მოედანზედ მაინც, საცა მოქმედობენ და საქმობენ ეგრე მორიგებულნი პირნი. რალა თქმა უნდა რომ იმ თამასუქს ეგ სარწმუნო ლირსება არ ექმნება.

ა ი სწორედ ამ გაჭირების დროს მოდის ბანკი, და ეუბნება: «შენ, მეწედელო, მიეცი შენი ნაწარმოები მიწის-მომქმედსა, შენ, მიწის-მომქმედო, მეაგურეს და შენ, მეაგურეგ, ლვინის მომყვანსა, და მიცემის ნიშნად ჩამოართვეით თამასუქები, თუ ერთმანეთს ენდობით და ერთმანეთის რწმუნება გაქვთ. ყველა მაგ თამასუქებს მე ჩემს თავზედ მიგიღებ ვადამდე და თქვენ მის სამაგიეროდ ან ნაღდს ფულს გიშოვით, ან მოგცემთ ჩემს ბილეთებს, ჩემგან ხელმოწერილებს, რომელთაც, თუ ყველგან არა, იმ ადებ-მიცემობის მოედანზედ მაინც მიიღებენ, საცა თვითონ მე ვმოქმედობ და ვსაქმობ. ეგ იმედი ბანკის ბილეთების მიღებისა უცილოა, იმიტომ, რომ ნდობა ბანკისადმი ბანკის ცარიელს სიტყვაზედ კი არ არის დამყარებული, არამედ იმისთანა საფუძველზედ, რომელიც საოთვეა და ძირი საყოველთაოო ნდობისა და საყოველთაოო რწმუნებისათვის ყველასაგან ერთნაირად ცნობილია და ერთნაირად მიღებული. ბანკს რომ ერთი რამ ამ საფუძველთაგანი დაკლოთ, ამ საქმეს ველარ გაუძღვება.

ამ გვარის ხელის გამართვით ბანკისაგან, ნაწარმოები ხელი-

დამ ხელში გადაგვა, გაძლიერდება საქართველოს მიქცევ-მოქცევა მწარმოებელთა შორის. არც ნიგთი რამ, არც იარაღი, არც ერთი ნაამაგები კაცისა ალარ დარჩება უქმად და მოუხმარებლად.

რაში იყო ბუნება მორიგებისა, რომელიც ჩვენ ზემოდ ვახსენეთ, სახელდობრ, რაში გამოიჩინა თავი? იმაში რომ გადიტანა კაპიტალი ერთიდამ მეორესთან და ფულის მაგიერობა გასწია. ეს კარგა დავიხსომოთ.

მაგრამ ხსენებულს მორიგებაში უსათუოდ ნდობა უნდა იყოს მორიგებულთა შორის. აი სწორედ ეგ ნდობა, რომლის ძალითაც კაპიტალი გადადის ერთის ხელიდამ მეორეში, რომელიც განხორციელდება ხოლმე ხსენებულ მორიგებაში და რომელიც ფულის მაგიერობას გაგვიწევს ხოლმე, არის ის, რასაც კრედიტს ეძახიან.

კრედიტი ორპირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებელად ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყარო საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება, იმიტომ-რომ კრედიტს გადააქვს რა კაპიტალი ფულად, თუ წარმოების მასალად, იარაღად, თუ სხვა გვარ სახმარ ნიგთად, გადააქვს იქიდამ, საცა ყოველგვე ეგ უქმად აწყვია, იქ, საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებელად და ამ სახით მოარიგებს ხოლმე კაპიტალს ყოველგან და ყოველგანვე იმ საოგებლობას მოატანინებს, რისთვისაც კაპიტალი დანიშნულია.

მაშასადამე კრედიტი, ეკონომიურის თვალით გასინჯული,

ერთი იმისთანა გამოსადეგი ლოხეთაგანია, რომლის შემწეობითაც გრიგოლ გაოვანტული ჯ უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებელად. ეგ გაძლიერება წარმოებისა ერთად-ერთი, მხოლოობითი საგანია და მიზანი კრედიტისა. ამიტომაც იგივე გაძლიერება წარმოებისა მხოლოობითი ლოხისძიება-ლა არის კრედიტის ბასუხის გასაცემად.

რადგანაც წარმოება და მასთან შეერთებული ჭოხება სხვა და სხვა გვარია, თვითონ კრედიტიც სხვა და სხვა გვარია იმისდა მიხედვით თუ რა წარმოებაზედ და რა ჭოხებაზედ არის მიქცეული. მასადამე რომ თვალი ავიხილოთ მასზედ, თუ რა გვარი კრედიტი უჭირდა ჩვენს ქვეყანასა და რა გვარი კრედიტი გახდა საჭიროდ ჩვენის ბანკების წესდებისა, საჭიროა შევიტყოთ რა გვარი წარმოება თხოულობდა ჩვენში კრედიტის შემწეობას და რა გვარი ჭოხებაა იმ წარმოებასთან შეერთებული.

ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწად-მოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი, იმისთანა წარმოება, რომელსაც ბირდა-ბირ მიწასთანა აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთანა. ეს არის ერთად ერთი წარმოება, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა და რომელიც თითქმის ერთად-ერთი წყაროა ჩვენის სიმდიდრისა.

კრედიტი რომელიც ამ წარმოებას ეხმარება, არის ეგრედ წოდებული სასოფლო მეურნეობის კრედიტი, ანუ საადგილ-მამულო. მაშასადამე საადგილ-მამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გაძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება. და რადგან ეს წარმოება განუყოფელად შეერთებულია მიწასთან და მიწად-მოქმედებასთან,

ამიტომაც საადგილო-მამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა გვარ კრედიტთაგან იმ განსაკუთრებულ თვისებით, რომელნიც წარმოადგენენ თვითონ მიწათ-მოქმედების და მიწის ეკონომიურ ბუნებისაგან.

გავსინჯოთ ეკონომიური ბუნება ერთისაც და მეორისაც. მიწათ-მოქმედებაზედ მიქცეული, კრედიტის შემწეობით, კაპიტალი ორგვარად შეიძლება მოიხმაროს კაცმა: ერთი იმისათვის, რომ დროებითი და შემთხვევითი გამორჩომა ნახოს, მეორე იმისთვის რომ საუდამოდ მკვიდრად განაკარგოს მეურნეობა. ცხადია რომ პირველ შემთხვევაში მიწათ-მოქმედება ვერ მისცემს მტკიცეს და კეთილ-საიმედო ღონეს კრედიტის პასუხის გასაცემად და ამით კრედიტის განვითარებისათვის ხელ-მოკლეა. იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ყველათვერი დროებითია და შემთხვევაზეა დამოკიდებული. მეორე შემთხვევაში კი, ესე იგი, მაშინ; როცა კაპიტალი მიქცეულია მიწათ-მოქმედებაზედ მარტო იმ განზრახვით, რომ მკვიდრად და საუდამოდ გაძლიერდეს წარმოება მიწათ-მოქმედებისა, მიწათ-მოქმედების შემოსავალი თან-და-თან მატულობს, ძლიერდება და ეგ მატება და გაძლიერება უფრო მტკიცე, უფრო მუდმივი ღონისძიებაა კრედიტის პასუხის-საგებლად.

ხოლო მიწათ-მოქმედება იმ გვარი წარმოებაა, რომლის საუდამოდ და მკვიდრად განკარგებისათვის საჭიროა დიდი ხანი. ამ წარმოების აწყობა ვერა მანქანებს კაცისას არ შეუძლიან, იმიტომ-რომ აქ ყველათვერი დამოკიდებულია თვითონ იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მაგ წარმოებას ემსახურებიან და რომელთ ბუნების შეცვლაც კაცთა ხელთ არ არის. მაგალითებრ, ვაზს, რომელსაც დღეს ვრგავთ, ვერ ვეტყვით ექვს თთვეზედ ყურძენი გამოიხიო. ამასთანაც მიწათ-მოქმედე-

ბაზედ მიქცეული კაპიტალი შეეხორცება ხოლმე მიწასა, ისე რომ ერთბაბად უკანვე ამოღება ყოველად შეუძლებელია. შეიძლება ამოღება მხოლოდ თან-და-თან ნამეტანისაგან შემოსავლისა ისიც იმ დროთა განმავლობაში, რომელიც უსათუოდ შეზომილი უნდა იყოს თვითონ წარმოების ქცევის დროსთან. მიწად-მოქმედების წარმოებაში ეგ ქცევა მეტად ხანგრძლივ დროს ითხოვს, 30-ს 40-ს 50-ს წელს, და ამაზედ მეტსაც.

აი ამ სახით მიწათ-მოქმედება იმისთანა წარმოებაა, განსხვავებული ყოველ სხვა გვარ წარმოებისაგან, რომელიც შესაძლოა მტკიცედ და მკვიდრად განკარგებულ და გაძლიერებულ იქმნას მხოლოდ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში და რომელიც ერთხანად და ერთბაბად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა, არამედ თან-და-თან ლ თვეს-ძძიმედ ზრდის შემოსავალს და იქიდამ იშორებს იმავე თან-და-თანობით, იმავე თვეს-ძძიმობით. აი ორი განსაკუთრებული თვისება მიწათ-მოქმედებისა. აი სახელდობრ ამ ორის მიწათ-მოქმედების განსაკუთრებულის თვისებისაგან წარმოსდგება ორი არსებითი და აუცილებელი თვისება საადგილ-მამულო კრედიტისაცა. ერთი თვისება ის არის, რომ კრედიტი ხანგრძლივი იყოს და მეორე ისა, რომ კრედიტს პასუხი გაეცეს ერთხანად და ერთბამად კი არა, არამედ თან-და-თანობით, ყოველ წლიურის შემოსატანით ნამეტანისაგან შემოსავლისა.

ამკარაა რა-კი საადგილ-მამულო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, მისდა საიმედოდ იმისთანა ქონება უნდა იქმნას რომელიც ხანგრძლივობას აიტანს, რომელიც დროთა განმავლობაში არა ფუჭდება, ფასს არ იკლებს. ამისთანა ქონება მარტო მიწაა და ეგ მიწაა ერთად-ერთი ქონება მიწათ-მოქმედებისა, რომლითაც იგი მოიპოვებს ხოლმე კრედიტსა,

ნდობას, იმიტომ რომ თვითონ მომქმედს, როგორც სიკვდილის შვილს, პირადად სანგრძლივ 40 და 50 წელიწადს ვერ-კინ ენდობა, არც მის წარმოებას, რომელიც ერთბამად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა. ეხლა ვნახოთ ეკონომიური ბუნება მიწისა რამოდენად ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის სანგრძლივობასა.

მიწა ჩვენშიაც, როგორც ყოველგან სხვაგან, უფრო მკვიდრი და მტკიცე თამასუქია, კიდრე სხვა გვარი ქონება, იმიტომ-რომ საზოგადო წარმატებისგამო მრავლდება ერი; ერის გამრავლებით მიწას მუშტარი ემატება, მაშინ როდესაც თვითონ მიწა კი არც მატულობს, არც იზდება, რაც ბუნებას გაუჩენია, მასზედ მეტი ვერ გახდება. მუშტარის მომატებას ამ შემთხვევაში მიწის ფასის აწევა მოსდევს და ამ სახით მიწა დღეს გირავად მიღებული შესაძლოა, ათს და ოცს წელიწადს ერთიორად მეტის ფასისა გახდეს. ამაზედ თვითონ ჩვენშიაც დარწმუნდებიან, ვისაც ახსოვს რა ღირდა უწინ მიწა ჩვენში და რა ღირს დღეს. გარდა ამისა არ არის ჭეშმარიტებაზედ სხვა გვარი ქონება, რომ ორმოცდ და ორმოცდაათს წელიწადს გასძლოს მთლად, უვნებლად, დაუკლებლად როგორც მიწა ჭსძლებს. ამიტომაც მარტო ეგ გვარი ქონება ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის სანგრძლივობას.

ამ სახით საადგილ-მამულო კრედიტი არის იმისთანა კრედიტი, რომელიც 1) სანგრძლივია, 2) ერთბამად არა თხოულობს კაპიტალის დაბრუნებას, არამედ აცლის, რომ კაცმა იმ წარმოების მიხედვით, რაზედაც მიქცეულია კრედიტი, თან-დათან და ნელ-ნელად გადიხადოს ყოველ-წლივ სამსახური კრედიტისა გაძლიერებულის შემოსავლისაგან და 3) რომელიც თუ არ მიწის იმედით სხვა არა ფერით .არ მოიბოება და არათერს ვერ მიეხდება.

ამ საქმეს პირობას გარეგან არ არის და ვერც იქნება საადგილ-მამულო კრედიტი. ამის მოცემის მეტი არა შეუძლიან რა. ამაზედ მეტს ვინცა სთხოვს საადგილ-მამულო კრედიტს, იმას კრედიტის სუნიც არ მისდგენია და თუ მაინც თავისი დაუყენია, თავის-თავსვე დაუბრალოს რომ ჯვართ-უცვია თავი ტყუილად და უბრალოდ.

თუ ეს არსებითნი პირობანი საადგილ-მამულო კრედიტისა არ არის შეტანილი ჩვენის ბანკების წესდებაში, მაშინ რომ იმისათვის ჯვარცმულ ყოფილიყო ვინმე, მშვენიერს გვირგვინს წამებისას ჩვენც ქებით და დიდებით დავადგამდით, თუ არა და მუხას მისდგომიან ვაშლი რატომ არ გასხია. იმიტომ, ბატონებო, რომ ყველას თავისი ბუნება აქვს და თავის ბუნების მიხედვით მოქმედობს.

დაუყენიათ, ბანკებია მიზეზი, რომ ჩვენი მამულები ისყიდებაო და ერთი ყოფა და ამბავი გაქვთ—გამოცანა ჩვენ გვერგებაო. ერთი გკითხავთ: სად იყო ბანკები რომ მთელი თბილისი ამ საუკუნის დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოცდაათმა წელიწადმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა? იცით ვისი იყო სეიდაბათიდამ დაწყობილი ვერამდის მთელი ქალაქი 1805 წ-მდე? სუმბათაანთი, მელიქიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, და იცით ვისი შეიქმნა 1840-მდე, სულ 35 წელიწადში? სად იყო მაშინ ბანკები! მაგაების მუკირავლთ ის საქმე დაემართათ, რაც განსამართლების წესდების მოწინააღმდეგებს მოუვიდათ რუსეთში. ახალის წესდების შემოღებისკე უმალ დაიუკირეს: აკი კამბობდითო, აკ-კაცობა გამრავლდაო ახალის წესდებისაგან! გამრავლდა კი არა, რაც აკკაცობა იყო უწინ, განცალიარებში იმალებოდა და ეხლა კი საქვეყნოდა ცხადდება. იმიტომ ცოტაც ბევრი ეჩვენებოდათ, რა-

დგან დღე-ღამე გაზეთებში კითხულობდენ. სწორედ ესე მოსდით ბანკების თანამბაზედ მეკვირვლთაც. მინამ ბანკები არ იკვნენ, კინ იცოდა სად რა მამულებსა ჭყიდდენ, ეხლა კი რადგანაც ეგ კანტი-კუნტად გაყიდვა საქვეყნოდა ხდება, სათვალავში უფრო კარგად მოდის და კისაც ხალისი აქვს ყვირილისა, ყვირის ეს ასკარ.

ამას ყველაფერს თავი დავანებოთ და უმორჩილესად ვთხოვთ «შრომის» ჯვარცმულხ მშრომლებსა ერთი გვითხრან და გვასწავლონ: რა წესი უნდა შეკიტანოთ წესდებაში, რომ ყველა მსესხებელმა თუული მამულს მოახმარონ და რა კანონი დავდვათ რომ საადგილ-მამულო კრედიტიც გვქონდეს და მამულებიც არავის გაეყიდოს, ან თუ გაეყიდოს, გარეშე კაცთა ხელში არ გადავიდეს. თუ კინმე ამისთანა ასწავულს მოგვიხდენს, ჩვენ დიდის სიამოვნებით თავს მძიმედ დავუკრავთ.

პირველი კრედიტს იმოდენად მოეთხოვება, რამოდენადაც, როგორც ზემოდა ვსთქვით, მუხას ვაშლი და მეორე კი თვითონ კრედიტს ძირს მოეთხრის და იმ ექიმს ეგვანება, რომელმაც ცოცხალს კაცს თავი მოსჭრა, თავი ალარ ეტკინებოდ.

ხილვა

(ახალ-წლის გამო)

«შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი;
ფეხი ჩემი—კვალი ანგელოზისა.»
სახალხო მილოცვა.

ახალ-წლის დღეს ქართველი კაცი რომ შეხვდება თავის კეთილის-მოსურნეს, უეჭველად უნდა მიეგებოს ამ სიტყვებით— «ღმერთმა მრავალს ამ დროს დაგასწროსო». მეც ჩემი თავი ქართველ კაცად მიმაჩნია და ამიტომ არავერი ქართული არა მეხამუსებარა. ამიტომ, რამწამს განვიზრახე ჩემს მკითხველთან სასახალწლო მუსაიფის გამართვა, მაშინვე მინდოდა ჩვენი ჯალარა ჩვეულებიდგან დამეწყო, მინდოდა მეთქვა— «ღმერთმა მრავალ ამ დროს დაგასწროთ-მეთქი». მაგრამ მაშინათვე ენა მოვიკვნიტე და კალამი თავის-თავად ხელიდგან გამვარდა. კარგადაც მოხდა, ღვთის წინაშე, რომ ჩვეულებამ არ გამიტაცა და ეს სიტყვები არ მათქმევინა. მართლაცა და აბა გაშინჯეთ აზრი იმ სიტყვებისა და მერე გამამტყუნეთ. საზოგადოდ ჩვენს ქართველ კაცზედ იტყვიან, რომ ნატვრაშიაც კი ღმერთს შნო არ მიუცია. სწორედ ასეთი საქმე დამემართებოდა, იმ განსხვავებით, რომ უშნოობასთან ჩემს ნატვრას უაზრობა და უგუნურობა დაეკვრებოდა ზედ და მერე შალაშინითაც ალარ ამოეფხიკებოდა.

მართლაც, როგორ ვინატრო ისა, რაც სულითა და გულითა მძაგს, მეჯავრება, მეზიზღება, რაც მაშინებს და მათრთოლებს! არა, მე ჩემს თავს ვერ მივსცემ ამის ნებას, მე ვერ გამოვიჩენ ისეთ გულ-ქვაობას და მტრობას, რომ ჩემის მკითხველებისათვის ვინატრო— «ძრავად ამ დროს დაგასწროთ-მეთქი». მე ვარჩევ, რომ კერ ენა დამიდუნდეს, ვიდრე ასეთი ნატვრა ამოვიგო პირიდგან.

*
* *

არა, როგორც გინდათ, ჩამოამართვით, მაგრამ მე მაინც ვერ მოგიღოცავთ ახალწელიწადს. მართლადაც, აბა გადავხედოთ ჩვენს ყოფას, გინდა მარტო ცალის თვალით, — რას დავინახავთ იქ სანატრელს! თუ აღმოჩნდა რამ ისეთი, რომ ღირდეს იმაზედ საიმოვნებით შედგომა, ბატონი ბძანდებით; თუ არა და, მე მაინც ჩემსას დავიყენებ. რა არის დღეს ჩვენი ცხოვრება? ის, რაც იყო გუშინ, გუშინწინ და კიდევ სხვა ძრავად ყამს—ერთი დაუსრულებელი ტანჯვა, სადაც ოხრებისა და აკლების მეტი არა გესმისთრა, არა გეჩხირებათ-რა თვალში. შესედეთ ჩვენს ასრეთ წოდებულ, მოწინავე საზოგადოებას. ერთი იძახის—«მართალია, ჩვენს ქვეყანას კეთილება ათას ნაირი წამლობა, რომ მოირჩინოს თავი ავად-მყოფობისაგან; სწორედ რომ არ იქნება ურიგო კაცმა იკისროს თავზედ მისი სამსახური; მართალია, ყველანი მოვალენი ვართ ვიზრუნოთ მისთვის, მაგრამ თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნულარ დარჩებაო.» მეორე უფრო საინდისიერად უყურებს თავის დანიშნულებას. ისა ჰგონია, რომ არ შეუძლიან თავის ქვეყანას აუქციოს ზეური. ამისადაც არის, ანაცვალოს მას ოავისი თავი; მაგრამ არ იცის, საიდამ მოუარეს თავის სამსახურს, რომელი უტყუარი გზა გამოანახოს, რომ თავისი მოქმედება დაატყოს სამ-

შობლობს ბედის გამობრუნებას. მესამესა ჴგონია, რომ ჩვენი ქვეყანა მარტო იმითია ბედნიერი, რომ მას ეყოლა ისეთი შვილი, როგორიცა ბრძანდება ეს მესამე, ე. ი. არრის მცოდნე, არრის გამგონე, ტრაბახა და მუკირალა, წარამარა მობაასე ისეთ საგნებზედ, რომლისაც არც თავი გაეგება, არც ბოლო. მეოთხემ მართალა გაიგო თავის ქვეყნის იარებიც და მათი მომრბილებელი, მომრჩენი მალამოც, მაგრამ გამგონი არავინა ჴყავს და მისი ხმა იკარგება ჩვენ გაფხეკილს ცხოვრებაში, ვითარცა «ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.» რა უნდა ჴქნა ამისთანა გარემოებაში? რა მნიშვნელობა უნდა ჴქონდეს ჩვენის ცხოვრების წარმატებაზედ ამისთანა გზა-დაბნეულ, დაწიოკებულ, გაქსაქსულ მოწინავე საზოგადოებას? რა ბეჭედს დასვამს იგი ჩვენის ბედის ჩარხის ტრიალზედ? ჩემის აზრით, თითქმის არავითარს. იქნება ათასში ერთი მარცვალი ჩავარდეს ჩვენს ხელუხლებელ ნიადაგში, რომელიც წარმოადგენს დაცემულ ყამირს, და იქნება ოდესმე ალმოცენდეს რაიმე საყვარელი და საჯარბიელო მცენარე, რომელიც მოუტანს ჩვენს ცხოვრებას ციურ მანანას, რომელიც შეამცირებს ჩვენში შიმშილობასა; მაგრამ მანამდის კი, შენი მტერი იყოს, რა დღეშიაც ჩვენა ვართ. ერთმა გამუდმებულმა ნიავმა რომ დაგვიბეროს, კიდეც აგვგვის ძირიანად, დაგვთანტავს, დაგვგარგავს სულიან-ხორციანად. რომელი ძალა მოგვეპოვება ჩვენში, რა სიმტკიცესა და სიმაგრეს მიჩვენებთ, რომ ამოვათვაროთ თავი და დავიცვათ ჩვენი არსებობა! უერთმანეთობა, გაუტანელობა, უპირობა, გაცალკევება, საზოგადობრივ გრძნობების სისუსტე, სამოქალაქო განვითარების არ ქონა... ნუ თუ მოგილოცო, ჩემო მკითხველო, «ძრავალს ამ დროს დაგასწროს-მეთქი»?

*
* *

თუ რომ მოწინავე საზოგადოება აღჭურვილია ამისთანა ღირსებით, დანარჩენ ხალხში და წოდებაში რომ არც კი შეკიბედოთ ჯ სიამოვნება არ ავიშფოთოთ, ის გვირჩევნია. მაგრამ რაკი საზოგადოდ არა ვართ აგრე რიგად სიამოვნებას გაჩვეულნი და უფრო გამოგვერიღნი ვართ ათას უბედურებისა და მწუხარების ჭეხრაკებში, ამიტომ ნუ შეგვშინდება ამ საქმისა. აქაც გავშინჯოთ ჩვენი ყოფა. მით მოძეტებულად, რომ ჩვენ ვიცით იგი და მხოლოდ მოგონება დაგვჭირდება. ვიღეთ ჩვენი გლეხ-კაცობა. აგერა ალსრულდა პოეტის ნატვრა.

«ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩვენს მამულში».

მართლაც, «სიმართლის ხმა ძვეუნად ჭქუხდა დასათრგუნად მონებისა» ჯ ჩვენშიაც დაამტკრია ბატონ-ყმობის ბორკილები, განთავისუფლდა ჩვენი გლეხ-კაცობაც. მაგრამ რას ვხედავთ მაინც ამ თავისუფლების შემდეგ? იმასა, რომ გლეხი-კაცი მაინც გლეხია. «ამაშ თავადისშვილობას სად არ მისცემდენო?—მკითხავს ჩემი მკითხველი. რასაკვირველია, არ მისცემდენ და არცარავის უნდოდა, რომ თავადისშვილობა დაემტკიცებინათ გლეხებისათვის. სიმართლე მოითხოვდა მათ გათანასწორებას უფლებაში დანარჩენ წოდებებთან. აქეთგენ იყო მიქცეული ყველა პატიოსან ადამიანის აზრი, ყველას გრძნობა და წადილი. მაგრამ ეს საანტრელი ცვლილება დარჩა მხოლოდ ქაღალდზედ, და გლეხი-კაცის ბედი ცოტა რითმე თუ გამოიცვალა. იგივ უტეი და დაჩაგრული, იგივ ეურ-მოჭრილი ყმა თუ თავიხ უწინდელის ბატონისა არა, ასალის ბატონებისა ხომ უეჭველად. მერე, რამდენი ბატონი გაუჩნდა ამ ბოლოს დროს! ეს მიგირტუმა, ეს აკეტიქა, იქ ეაზარა, აქ მამასახლისი, ეს «მირონი პოსტონიკი», «პროკრეკი», გამომძიებელი, «კვრიჭტაკი» (პრი-

სტავი), ჩათვრი და გზირიო. ყველა იმისი ბატონი შეიქნა, მერე ისეთი ბატონი, რომელიც ყოველ წუთს მზად არის იმისი სისხლი დალიოს, ოჯახობა წამურტლოს, სასლს ნამუსი აჭყაროს, გაცარცვოს, ამოართოს ბირიდგან სული და გაძლეს ცალკე იმის მწუსარებით, ცალკე იმის ნაწვაგ-ნაკაგეის ლუკმით. სამართალი იმისთვის დაყრუებული, განძრახ ყურებში ბამბა დაუცვავს, კანონი იმისთვის ალარა მოქმედობს, გულის-შემატკივარი იმს ალარავინა ჭყავს, მასზედ ზრუნვა არავის მოვალეობას არ შეადგენს. თითონ სომ აბა რალა შეუძლიან დაუძლურებულს, დავრდომილს, დღიურ ლუკმის ძებნით სულ-ამოსთმეულს. დღევანდელი ჩვენი გლეხ-კაცობა წარმოგიდგენთ ერთ უშველებელ ხალხის გროვას, სადაც ჩამქრალა ვზრის მუშაობა, ადამიანურის გონობის ლამპარი; სადაც სამოქალაქო ცხოვრება თითქო საგანგებოდ ამოუფხვრიათო, სადაც ყოველ ერის მხოლოდ ერთი განუსაზღვრელი ტანჯვა, ვაება, თავშიცემა, ბირუტყული ძიება ლუკმა პურისა; სადაც ყოველ ნამუსზედ ხელ აღებულ კაცს შეუძლიან თამამად ინავარდოს ცარცვა-გლეჯაში. ნუ თუ მეტყვით, რომ ვინატრო «მრავალ ამ დროს შესწრება!»

* * *

აბა ასლა ჩვენს ამაყ თავად-აზნაურობას შესედეთ, როგორ მოსრილან წელში და ატუზულან სხვა და სხვა ბანკის კარებთან ანუ ფულის გამსესხებელ კანტორასთან, ანუ რომელსამე ფულით გატენილ კარადის «ბოდეკდებთან», რა არის უკანასკნელი მიწის ნაგლეჯები და სასლ-კარი, ითჯერ გაკაგირავებულ-გადმოგირავებულები, კიდევ ჩაგირავონ სადმე, იგდონ ხელში ფულები და თავლიერ დასამსამებაზედ მიეშვნიტონ, გაქრონ, მიეფლანგონ! სად არის ამ ითვის კეთილი განწყობილე-

ბა, სადაც კაცი ჭეშმარიტებს თავის თავს ადამიანად, საზოგადოების წევრად, რომელიც აღასრულებს თავის მოვალეობას ხალხთანაცა და ღმერთთანაც? ყველა მათგანი ეშურება სისწრაფით მოუღოს ბოლო თავის კეთილ-დღეობას, მაშასადამისგან დარჩომილ ლუკმას და ყველა მათგანი შესდგომია ისეთ გზას, რომლის ბოლოშიაც მსსვილი ასოებითა სწერია ერთ ალალ ბოძზედ: აქა სუფევს აუარებელი სიდატაკე, სულითა და გულით დაცემა, ღვთის წყრომა და უშვლებელი სასოწარკვეთილება. აი, აქეთკენ მიიღტვის რაღაც ნაირის სიბრძნეთ და მასთან ფესვგრეფით ჩვენი თავად-აზნაურობა, რომლის ხელშიაც იმყოფება მთელის სამშობლოს ნიკოიერი აკლა-დიდება. ვინ იცის, ვისზედ უნდა გაკვიდეს ჩვენი მამა-პაპური სიმდიდრე, ვინ უნდა სარობდეს ჩვენს მიწა-წყალზედ, ჩვენ კი გულ-ამოძუებულნი, უნდა გავიქსაქსნოთ, დავიფანტნოთ, შევიქნეთ განდეგნილნი ჩვენის სამშობლოდგან, რაგორც ულიანი კაცი განიდევნა სამოთხის სამზღვრებიდგან «პირველის ცოდვისა» გამო, და შევნატრიდეთ იმათ, ვისაც დაგუთმეთ ჩვენი კუთვნილება. თითქო ერთმანეთის ეჯიბრებიან ეს საცოდავები— აბა, ვინ უფრო ადრე განთავისუფლდება თავის საცხოვრებლიდგან, ვინ უფრო მალე გავა ნარიყალაზედ, ვინ უფრო უგემურად ჩაატარებს თავის დოგლათსაო. დღე-დღეზე მათი ეკონომიური ძალა სუსტდება, დღე-დღეზედ იმათი მამულები იფეკიან, პატარავდებიან, თითქო ხოლერის ჭირი გასჩენოდეთო. ნეტავი, ეკონომიური მნიშვნელობა ჩვენის თავად-აზნაურობისა რომ ასეკლებულობს, სხვა რამ ძალა მაინც იჭერდეს მის ადგილს, ნეტავი გონებით სიმდიდრეს მაინც აედგას ფეხი იმათ გულში, ნეტავი ზნეობითი და სამოქალაქო გამჭრიახობა მაინც დამყარებულიყო იმათ წრეში. მაგრამ, საუბედურად, არამც თუ

იმისთანას ვერასა ვხედავთ, არამედ ჩვენი დაღონებული თვალი გაშტერებით უყურებს იმ არა-სასურველს მოვლენას, რომ ამ მსრით ზემო-სსენებული ზნე იმასაც ჭკარგავს, რაც სამგვიდროდ დაუმზადებია და დაუთმია მისთვის ჩვენს გრძელს ისტორიას.

ნუ თუ გიდევ დამეძდურება მკითხველი, რომ ჩემი ენა ვერ ახერხებს გამოთქვას მწარე სიტყვები «მრავალ ამ დროს დაგასწროთო»?.

* * *

ჩვენი უბედური სამღვდელოება? თითქო მზის დაბნელების დღეს იყოს დაბადებულიო. წარმოიდგინეთ, რომ საქართველოში ათას ოთხასამდე ეკლესია აშენებული. ინგარიშეთ ეხლა, რამდენი სამღვდელო პირი უნდა იყოს ჩვენში, თავისის მთავრებით, დიაკვნებით, დიახჩოქებით, მნათეებით, რამდენი ბერი, მონაზონი და სხვანი და სხვანი. ეს ამოტელა ხალხი იკვებება ქართველის კაცის საკვლასო ლუკმით. მათი დანიშნულება თვით ღმერთს გადმოუცია ჩვენთვის, ალუნიშნია სამღრთო წიგნებში, რომ სუსტ ადამიანის მესსიერებას არ დაავიწყდესო და მუდამ ხელმძღვანელობდეს მითიო. ამას თითონვე გვიმოწმებენ, რომ ეს სწორედ ასე იყოვო, და ჩვენც ვბა, რა ნება გვაქვს, რომ ეჭვი შევიტანოთ იმათ სიტყვებში? კარგი და პატიოსანი. მაგრამ ბევრს კი არ ვიტყვი, მაჩვენეთ მათში ათი კაცი ერთად, რომელნიც ჭეშმარიტებით ამოვლებენ ხალხის წინაშე, რომელნიც მართლა გატაცებულნი იყვნენ ქრისტეს მაღალის ჭეშმარიტებითა და მოძღვრებით და ცდილობდენ ხალხში სახარების სიმართლის ჩამოგდებას, ემსახურებოდენ ხალხის ზნეობით თვისების გათავქიზებას, გულის განწმენდას, ჭქადაგობდენ ძმობას, ერთმანეთის სიყვარულს, ჭეშმარიტების სამსახურს; დამისახელეთ მათში ვინმე, რომელიც ზრუნავდეს ამაებზედ და

სწუხდეს, რომ იგი ხალხის ტკივრთია და, მაშასადამე, მოკვლე ეკონომიური შეწუხება შეუმსუბუქოს ნამდვილ ზნეობითის სამსახურით, გადაუხადოს ისე, როგორადაც უხდიდენ იესო ქრისტე თავის ღირსეულის მოციქულებით. თითქმის ყოველი სასულიერო პირი ჩვენში დღეს თვიქრობს მარტო ტაბლებზედ, ცხვრის სიბნებზედ, ნათლობისა, სამკვდროს და მეტადრე ქორწილის თულზედ. აქა ჩსედავს იგი თავის დანიშნულებას...

ამ წოდებათა განსილვიდგან გადადით ჩვენის ქალების უსაგნო და უაზრო ცხოვრებაზე, დათვალიერეთ ჩვენის ეროვნობის მდგომარეობა, გაშინჯეთ ჩვენი სკოლები, სადაც სწავლის მაგივრად დაგეტაკებათ თვალში ზნეობითი დამახინჯება ბავშვებისა, დაუძლურება, გონების მიჩლუნგება, რაღაც ნაირი მოსიბლული, დაშხამული ჭკვა, თავის მომაკვდინებელის ზედ-მოქმედებით. თავად ასე ცოტანი ვართ სწავლის მოსურნენი, ასე ცოტას ამოგვიშუქებს სოლომე მზე სასწავლებლის კარებზედ, და ამ ცოტაშიაც კიდევ ამოირჩევა მეათედი ნაწილი, რომელიც ძლივს ვაივაგლახით გასტანს ბოლოს, დაჩაგრული, გულ-გატეხილი, უძლური და საცოდავი?! მერე, თუ ამისთანა სუსტი ადამიანი გაჭბედავს და გამოიჩენს ცხოვრებაში რაიმე ადამიანობას, პატიოსნებას, უპირფერობას და მოქმედებაში დამოუკიდებლობას, ვაი იმის ტყვის ბრალი!...

ამის შემდეგაც არა მაქვს საბუთი, რომ ჩვენს ძველებურ ჩვეულებაზედ ხელი ავიღო და არავის მიგულოცო: «ღმერთმა მრავალს ამ დროს დაგასწროთ-მეთქი?»!....

* * *

იქნება ჩვენი მწერლობა მაინც წარმოგვიდგენდეს რამე საინუგეშოსა და სასიტრელს. აგერა ერთად ოთხი დრო-გამოშვებითი ორგანი გამოდის დღეს ქართულს ენაზედ. აგერ-ახლა ქალებს მიუღიათ ნება-რთვა და ქუთაისში აპირებენ ყოველ-თვი-

ურ ყურნალს. აგერ ერთს მიუცია თხოვნა ყოველ-დღიურ გაზეთზედ, მეორე აპირებს კვირის გაზეთის გამოცემას. აგერა თითქმის თვეში სამი-ოთხი ახალი წიგნი იბეჭდება. იქნება აქ მაინც იყოს რაიმე იმედი. იქნება აქედგან მაინც აინთოს ლამპარი, რომელიც მოგვიყრის ჩვენ ყველას თავი-თავს, მოგვცემს აზრს, ჩაგვიდებს ცხელ ადამიანურ გრძნობას, აგვიდუღებს მალად წადილებს და გაგვამზავრებს ისეთ გზაზედ, რომელსაც მოჰყვება ჩვენი ალორძინება და ყოველ მხრივი განძლიერება სულითაც, გულითაც, შეძლებითაც, ჭკუითაც და პატიოსნებითაც... ტყუილი იქნება ჩვენი ძებნა, იმიტომ კი არა მარტო, რომ ქართული მწერლობა უშექილოდ მიიზლაზნება, არამედ იმიტომ უფრო, რომ ქართული მწერალი მოკლებულია აუცილებელ მწერლის სამკაულს, ე. ი. მკითხველებს. ცოდამ რომ ანგელოზები ჩამოლალო ძირსა, შენი ჭკუის ძალა რომ გაძლევდეს შეძლებას თვით კარსკვლავებს ჩაგლო გულზედ სელი და შენის სურვილისამებრ ათამაშო, მაინც შენს ნაწერს ვერ ალებინებ სელში ქართველ საზოგადოებას. ათასში ერთი თუ ისე განტი-კუნტად გადაგეფურცლავს, ისე უბრალო ცნობის-მოყვარეობით, რომ გაიგოს ვინ გამომტყვრალა ისეთი მოცლილი, რომელსაც კალმისთვის მოუკიდნია ხელიო, თორემ რომ დაგიგდოს ყური, ჩაუფიქრდეს შენს აზრს, გაიგოს შენი ცეცხლი, რომელიც ასე გიწვავს გულ-ღვიძლს, უსმინოს შენს მწუხარებას, —არა, ამისთანას ძალიან ძვირად იპოვნი. ჩვენში მკითხველები ისევ თითონვე მწერლები არიან, ისიც ყველანი კი არ წაიკითხავენ სხვის ნაწერებს. მომეტებული ნაწილი სიამოვნებს მხოლოდ თავის საკუთარ ნაწარმოებით. შეგვიძლიან უტყუვრად ვსთქვათ, რომ ჩვენში ყველაზედ ერთგულად და ყურადღებით კითხულობენ მხოლოდ პატივ-ცემული ცენზორები. ჩვენს საზო-

გადოებას ყველაფრისთვის მოეპოვება დროც, ფულიც, ოღონდ წიგნზედ კი არ დაესარჯოს არც ერთი და არც მეორე. აბა, ამისთანა გარეშეობაში რა უნდა მოეთხოვოს მწერლობას და ან რა უნდა ქნას იმან! ან რა ძალის შემოქმედობა შეუძლიან! ამიტომაც არის, რომ ჩვენს ყურნალ-გაზეთებს ხელის-მომწერელთა რიცხვი ვერ ასვლიათ იმოდენამდის, რომ მათი სარჯი გამოძცემლებს არ აკოტრებდეს, არ ალარიბებდეს უკანასკნელ გროშამდის. ჩვენს საზოგადოებას იქამდის დაუკარგავს საზოგადოებრივი გრძნობანი, ურთიერთა-შორის კავშირი, რომ ალარც კი ჰგრძნობს მათ საჭიროებას, ალარც კი უნდა მათი ალდგენა ასეთის ძალუმის ალრალით, როგორიც არის კავშირ-გა, დამბმელი გამაძლიერებელი ბეჭდის სიტყვა, მწერლობა, ლიტერატურა. ამისთანა საზოგადოების გულქვაობასთან რა საკვირველია, რომ მწერალს კალამი დაკარდეს ხელიდგან და უგულოდ ეკიდებოდეს თავის საქმეს...

და მაინც კიდევ მოგილოცოთ- «მრავალ ამ დროს დაგასწროთ» - მეთქი?!

* * *

არა, მომკალით და არ შეიძლიან მოგილოცოთ ასალი წელიწადი. მოსალოცი კი არა, მოსატირალი გარეშეობა გვარტყია გარშემო და მაშ როგორ ვინატრო, რომ ასეთი დღე ხშირად დაგვდგომოდეს თავზედ. რა ისეთის მტარვალის გულისა მე მნასეთ, რომ ასეთი ნატვრა მოვინდომო ჩემის მკითხველისათვის მაშინ, როდესაც ამ გვარივე მდგომარეობა ჩემის მტრისა გულს მიგოდავს, იმისი ასეთი ყოფაც კი მძიმეტყვიასავით მაძევს გულზედ და ვნატრობ, რომ მალე დაელწიოს თავი უბედურებისაგან. ჯერ უბრალო, ზეზეური გადათვალიერება ჩვენის ცხოვრებისა გვიჩვენებს გაუზომელ ტანჯვასა

და გვნესას ქართველის გაცისას, და ახლა რომ ცოტა ღრმად აუწიოთ ზირი, მაშინ რაღასა ვნახავთ! მაშინა ვნახავთ, რომ ჩვენ წინ გვიძევს მთელი ერი, რომელიც ჯერ ისევ ნოხრია, მაგრამ ავადმყოფობას გამოუხრავს მისი ძალა, გამოუფიტნია, გამოუსუტნია სიცოცხლის წვენი და დაუმწესებია სიკვდილის გზაზედ. აქ უნდა დიდი მხნეობა, მრავალი რიცხვი თავ-განწირულთა, რომელნიც უნდა მიეცნენ სვეტებად ამ ავად-მყოფს ჯ დაიხსნან იგი, სულთ-მობრძავი, სიკვდილის ხელიდგან. და უცებ, ამისთანა მწარე დრეს, როდესაც ყოველ ჩვენგანს მოელის ზირდაზირი განადგურება, გამოსულა მწერლობის მოედანზედ ვილაც უდარდელი ფრანტი და იძახის — «ღმერთმა მრავალს ამ დროს დაგასწროს საქართველოს ხალხო». არა და ათასჯერ არა. არ შეიძლიან ჩვენის მოხუცებულს ჩვეულების მიდევნა. იმას ერთხელა ჭქონია აზრი და აწ დაუკარგავს. ეხლა უნდა გამოიცვალოს ახალწლის ფორმულა. ამას იქით ქართველი კაცი უნდა მომზადებული იყოს მეზობლის მისაგებებლად შემდეგის სიტყვებით: «მადლობაა ღმერთს, რომ კიდევ ცოცხალნი გადავრჩით; ვინატრეთ, ძმაო (ანუ დაო), რომ ამისთანა დრეს ალარ შეგასწროს მეუფემ. ვინატრი, რომ დღევანდელი ჩვენი უბედურება, ჩვენი უდიერი, წამწყმენდი ტანჯვა გათავებულიყოს და ახალწელს მოეტანოს ჩვენთვის ახალი უკეთესი გარემოება».

«ღმერთმა ქნას, რომ ეს ჩვენი საწადელი ალსრულებულიყოს..» აი მეც ამ სიტყვებით შეიძლიან მივეგებო ჩემს მკითხველს და თანაც დავატანო ხალხური მიგებება: «შემოვსდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი; ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა».

სტ. ჭრელაშვილი.

ევროპიელის აზრი ჩვენს ლიტერატურაზედ.

ერთს ნემეცურს ჟურნალში, რომელიც, ვგონებთ ლეიპ-ციგში გამოდის, დაბეჭდილია ერთის ნემეცის, არტურ ლეისტის, წერილი შესახებ ჩვენის ლიტერატურისა. ჟურნალსა ჰქვიან «Magazin für Literatur des Jn=und auslandes» («ჟურ-ნალი ჩვენის ქვეყნის ს უცხო ლიტერატურისა»). ავტორი ჩვე-ნის მხრივ დიდის მადლობის ღირსია ამ თანაგრძნობით საგ-სე წერილისათვის, თუმცა ზოგიერთი ძძიმე შეცდომა მოიპო-ვება მის შრომაში. ეს აუცილებელი ნაკლულევანებაა უცხო-ქვეყ-ნელისათვის, რომელიც მხოლოდ შორიდამ გვიცნობს. მაგ. ავ-ტორი ნიკოლ. ბარათაშვილს თანამედროვე პოეტს უწოდებს, სხვ პოეტებზედ დაბლა აყენებს და მის ლექსებს თ. რაფ. ერისთავს აწერს. თ. დავით ერისთავი—,,ნიჭით საგსე შვილი ნიჭიერის მამისა'' ჩვენის თეატრის ბურჯი ჩგონია და მისი ,,სამშობლო'' საუკეთესო ორიგინალური დრამა და სხვ.

მაინცა და მაინც ეს წერილი ისე ღირს-საცნობია ჩვენის მკითხველებისათვის, რომ უმეტ-ნაკლებად ვსთარგმნით.

მივიწყებული ლიტერატურა

(«ჟურნალი ლიტერატურისა 20 იანვ. 1883 წ.»

,,შორს, ალმოსავლეთისკენ, შავსა და კასპიის ზღვას შუა, კავკასიის ქედის სამხრეთით, მშვენიერს ველებზედ, სცხოვრებს

მცირე ერი, რომლის ისტორიულს წარსულს მხოლოდ ტოტანი იცნობენ და რომლის აწინდელს განათლების წადილს თითქმის ყურს არავინ უგდებს. ეს არის ქრისტიანი ერი, რომელიც თავის თავს ქართველს უწოდებს. ისტორიული მნიშვნელობა ამ ერთ მიდიონზედ ნაგლების ერისა არ ჩამოუარდება სხვა მცირე-აზიაში მცხოვრებ ერთა მნიშვნელობას. მართლაც, საქართველომ, ბაგრატიდების ბრწყინვალე მეფობის დროს, როდესაც იგი კავკაზიის მთებიდამ მოგიდებული არაქსამდე გაშლილი იყო, დიდი სამსახური გაუწია მეტადრე ახლო-მახლო ქვეყნებს, იმით რომ მოსლვამინთ წინ გადეღობა და მათი ძლიერება შესუსტა. რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ქართველები იცავდენ ხან სპარსელებისა, ხან არაბებისა, ხან ოსმალებისაგან იმ ბუნებრივს ხიდს, რომელსაც შეადგენს კავკასიის იქითა მხარე ევროპასა და აზიას შუა. ამ ძნელსა და ბოლომოუღებელს ომებს ქართველები უფრო თავ-განწირულებით იტანდენ, ვიდრე ჯვართა-ომების დამსწრე ევროპიელნი და სწორედ შუა საუკუნის რაინდულ სულათს წარმოადგენს ეს შესანიშნავი და ყურადღების ღირსი განუწყვეტელი ბრძოლა. ნამდვილი რაინდებიც იყვნენ მაშინდელნი ქართველნი და თუმცა საზოგადო დაწყობილობაზედ ბიზანტიურს წესს არა მცირედი გარეგანი გავლენა ჰქონდა, მაინც მათი ცხოვრება გასაოცრად წაგავდა ევროპიელ რაინდების ცხოვრებას.

,,ქართველებმა ქრისტიანობა მეოთხე საუკუნის ნახევარში მიიღეს, როდესაც მეფე მირიანმა რომიდამ გამოქცეული წმინდა ნინო თავის ქვეყანაში მიიღო და ნება მისცა ქრისტიანობის გავრცელებისა. ამ ამბავთან ერთად იწყობა ახალი ეპოქა ქართველების ისტორიისა: საბერძნეთ-ბიზანტიის განათლების პირველი სხივი მიადგა ამ ქვეყანასაც და სასულიერო წო-

დებამ მოიწადინა გონებით მუშობა. ქართული მწერლობა შემოღებული იყო ბევრით ადრე, მეფე ფარნაოზის დროს, ასე რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დაბადება ჯ ოსმდენიმე ბერძნული თხზულება ქართულად გადმოითარგმნა. დაარსდა აგრეთვე სასწავლებლები, რომელთაც სასიგეთო გავლენა იქონიეს, რადგან ქართველებმა მალე აიღეს ხელი ბარბაროსობისაგან და შექმნეს მაშინდელ დროისათვის არა-მცირედი საერო კულტურა. მეფეებმა და დიდმა-კაცებმა აშენეს მრავალი ეკლესია, მონასტრები, ციხეები, სასწავლებლები და ამ შენობების დიდებული არხიტექტურა ესლაც აგონებს მოგზაურს, რომ ოდესმე აქაც სიცოცხლე სდუღდა.

,,თუმცა ბიზანტიას საუკუნების განმავლობაში დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდა მათზედ, მაინც ქართველებმა დაიცვეს თავიანთი მამულის-შვილობა და რაინდული გრძნობა, რომელსაც სხვაგან ალმოსავლეთის—რომის იმპერიაში ზნეობის შესუსტებამ დასძლია. ამ რაინდულ გრძნობის დაცვას თვალ-ნათლივ ამტკიცებენ აუარებელი ომები მოსამზღვრე ხალხებთან სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის. თვით ძალადობის ქვეშაც არ ულალატეს ქართველებმა თავიანთ სარწმუნოებას, არ დაემორჩილნენ მუდამ თავზედ მდგომს ძლიერს ისლამს და დაიცვეს თავიანთი ერობენება. რასაკვირველია, ისეც არ იქნებოდა, რომ არაბების და სპარსელების ბევრი ჩვეულება არ შესულიყო მათს ქვეყანაში, მაგრამ ამათ ვერ დასცეს ერთხელვე ჩვისა და დაგვით შეძინებული კულტურა და საზოგადოდ მხოლოდ მცირედი გავლენა იქონიეს მათს ცხოვრებაზედ.

,,თამარ-მეფის დროს, მეთორმეტე საუკუნის დასასრულს, საქართველოში ფრთა შეასხა გონების მოძრაობამ და თვით მეფის სასახლე ხელს უწყობდა მას. გამარჯვებულ ომებთან და

ნადიმებთან ერთად აღორძინდა აქ მოდექსეობაც, ისე როგორც ხალიოვების სასახლეებში. საუკეთესო გონების ნაწარმოებნი ამ დროს ეკუთვნიან და ქართველი მწერლები სამართლიანად უწოდებენ მას კლასიკურს ეპოქას თავიანთ ლიტერატურისას. გამოჩენილი პოეტი იმ შორეულის ეპოქისა არის როუსთაველი, დამწერი შესანიშნავის ეპოსურის თხზულების ,,ვეფხვის-ტყაოსნისა'', რომელშიაც მრავალი მშვენიერებაა. ზოგნი ამ თხზულებას «ნესტან-დარეჯანიანს» უწოდებენ. იმ დროს არიან დაწერილნი ,,ბარამიანი'', ,,როსტომიანი'' და ,,თამარ მეფე და მეუღლე მისი დავით'' ჩახრუხაძისა; აგრეთვე რომანები ,,ვისრამიანი'' სარგის თმოგველისა, ,,დიდარგიანი'' მოსე ხონელისა. ქართველი მწერლები ამბობენ—ბევრი სხვა ძვირ-ფასი ლექსად-თხზულება უნდა ყოფილიყო იმ დროში, მაგრამ დაკარგული არისო. დასახელებულ მწერლებს გარდა მაშინდელ საქართველოს ჰყავდა აგრეთვე მრავალი მოღვაწე მეცნიერებაშიაც, რომელნიც ბერძნულ კლასიკურ თხზულებებსა სთარგმნიდენ. ყველაზედ შესანიშნავნი არიან: ეფრემ, იყალთოელი (უმცროსი), იოანე ტაიჭი (Taidtschi) (?) პეტრიწი და შავთელი, რომლის დაკარგული აბდულ მესიას ისტორია ძვირ-ფასი თხზულება უნდა ყოფილიყო, როგორც ზოგიერთნი მწერალნი ამტკიცებენ.

,,თამარ-მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველოს დაეცნენ სელჯუკები და მოპოებული კულტურული ცხოვრება დიდისხნობით მოუსვენარ ომებს უნდა შეეჩერებინათ. რამდენიმე საუკუნე ომობდენ ქართველები თავიანთ გარეშე მტრებთან; ბევრ ხან ამათ სწყვლობდა, ხან იმათ, მაგრამ განათლება ამ ომების დროს ან ერთს ადგილს იდგა ან კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. ამ ომებს მიემატა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუ-

ნოებში ტახტის-მეძიებელთა შორის ბრძოლა, რომელიც ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდა.

,,როდესაც 1800 წ. საქართველოს რუსეთი დაეპატრონა, უწინდელის კულტურისა მხოლოდ ცოტადენი კვალი-ღა დარჩენილიყო და ერთხელ აყვავებული ქალაქები და ციხე-სიმაგრეები ეხლა ნანგრევებს წარმოადგენდენ. არამც თუ სოფლის ხალხი, დიდის ქალაქების მცხოვრებნი და ჯერედ კიდევ დიდის მამულის პატრონი თავად-აზნაურობაც კი სიღარიბეში იყო ჩაკარდნილი და კულტურული თითქის აღარავის არა ეტყობოდა-რა. მხოლოდ ამ საუკუნის ნახევრიდამ მიანებეს ქართველებმა თავი უქმს ცხოვრებას და ახალის კულტურის შექმნასა ცდილობენ. განათლების მოამხრეთ მრავალი თანა-მგრძნობელი იშოვნეს და უნდათ ქართველ ხალხს ახალი გზა გაუკვალონ. ამ ცდას შემწეობას აძლევს მოგონება უწინდელის დიდებისა, რომელიც ხალხის გულიდამ ჯერ კიდევ არ ამოღებულა.

,,შეძლებულმა ნაწილმა საზოგადოებისამ მხოლოდ გარეგანი სახე მიიღო განათლებისა, მაგრამ უფრო მოთიქრებულთა-თვის ეს გარეგანი დათვერვა არა კმარიდა და ამიტომ ცდილობენ იგინი ხალხის წინ-სვლა ნაციონალურს ნიადაგზედ დაამყარონ. იქ შესდგა ერთი საზოგადოება ხალხში განათლების გასავრცელებლად და მისგან დაწესებულმა სკოლებმა და გამოცემულმა პედაგოგიურმა წიგნებმა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღეს. ესენიგე ცდილობენ უმაღლესის სწავლის გავრცელებას და მეცნიერების შეძენას, სთარგმნიან საუკეთესო თხზულებებს ევ ყურნალ-გაზეთებს აარსებენ.

,,1863 წ. თ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო თვიურის ყურნალის —«საქართველოს მოამბის»—გამოცემა, მაგრამ ერთის წლის მეტი ამ ყურნალს არ გაუძლია. დიდი დღე არა ჭქონდათ აგრე-

თვე მე ამოცე წლებში დაარსებულ სხვა ყურნალებსაც. მხოლოდ შემდეგ ში გამოცემულმა დღიურმა გაზეთმა «დროებამ» მრავალი მკითხველი იშოვნა და ახლაც სხვა ყურნალ-გაზეთებზედ უფრო გავრცელებულია. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც გამოდის აგრეთვე თვიური ყურნალი «ივერია» და ბერიოდული გამოცემა „იმედი". ერთი წელიწადია, რაც ქუთაისში გამოდის კვირის გაზეთი, ქართველების საყვარელ პოეტის ს. წერეთლის რედაქტორობით(?). ლაპარაკობენ კიდევ ორს ახალ გამ ეძაზედ. ერთს მათგანში მხოლოდ ქალები მიიღებენ მონაწილეობას.

„საკმაოდ მდიდარია ქართველების პოეზია, მეტადრე ლირიკა, რომელ-აც თუმცა ალმოსავლეთური კილო ეტყობა, მაინც გრძნობიერის მელოდიით გამოსთქვამს საქართველოს ხალხის აწინდელ მდგომარეობას. რასაკვირველია, უმთავრესს საგანს ამ ლექსებისას შეადგენს ჩვენი დაკარგულს დიდებაზედ და იმედი უკეთესის მომავლისა. ბევრს ამ ლექსთაგანს ეტყობა ძლიერება და მშვენიერის ენით არის დაწერილი. პირველი ადგილი პოეტებში უჭირავს ადრეკვე დასახელებულს თ. ილია ჭავჭავაძეს. შესანიშნავნი მისნი თხზულებანი არიან: „დიმიტრი თავ-დადებული" და „ჩრდილი". მის რომანებს „კაცია ადამიანს" და „გლახის ნაამბობს" ყველა რომანებზედ მეტად კითხულობენ ხალხში. ამ ორს რომანს ამშვენებს იორმორიული კილო, რომელიც ძველის კოლხიდის მცხოვრებლების ერთს თვისებათაგანს შეადგენს. ჭავჭავაძესთან ერთად შესანიშნავნი არიან ორბელიანი და ს. წერეთელი. ამათ ლექსებს არამც თუ განსაცვლებული საზოგადოება, დაბალი ხალხიც კი სიამოვნებით მღერის და კითხულობს.

„თ. რაფ. ერისთავი ბ ნიკ. ბარათაშვილი საუკეთესო თა-

ნა-მედრეკე(?) ლირიკები არიან. პირველის კალამს ეკუთვნის ბევრი მშვენიერი, მამულის სიყვარულით აღტაცებული ლექსი.

,,რომანებს უფრო ცუდი ბედი აქვთ ქართულს ლიტერატურაში. მათ აკლიათ შემუშავებული სახე და ცხოვრების ცხადი წარმოდგენა.

,,ამის სამაგიეროდ ძალიან გაცოცხლებულია დრამატიული ლიტერატურა, რომელიც შექმნა მამულის წინაშე დამსახურებულმა მწერალმა თ. გიორგი ერისთავმა. იმის მეცადინეობით 1850 წ. რამდენამე პირმა თავი მოიყარეს და გამართეს თბილისში წარმოდგენა ორის მისის კომედიისა. რადგან ამ პირველს ნაბიჯს საზოგადოება აღტაცებით მიეგება, ერისთავმა შეაგროვა გამოსადეგი პირნი, შეადგინა დრამატიული დასი, რომელსაც დრო-გამოშვებით წარმოდგენები უნდა გაემართა. პირველ ქართულის სცენის გამართვის გარდა ერისთავი ცდილობდა რეპერტუარისთვისაც და მისი ნამდვილ-ნაციონალური(?) კომედიები დღესაც საუკეთესო ქართულ დრამატიულ თხზულებებად ითვლებიან. ამის შემდეგ ბევრი გამოვიდა დრამატიულ ასპარეზზედ, მაგრამ მათ თხზულებებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ-რა, გარდა ა. წერეთლისა და თ. დავით ერისთვის თხზულებებისა.

,,ა. წერეთლის კომედიები მეტად მოსწონს ხალხსა. ამას გარდა ამ მწერალმა თავის ლექციებით და ყურნალისტიკაში მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწია თავის ქვეყანას. თ. დავით ერისთავმა, ნიჭით საკვსე შვილმა თ. გიორგი ერისთვისამ, დასწერა მშვენიერი ტრაგედია ,,სამშობლო'', რომელიც თბილის სცენაზედ იყო წარმოდგენილი და საუკეთესო ორიგინალური(?!) თხზულებაა. ამის ღვაწლი ყურნალისტიკაში ა. წერეთლის ღვაწლზედ ნაკლები არ არის(?!!)

,,სამეცნიერო ლიტერატურასაც მოძრაობა ეტყობა, მეტადრე ისტორიის შემუშავებას ბევრნი შეუდგნენ ამ ბოლოს დროს. როგორც ფილოლოგი, უნდა დავასახელოთ ყოფილნი, რომელიც სხვა სწავლულებთან(?) ერთად ჭვრეტს და ადგენს სხვა-დასხვა მეცნიერებისათვის საჭირო ტერმინებს.

,,ამას გარდა ქართველებმა დაიწყეს გამოცემა თავიანთ კლასიკურ თხზულებებისა.»

ხელის-მომწერლებს

(უსაფუძვლო საყვედურის პასუხი)

ბევრისაგან მოგვდის საყვედური ჟურნალი თავ-თავის დროზედ არ მოგვდის და ზოგიერთა ნომრები სრულებით იკარგებაო. ერთხელ და უკანასკნელად ვაცნობებთ «ივერიის» ხელის-მომწერლებს, რომ ჩვენ ყოველივე ღონისძიება გვაქვს მიღებული ამ უწესოების მოსპობისა. ფოსტაში მთელის წლის გასაგზავნი ფასი წინდაწინვე მიცემულია და რედაქციას არავითარი ინტერესი არა აქვს—ჟურნალის ნომრები გაუგზავნელი დააგდოს. ვიმეორებთ, ყველას საითითაოდ ეგზავნება ჟურნალი და სადაც ფოსტის კანტორა არის, იქ ფოსტის ჩინოვნიკები ვალდებულნი არიან ხელის-მომწერს ჩააბარონ იგი. რკინის გზის სტანციებზედ კი თითონ ხელის-მომწერლებმა უნდა იზრუნონ და სტანციის უფროსის შემწეობით მიიღონ ჟურნალი. თუ მაინც ხელის მომწერს ჟურნალი დააკლდა, ვთხოვთ რედაქციას აცნობოს და რედაქცია ეცდება შეუსრულოს დანაკლისი. ყოველს «ივერიის» წიგნს ყდაზედ აწერია: «ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ მალე აცნობოს რედაქციასაო.»

არ ვიცით, ამის შემდეგაც ღირსნი ვართ საყვედურისა, თუ არა?

რედ.

განცხადებანი.

მომავალს **1883** წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პროგრამმითა და წესით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალის თანამშრომლებისა და სხვა ლონისძიების შემწეობით, მომავალის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: «დროების» **რედაქციის კანტორაში, გალვანის ბრესპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ძვემოთ.**

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათომში: ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „ДРОЭБА“

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: — — — — — — — —	9 მან.
ნახევარის წლით — — — — — — — —	5 „
სამის თვით — — — — — — — —	3 „
ერთის თვით— — — — — — — —	1 „

სხვა გვარით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწეროთ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

«შ რ ო მ ა»

მომავალს 1883 წელს

გამოვა იმ გვარადვე, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა:

ქუთაისში: რედაქციაში, თბილისის ქუჩ., ქურთოვეკის სახლში.

თბილისში: შავერდოვის საგენტოში.

გაზეთის ფასი: წლით—შვიდი მან., ექვსის თვით—ოთხი მან., სამის თვით—ორი მან. და ხუთი შაური.

საფოსტო ადრესი:

Кутаисъ, въ редакцію газеты «ШРОМА.»

«ი მ ე დ ი»

ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

1883 წელში

გამოვა იმავე პროგრამმით, სიკრცით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა, და ახალის თანამშრომლების დახმარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ., ნახევარ წლისა—4 მ. და 50 კ., სამი თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომრისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში—მხოლოდ რედაქციაში, ანდრეევსკის ქუჩაზე, № 14.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ყურნალი ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «Имеди.»

რედაქტორი და გამომცემი
მიხ. ზურგენიძე.

ОБЪ ИЗДАНІИ
ВЪ 1883 ГОДУ
ЕЖЕНЕДѢЛЬНАГО ЮРИДИЧЕСКАГО ЖУРНАЛА
„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(годъ третій).

Журналъ какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, *въ размѣрѣ* отъ 1 до 2 печатныхъ листовъ *текста*, кромѣ приложеній, по прежней программѣ, въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ*, вытекающимъ *изъ теоріи* и *практики права и судопроизводства*, *перечень*, *изложеніе* и *обсужденіе* важнѣйшихъ *распоряженій и узаконеній правительства*, краткіе *отчеты* (а въ случаяхъ важныхъ стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, особенно интересныя гражданскія *рѣшенія*, случаи изъ судебной жизни и практики (*разныя извѣстія*), *корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника*, перечень *новыхъ книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати*, *тезисы кассаціонныхъ рѣшеній*: правительствующаго сената и Тифлисской судебной палаты, *судебный указатель* и пр.

Редакція журнала—*Тифлисъ, Давидовская ул., д. Кананова.*

Администрація (для пріема подписки, объявле-

ній и розничной продажи)—*Тифлисъ, Сололакская ул., д. Меликова.*

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересилкою: *на годъ — 10 р., на 9 мѣс. — 8 р. 20., на 6 мѣс. — 6 р., на 3 мѣс. — 3 р. 20 к.* и *на 1 мѣс. —1 р. 20 к.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные нумера* по 25 к.—*Объявленія*, казенныя и частныя, *по таксѣ* за занимаемое мѣсто.— Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ *Москвѣ*, и *С.-Петербургѣ* въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Издатель А. С. Френкель. Редакторъ А. В. Степановъ.
(Присяжный повѣренный)

განცხადება.

ამა 1883 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თთელის წლით.

ფასი თთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ (ბულვარზედ), ოსანოვის სახლებში № 9 ლ აგრეთვე შავერდოვის საგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მოსაწერი წერილი ლ ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე ლ ი. მაჩაბელი.